



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

1 . 1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1. 1989

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. ვეველესიანი, გ. თოღუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гунья А. Л. (редактор), Гамкrelidze O. K., Гвелесиანი М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надарейшвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989 № 1

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 25.I.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.IV.89; შეკვ. № 255;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,8;
საღარიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,72; საღ.-გატარება. 10,3; უე 04248; ტირაჟი 750;

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

ქართველ ეკონომისტთა რესპუბლიკური ფორუმი 5

დ. ხაბურზანია, რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის ზოგიერთი პრობლემა	7
ა. გუნია, საქართველოს ეკონომიკის ტერიტორიულ-მეურნეობრივი ანგარიშიანობის პრინციპებზე გადასვლის საკითხისათვის	16
ვ. ადვაძე, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში — ეკონომიკური სუვერენიტეტის ფორმა	27
ვ. ბურკაძე, საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპით მუშაობის შესახებ	34
მ. თოქმაშვილი, მოთხოვნილებების სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე	63
ა. პავლიაშვილი, ეკონომიკურ-სამართლებრივი სტატუსის სავაჭრო-სამრეწველო თანამშრომლობის სრულყოფის ზოგიერთი მომწიფებული საკითხი	71
გ. ბრეგვაძე, ფქვილსაფქვავე წარმოება რევოლუციამდელ საქართველოში	76
ვ. ყანდაშვილი, წარმოებით ურთიერთობათა სისტემის სრულყოფის გაგებისათვის	86

სამართალი

ვ. ზუსიკვაძე, მეზღვების ამხანაგობის კანონმდებლობის განვითარების ახალი ეტაპი	93
გ. თოდრია, კრიმინალური აზროვნების გარდაქმნის პრობლემები	102
საქართველოს სსრ მაცნებარებათა აკადემიის პრეზიდიუმში	112

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

РЕСПУБЛИКАНСКИЙ ФОРУМ ГРУЗИНСКИХ ЭКОНОМИСТОВ	5
Л. И. Хабурзания , Некоторые проблемы перевода республики на хозрасчет	7
А. Л. Гуния , К вопросу перехода экономики Грузии на принцип территориально-хозяйственного расчета	16
В. С. Адвадзе , Республиканский хозяйственный расчет — экономическая форма суверенитета	27
В. К. Буркадзе , О принципах работы агропромышленного комплекса Грузинской ССР	34
М. Д. Токмазишвили , Особенности формирования структуры потребностей на современном этапе	63
А. К. Павлиашвили , Некоторые назревшие вопросы совершенствования экономико-правового статуса торгово-промышленного партнерства	71
Г. А. Брегвадзе , Мукомольная промышленность в дореволюционной Грузии	76
В. С. Кандашвили , К понятию совершенствования систем производственных отношений	86

ПРАВО

В. Т. Хускивадзе , Новый этап развития законодательства о садоводческих товариществах	93
Г. Г. Тодрия , Проблемы перестройки криминологического мышления	102
В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ НАУК ГССР	112



პართველ ეკონომისტთა რესპუბლიკური ფორუმი

1988 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგა საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა III რესპუბლიკური შეხვედრა თემაზე „ტერიტორიული მეურნეობრივი ანგარიშობის პრინციპებზე გადასვლის მეცნიერული საფუძვლები“. შეხვედრა მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭომ, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა და საკავშირო ეკონომიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ.

მეცნიერ-ეკონომისტთა რესპუბლიკურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, გორიდან. ისინი წარმომადგენდნენ რესპუბლიკის ყველა წამყვან ეკონომიკური კვლევების ცენტრს.

მეცნიერ-ეკონომისტთა რესპუბლიკური შეხვედრის პროგრამით ჩატარდა ორი სხდომა.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ა. აფაქიძე, ხოლო მეორეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, მ. ა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რ. მეტრეველი.

აკად. ა. აფაქიძემ შესავალი სიტყვით გახსნა მეცნიერ-ეკონომისტთა III რესპუბლიკური შეხვედრა.

აკად. ა. აფაქიძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი ტრადიცია დამყარდა, შესაბამისი დარგების წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან ერთმანეთს დარგების უმნიშვნელოვანესი, სადღეისოდ ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემების განსახილველად. დღეს მესამედ ხვდებიან რესპუბლიკის მეცნიერი ეკონომისტები ერთმანეთს. ხვდებიან ყველასათვის სრული სიღრმე-სივრცით ცნობილ ძალიან საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვან ვითარებაში. ალბათ ყველანი ერთი აზრის უნდა ვიყოთ იმის თაობაზე, რომ წლებადღელი შეხვედრა მეცნიერ-ეკონომისტებისა არ შეიძლება ჩვენ შევადაროთ თავისი მნიშვნელობით იმას, რაც წინა წლებში გვქონდა. არ შეიძლება მეთქი, — ვგულისხმობთ პირველ ყოვლისა, იმ ძირითადი პრობლემის გამო, რომლისთვისაც ჩვენ დღეს აქ ვიკრიბებით, ჩვენი რესპუბლიკის თვითდაფინანსებაზე გადასვლის პრობლემების განსახილველად. ეს პრობლემები ასე მწვავედ და ასე კონკრეტულად არცერთ ჩვენს შეხვედრაზე, ბუნებრივია, არ მდგარა, თუმცა ყურადღების გარეშე მეცნიერ-ეკონომისტებს არც მაშინ დარჩენიათ ეს. ამიტომ მე ეფიქრობ. საეცებით სამართლიანად მოიქცნენ ჩვენი ორგანიზატორები, როცა ამ ჩვენს შეკრებას გარკვეული, ძალიან კონკრეტული და სადღეისოდ უაღრესად მნიშვნელოვანი მიმართულება მისცეს.

მე მხვდა პატივი გავხსნა ჩვენი მეცნიერ-ეკონომისტების III რესპუბლიკური შეხვედრა. მე მინდა ამთავითვე დიდი მადლობა მოვახსენო ჩვენი სა-

საქ. სსრ კ. მარჯის
სსრ სსრ რესპუბ.
ეკონომიკის

მეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებს, ჩვენი, საერთოდ ეკონომიკური ფრონტის მოღვაწეებს იმისათვის, რომ მათ ასე გულთან მიიტანეს ეს საქმე, ასე გულითადად შეხვდნენ ამ წინადადებას და გამოძებნეს დრო, საკმაოდ დატვირთულ და დაკავებულ ვითარებაში იმისათვის, რომ მეცნიერ-ეკონომისტთა შეხვედრაში მონაწილეობა მიიღონ.

პირველ სხდომაზე მოხსენებებით, გამოვიდნენ: ეკონ. მეცნ. დოქტ. ლ. ხაბურზანია, ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის დირექტორი, აკად. ა. გუნია; სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონ. მეცნ. დოქტ. ვ. ადვაძე, საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონ. მეცნ. დოქტ. ვ. ბურკაძე. ამავე სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ.

წინამდებარე ნომერში ვთავაზობთ საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა III რესპუბლიკური შეხვედრის მონაწილეთა მოხსენებებს.

1. ლეო ხაბარჯანი

რესპუბლიკის სამშრნომ ანგარიშზე გადაყვანის ზომებიერთი პროგნოზი

არ შეიძლება სიამოვნების გრძნობით არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ეკონომისტების რესპუბლიკური შეხვედრები უკვე ტრადიციული გახდა: აი, უკვე მესამედ ვიკრიბებით უქანასკნელი წლების განმავლობაში და გვაქვს ერთმანეთთან გულახდილი და პირუთვნელი ლაპარაკი. ბევრჯერ ეს ლაპარაკი ყველასათვის შეიძლება არ იყო სასიამოვნო, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გამოვდიოდით იმ პრინციპებიდან, რომ სჯობია სათქმელი და სასაყვედურო ჩვენვე ვუთხრათ ერთმანეთს, ვიდრე სხვამ გვითხრას. ჩვენი სატიკვარი ჩვენზე უკეთ, აბა ვინ უნდა იცოდეს. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ხშირად ხდება ისეთიანად, რომ ჰელიციონის განვითარების დონეზე ავადმყოფები მსჯელობენ, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებაზე ფიზიკოსები, ისტორიკოსები თუ ფილოლოგები, მაგრამ რა ექნათ. ასეთია ცხოვრება. იმსჯელონ. ამით არც არაფერი ემატება ეკონომიკურ მეცნიერებას და არც არაფერი აკლდება. მხოლოდ ასეთი რჩევა მინდა თქვენი სახელით მივცე ყველა ჩვენს ეგრეთ წოდებულ კრიტიკოსებს: წელიწადში ერთი ეკონომიკური წიგნი ან სტატია მიინც წაიკითხონ, სანამ ამ მეცნიერების ჩამორჩენილობაზე თუ მიღწევებზე დაიწყებენ თავიანთი აზრების საჯარო გამოთქმას.

ეს ერთი. მეორე. მოდი, ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და დილექტანტებს კი იმათ უგდონ ყური, ვინც თვითონ ვერ ასულა დილექტანტობის დონეზე მაღლა. მათთან დავა უბრალოდ უაზრობაა, ამიტომ ემოციებს ნუ ავუვებით.

ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ-მეთქი იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მართლაც და ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ზღვა სამუშაო გეჭონდა, გვაქვს და ყოველთვის გვექნება.

დავიწყეთ თუნდაც თეორიული საკითხებიდან.

კავშირში ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენ დავიწყეთ საოჯახო იჯარაზე პრაქტიკული მუშაობა და მისი ცხოვრებაში დანერგვა. მხედველობაში მავს აბაშის ექსპერიმენტი. ამ, თითქოს არც თუ ისე რთულმა სამეურნეო ნაბიჯმა დიდი ცვლილებები გამოიწვია სოფლად, ბევრი ახალი თეორიული საკითხი დასვა მეცნიერ-ეკონომისტების წინაშე. ამიტომაც იყო, რომ 70-იანი წლების ბოლოს პარტიის ერთ-ერთ ფორუმზე რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ დავალება მისცა ჩვენს მეცნიერ-ეკონომისტებს გაეაზრებინათ და განეზოგადებინათ წარმოებითი ურთიერთობის ის ახალი ფორმები, რაც ჩაისახა ჩვენს სოფელში. საოჯახო იჯარის დანერგვის შედეგად, პირველ რიგში, დაყენებული იყო საკითხი სოციალისტური საკუთრების ფორმების განვითარების თაობაზე. დღეს ეს საკითხი, როგორც მოგვსენებათ, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია სოციალიზმის პოლიტეკონომიაში. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენი ეკონომისტ-მეცნიერთა რაზმი საკმაოდ გულგრილად შე-

ხედა ამ დავალებას, არ მიიჩნია იგი აქტუალურად და მისი შესწავლა-განზოგადოების პრიორიტეტი ისევე ცენტრს დაუთმო, თუმცა მაშინ ამ ცენტრში ბევრ მეცნიერს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა საოჯახო იჯარასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, ხოლო ვისაც რაიმე ჰქონდა მის შესახებ ვაგონილი, შრომის ორგანიზაციის ამ ფორმასა და მასთან დაკავშირებულ წარმოებით ურთიერთობებს არასოციალისტურად მიიჩნევდა. ალბათ, თქვენც კარგად გახსოვთ, რამდენი ჯაფა დაადგა იმ დროს ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყველასათვის და არა მარტო რესპუბლიკის შიგნით დაემტკიცებინა საოჯახო იჯარის პროგრესულობა და სოციალისტურობა.

მე დღეს არ შემძლია ხაზი არ გავუსვა იმ დადებით როლს, რომელიც მაშინ შეასრულეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა, თუმცა ამ ინსტიტუტშიც ყველა არ იდგა ერთ პლატფორმაზე.

სამწუხაროდ, სხვა ინსტიტუტებმა არ აუბეს მხარი ამ ინსტიტუტს, რომელსაც მაშინ ექსპერიმენტის პრაქტიკული მხარე უფრო აინტერესებდა, ვიდრე თეორიული.

პრაქტიკულად ასევე შეუსწაველი და თეორიულად განუზოგადებელი დარჩა ფოთის ექსპერიმენტი. აქაც ჩვენი მეცნიერ-ეკონომისტები ექსპერიმენტის „კულდში“ მოექცნენ. წარმოებითი ურთიერთობის ახალი ფორმები, განსაკუთრებით განაწილება-გადანაწილებითი ურთიერთობა, რაც ფოთში იდგამდა ფეხს, მეცნიერული განზოგადოების გარეშე დარჩა და ეკონომიკურ თეორიაში დღესაც არ არის საჭირო სიღრმე-სიგანით გაშუქებული, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზეც არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას.

და კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ, მეცნიერ-ეკონომისტები ყოველთვის არა ვართ მოწოდების სიმაღლეზე.

როგორც მოგახსენეთ, დღეს ჩვენ მესამედ ვიკრიბებით ჩვენს ტრადიციულ შეხვედრაზე. მაგრამ დღევანდელ შეხვედრას გარკვეული თავისებურება გააჩნია და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. რაშია ეს თავისებურება?

საქმე ისაა, რომ დღემდე ჩვენს შეკრებებს ძალზე ზოგადი ხასიათი ჰქონდა და რომელიმე ცალკე პრობლემას არ ეძღვნებოდა. ვისაც რაზეც სურდა ლაპარაკი, იმაზე ლაპარაკობდა. ასეთ შეხვედრებსაც, რა თქმა უნდა, თავისი აზრი და მიმზიდველობა აქვს და დღევანდელი შეხვედრაც ასე რომ წაგვემართა, ამაში დიდი დანაშაული უთუოდ არ იქნებოდა. მაგრამ გადაწყდა; რომ ჩვენი მე-3 ტრადიციული შეხვედრა ერთი გარკვეული მიზნისთვის დაგვექვემდებარებინა. ეს მიზანი გახლავთ რეგიონალური, უფრო სწორად, რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში, მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. საკითხის ასეთნაირი დაყენების პრიორიტეტი ჩვენ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს ეკუთვნის, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინა როგორც დღევანდელი ჩვენი შეკრების ორგანიზაციის საკითხში, ისე მისი დღის წესრიგის ფორმირების საქმეშიც. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ინსტიტუტმა, მისმა ხელმძღვანელობამ ზედმიწევნით სწორად შეაფასა საქმის ვითარება და განსახილველად, მეცნიერული სჯაბასის საგნად ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და აქტუალური საკითხი შემოგვთავაზა. ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ამ

წინადადებას მხარი დაუჭირეს საგვემო კომიტეტის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რესპუბლიკის სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების გამგეობამ, ცალკეულმა მეცნიერ-ეკონომისტებმა და, რა თქმა უნდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა ეკონომიკურმა განყოფილებამ.

ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენ ძალზე გულახდილი ლაპარაკი უნდა გვქონდეს რეგიონალურ სამეურნეო ანგარიშზე, მის არსსა და პრინციპებზე, მის მიზანსა და მოსალოდნელ შედეგებზე, იმ სამუშაოებზე, რომლებიც პირველ რიგში ჩვენ, ეკონომისტებმა უნდა განვახორციელოთ მის დასანერგად. აქ ჩვენ არ გვმართებს ემოციებზე დაყრდნობილი ლოზუნგობანა. ცივი გონებით ავწონ-დავწონოთ ყოველივე, რაც კი დაკავშირებულია რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან. მე მგონია, დღეს არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ასეთი ნაბიჯი უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს. მაგრამ ჩვენ არ გვმართებს საზოგადოების ყურადღებისა და სიმპატიების დამსახურება იმისთანა იაფფასიანი განცხადებებით, როგორც ერთ-ერთ თავყრილობაზე გამოითქვა ამასწინათ (სამწუხაროდ ისევ ეკონომისტის მიერ), თითქოს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის საკმარისი იყო რესპუბლიკის საზოგადოებრივი სიმდიდრის გათვლა-გაანგარიშება, ხოლო ამის გაკეთება კი ერთ თვეში, უქადურეს შემთხვევაში — სამ თვეში შეიძლებოდა.

ნურც იმისთანა მეცნიერებს ავყვებით, რომლებიც თვითონ მოდას აყოლილნი, ერთიანად გადახაზავენ ხოლმე თეორიაში უკვე მიღწეულ სიმადლებებს, მათ შორის, ყოველგვარ, უკვე აქსიომად ქცეულ ჭეშმარიტებებსაც. ნუ მოვიქცევით ისე, თითქოს ეკონომიკური აზრის ისტორია ჩვენიდან იწყებოდეს. ყველაფერი კარგია, რაც ემსახურება სოციალიზმს, მის განახლებას, მის განვითარებას. და პირიქით, ჩვენთვის მიუღებელი და ცუდია, რაც ჩვენი იდეოლოგიური მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. იაფფასიანი პოპულარობა და სენსაციურობა ჩვენ არ გვჭირდება. მაგრამ გავაგებინოთ ყველას, რომ ეკონომიკური მეცნიერება ყოველ შემთხვევაში, ბევრი მისი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ უმძიმეს ხანაშიც კი, როგორც იყო ეგრეთწოდებული უძრაობის პერიოდი, არც თუ ისეთ უწყინარ და შემრიგებელ პოზიციაზე იდგა. და თუ დღეს ჩვენ, მეცნიერ-ეკონომისტებს, ეკონომიკურ მეცნიერებას ჩამორჩენილობას გვსაყვედურობენ, ამასაც ზომ თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. მინდა ამ საკითხზე ჩემი რამდენიმე მოსაზრება მოგახსენოთ.

ოცდაათიანი წლების პოლიტიკურ რესპრესიებს ეკონომიკური მეცნიერებისათვისაც არ აუვლია გვერდი. ბევრი დიდად განსწავლული და ღრმად ერუდირებული მეცნიერ-ეკონომისტი შეეწირა ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ ბრძოლას. ამან გამოიწვია ისეთი ვითარება, რომ თავის გადარჩენის ინსტინქტმა აჯობა მეცნიერულ პრინციპულობას. ეკონომიკური მეცნიერება თანდათანობით მამეებლობასა და აპოლოგეტიკაში გადაიზარდა. იგი უკვე არ უკაფავდა გზას პრაქტიკას, არ იძლეოდა მის ობიექტურ ანალიზს, არამედ ამართლებდა და ასაბუთებდა ყოველივე იმას, რაც პრაქტიკაში ხდებოდა. გავრცელდა, ასე ვთქვათ, ციტატომანია: უხვად მოჰყავდათ მარქსიზმის კლასიკოსების გამოათქვამები და ეს ითვლებოდა ყოველგვარი დებულების დასაბუთების ერთადერთ და უტყუარ არგუმენტად. ამან, რა თქმა უნდა, ეკონომიკური, მეცნიერული აზრისა და აზროვნების საერთო დაქვეითება გამოიწვია.

ეკონომიკური აზროვნების განვითარება პოლიტიკის დიქტატის ქვეშ წარმართა. არა ცხოვრების სინამდვილე, არა პრაქტიკა, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის შეღამაზება-გამართლება და კომპლიმენტარულობა გახდა კვლევისა და მეცნიერული აზროვნების ობიექტი. ეკონომიკური პოლიტიკა კი მხოლოდ სიტყვიერად აღიარებდა ეკონომიკური კანონების ობიექტურობას, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში კი სრულებით უგულვებელყოფდა მათ. „სავარძელმა“ დაჯანსაღებული ეკონომიკური აზროვნება, ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მიეტმანა ეკონომიკურად გაუნათლებელი, მაგრამ უხვ-სიტყვიანი და ე. წ. „გამტანი“ კადრების უზარმაზარი ნაკადი. ბევრმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ დაიწყო ეკონომიკური მეცნიერების კანდიდატების და დოქტორების მასობრივი „გამოცხობა“. რაოდენობრივმა ზრდამ კი მეცნიერი კადრების საერთო ხარისხობრივი დონის დაქვეითება გამოიწვია.

არც ერთ მეცნიერებას არ შეუძლია განვითარება, თუ იგი არ იქნება შესაბამისი ინსტრუმენტარიუმით შეიარაღებული და არ ექნება მასაზროვებელი წყარო, ფაქტობრივი ობიექტური მასალა. ეს რა თქმა უნდა, ეხება ჩვენს მეცნიერებასაც. ჩვენს ეკონომიკურ მეცნიერებას ჰაერით სჭირდება ცხოვრების სინამდვილის ამსახველი რეალური ინფორმაცია. და თუ დღეს ეკონომიკური მეცნიერება ასეთ, მე ვიტყვოდი, სავალალო მდგომარეობაშია, ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი გახლავთ ინფორმაციის საშინელი დეფიციტი. დღეს ჩვენ არ გავაჩნია ცხოვრებისეული პრაქტიკის ობიექტურად ამსახველი ინფორმაცია და საქმე მარტო ის კი არაა, რომ ბევრი ეკონომიკური მონაცემი დახურული და გასაიდუმლოებულია. ის მასალა, რაც დღეს სტატისტიკური, სავაჭრო, ფინანსური და საბანკო ორგანოების მიერ ქვეყნდება, დამაჯერებელი და ზუსტი რომ იყოს, ბევრი საკითხის კვლევაც უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. სამწუხაროდ, ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც, პირველადი აღრიცხვა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ მათს საფუძველზე განსაზღვრული შემაჯამებელი მონაცემები მხოლოდ მიახლოებით ასახავენ სინამდვილეს. ასეთ მასალაზე დაყრდნობით კი რაიმე მეცნიერულ დასკვნებზე ლაპარაკიც ზედმეტია: დამახინჯებულ პირველად ინფორმაციას მხოლოდ არასწორი დასკვნების გამოტანამდე მივყავართ. არასწორი დასკვნებიდან კი სწორი რეკომენდაციების მიცემა შეუძლებელია. ინფორმაციის უკმარისობა და დამახინჯებულობა ეკონომიკური მეცნიერების ჩამორჩენილობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია.

კიდევ ერთ გარემომას მინდა გავუსვა ხაზი. ალბათ, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ დღეს ჩვენ ეკონომიკურ პრობლემებზე არც თუ ისე ცოტა საჯარო გამოსვლები გვაქვს.

საკმაოდ ვრცლად და სხვადასხვა ფორმით აშუქებენ ეკონომიკურ პრობლემებს ჟურნალები „საქართველოს კომუნისტი“, „ეკონომისტი“, ვახუთები „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „თბილისი“, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე არსებული ჩვენი რესპუბლიკური ვახუთები, „ლიტერატურული საქართველოც“ კი ჩაება ამ საყოველთაო „ეკონომიკურ ფერხულში“. ტელევიზია სისტემატურად და არც თუ ისე იშვიათად საინტერესოდ აწყობს ეკონომიკურ თემებზე მეცნიერებისა და პრაქტიკული მუშაების გამოსვლებს.

სამწუხაროდ, ყველა გამოსვლა და სტატია არ არის სათანადო დონეზე გააზრებული და ბევრ მათგანს ზედაპირულობა ახასიათებს. მაგრამ ჩვენ მაინც

მადლიერები უნდა ვიყოთ პრესის, რადიოს, ტელევიზიის მესვეურებისა, რომ ამდენ ყურადღებას უთმობენ ეკონომიკას. მათ გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტიც რომ აღზამდეს მხარს, მილად კარგი იქნებოდა. და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც შეინიშნება ერთი დიდი ნაკლი. ჩვენში ახლა მძლავრად, თუმცა არც ისე, როგორც საჭიროა, მოაზიგებს სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება, თვითმმართველობა. სახალხო მეურნეობაში მიმდინარეობს უდიდესი გარდატეხა — ინერგება იჯარის სხვადასხვა ფორმა, გავრცელებას პოულობს არენდა. ყალიბდება კოოპერაციის ბევრი ფორმა, ინდივიდუალურმა შრომითმა საქმიანობამ ბოლოს და ბოლოს აღიარება და არსებობის უფლებები მოიპოვა.

ამ სახალების გზაზე ბევრი სირთულეებია, მოულოდნელი წინააღმდეგობები ველობება. ხშირია შემთხვევა, როცა კოოპერაციის აბრით საქმოსნობა, სპეკულაცია პოულობს ასპარეზს.

ასეთ დროს საზოგადოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველივე დადებითის, პროგრესულის, მართლაც თანამედროვე ცხოვრების შესაბამისი მოვლენების გამოჩნხვას, მათ გაშუქება-განზოგადებას; მოწინავე მეთოდებისა და გამოცდილების ისეთნაირი აღწერა-გამოქვეყნება, რომ იგი სხვებსაც გამოადგეს და ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს, მეტად რთული მაგრამ საპატიო და მეტისმეტად აქტუალური პრობლემაა.

დღეს კი იმ ეკონომიკური პლურალისტური ინფორმაციის ნიაღვარში, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, ძალიან სუსტ ნაკადულად გამოიყურება ნამდვილად საჭირო, მოწინავე მეთოდებისა და გამოცდილების განზოგადოებისადმი მიძღვნილი სტატიები და გამოსვლები. სასურველია, რომ ეს ნაკლოვანება უახლოეს დროში გამოსწორდეს. თუ ჩვენი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები ამ ჩვენს სურვილს გაითვალისწინებენ, უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევენ. როგორც ეკონომიკურ მეცნიერებას, ისე მთელს საზოგადოებასაც.

ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს — რატომ დავუთმე ჩემი გამოსვლის ესოდენ დიდი ნაწილი ამ ორ საკითხს და რალაც ზომით გადავუხვიე მოხსენების ძირითად პრობლემას. მაგრამ აუცილებელი იყო, ჯერ ერთი, ერთგვარი პასუხი გამეცა ეკონომისტების ხელაღებით კრიტიკის მოყვარულთათვის, ხშირ შემთხვევაში მათი საზოგადოებრივი პრესტიჟის დაუმსახურებლად შელახვის მოსურნეებისათვის, მეორე — ხაზი გამესვა საზოგადოებრიობის ფართო ფენებთან ინფორმაციის საშუალებებით ჩვენი ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის მნიშვნელობისათვის, და მესამე — გამომეკეთა ეკონომისტთა რიგების შეკავშირების საჭიროება საერთო საქმის, შეიძლება ითქვას მეტად რთული. და მწვავე ეროვნული საკითხების სათანადო დონეზე გადაწყვეტის დროს. მიმაჩნია, რომ აზრთა სხვადასხვაობაზე დაფუძნებული ერთიანობა ამოცანის დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა უპირველეს ყოვლისა ეკონომისტ-მეცნიერების და პრაქტიკოსების შემოქმედებითი აზრის საფუძველზე არის მხოლოდ შესაძლებელი.

ახლა კი იმ ზოგიერთი კონკრეტული პრობლემის შესახებ, რომელთა ღრმად შესწავლა და გადაწყვეტა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მესახება. ზოგიერთი საკითხი გაშუქებული იყო ჩემს სტატიაში გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ და მათ აღარ გავიმეორებ.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა რეალიზმის შესახებ. როდესაც წამოვჭრით ამა თუ იმ საკითხს, პრობლემას, სრულფასოვნად უნდა შევიცნოთ და შევითვისოთ არსებული რეალობანი, შევძლოთ მათი ცვლილებების დასაბუთებელი წინჭვრეტა. თუ ამ რეალობებს მოვწყდით, ჩვენს მიერ დასახული ამოცანები, მათი გადაწყვეტის გზები ვერ იქნება დაფუძნებული მყარ ნიადაგზე. ამდენად ღრმად უნდა გავერკვეთ რესპუბლიკის ეკონომიკის შინაგან და გარეგან პროცესებში, ვხელმძღვანელობდეთ ისტორიზმის პრინციპებით, ვადაპტოთ ავწონ-დავწონოთ რა გვაქვს და როგორ, რა შეიძლება გვქონდეს და როგორ.

ჩემს გამოსვლაში არავითარ შემთხვევაში არ მაქვს პრეტენზია მოსაზრებების და დებულებების აუცილებლობაზე და უდავო ჭეშმარიტებაზე, იმაზე, რომ შევძლებ მეტნაკლები სისრულით შევევრა ყველასაკითხს. მაგრამ ვიმეორებთ — უცილობლად მიმაჩნია ჩვენს შემდგომ ერთობლივ მუშაობას საფუძვლად დაედოს არსებული რეალობანი, რომლებიც არც ისე მარტივია, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია, მათ შორის მე მგონი ზოგიერთ ეკონომისტსაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ამ ბოლო დროს საკმაოდ ფართო განხილვის საგანი გახდა, მეტ-ნაკლები ზომით გამოიკვეთა კონცეპტუალური პრობლემები, მაგრამ ამავე დროს ცხადი გახდა ამ პრობლემის სირთულეებიც. მას ასე ვთქვათ, ერთი ზელის დაკვრით ვერ გადავწყვეტთ და მუშაობის პროცესში კიდევ ბევრი ისეთი სირთულე იჩენს თავს, რომელზეც დღესდღეობით წარმოდგენაც არა გვაქვს. ესეც რეალობაა და მისი გაუთვალისწინებლობა არას გვარგებს.

პირველ რიგში უნდა გავერკვეთ რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშთან ნობმაში. რა არის ის, როგორ გვესახება, რა მიზანს ემსახურება, როგორ, რა გზით და საშუალებებით უნდა განხორციელდეს.

ჩემის ღრმა რწმენით, რესპუბლიკაში სამეურნეო ანგარიში არსებულ სინამდვილეში თვითმიზნად არ უნდა წარმოვიდგინოთ. იგი არის მიზნის მიღწევის საშუალება, ის მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსში რესპუბლიკის ეკონომიკური, ეროვნული და აქედან გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების უფრო სრული განხორციელება.

მე მგონია ამ აუდიტორიის წინაშე არ არის საჭირო იმის მტკიცება, თითქოს საკმარისი იყოს ერთდროული სახელმწიფოებრივი აქტის, დეკრეტის მიღება, რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამოცხადება და ყველა პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაწუხებს და გვალეუებს უცხად გადაწყვეტება. არაა საჭირო იმის ახსნა, რომ ღრმად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა გვაქვს, და როგორ, გავერკვეთ საგარეო ეკონომიკურ კავშირებში, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაში, (პრაქტიკულად კი ვისწავლოთ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანბანი), გავერკვეთ მსოფლიო ბაზრის ფასებში ენერგეტიკულ თუ სხვა სახის სანედლეულო რესურსებზე, მანქანა-მოწყობილობისა თუ ტექნოლოგიაზე, ფართო მონპარების საგნებსა თუ სურსათზე. ხოლო თუ რაოდენ დიდი მოცულობის სამუშაოებია ამისათვის საჭირო, და რომ მათ საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, მე მგონი ყველასთვის ნათელია. მე უკვე აღარ ვეხები იმას, თუ როგორი კომპეტენციის სპეციალისტები სჭირდება ყოველივე ამას.

გარდა ამისა, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას აქვს თავისი ღრმა შინაგანი ლოგიკა, ცალკეული ეტაპების მწყობრი ლოგიკური თანამიმდევრობა.

აუცილებელია ამ ლოგიკის გააზრება, ეტაპების გამოყოფა, თითოეული ნაბიჯის გადადგმის ზუსტად გაზომილი და შეწონილი სამოქმედო პროგრამის შემუშავება. სასურველ შედეგს ვერ მოგვეცემს არც მოვლენებისაგან ჩამორჩენა და არც აჩქარება. ამიტომ საჭიროა, რომ საკმაოდ კონკრეტურად განვსაზღვროთ საყრდენი წერტილები და ამოსავალი პოზიციები.

ერთ-ერთ ასეთ საყრდენ წერტილად, მიმაჩნია რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზმის პირველადი რგოლების სრულფასოვანი ფუნქციონირება სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, ეკონომიკური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა სწორედ ამ პირველად რგოლებში. მისი ლოგიკური გაგრძელება და თვისებრივად ახალი საფეხურები უნდა გახდეს ამ პრინციპების, ცალკეული ელემენტების გაერთიანება შიდა-რესპუბლიკურ რეგიონებზე, მათი თავისებურებების სრული გათვალისწინებით და შემდგომ მთლიანად რესპუბლიკაზე. ამავე დროს, რა თქმა უნდა, მოკლენათა ასეთ თანმიმდევრობას სრულებითაც არ ვსახავთ აბსოლუტად. ეს საკითხის მეტიმეტი გამართივება იქნება. რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის მექანიზმის ჩამოყალიბება იმავდროულად უნდა ხდებოდეს და ის თავის ზეგავლენას მოახდენს როგორც რეგიონების, ისე მეურნეობის პირველადი რგოლების თვითდაფინანსების გაღრმავებაზე და მასშალადამე, საერთოდ სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაზე, როგორც მიზანზე.

ამ მხრივ ზოგიერთი რამ უკვე კეთდება. პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საბიუჯეტო ურთიერთობათა სრულყოფის ცდები. ამავე დროს არსებითად უნდა გადაისინჯოს საგადასახადო სისტემა. ე. წ. „გაწერა“ მთლიანად უნდა შეიცვალოს გადასახადით, და რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს ამ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების უფლება. სამეურნეო ცხოვრების პროცესის მართვის დეცენტრალიზაციის პროცესს უფრო ინტენსიური წარმოეთვა სჭირდება. ამ მხრივ საკმაოდ სერიოზული მუშაობა საჭირო საწარმოთა დაქვემდებარების საკითხის გადასაწყვეტად. აუცილებლად მიმაჩნია, ერთის მხრივ, რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მასშტაბების მკვეთრი ზრდა და საკავშირო დაქვემდებარების შემცირება, და, მეორე მხრივ, თვით რესპუბლიკის შიგნით ადგილობრივი დაქვემდებარების მეურნეობის მასშტაბების გადიდება, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა, იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, რომლებიც უპირატესად ადგილობრივ ინტერესებს ემსახურება.

აქვე შეიძლება ითქვას, კოოპერატიული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარების პროცესის დაჩქარების შესაბამისი პირობების შექმნაზეც. მე მგონია, რომ დეცენტრალიზაციით და კოოპერატიული სფეროს განვითარებით უნდა იქნეს დაძლეული წარმოებისა და მომსახურების სფეროში მონოპოლიზმი და შეექმნას მყარი საფუძველი ჯანსაღ კონკურენციას, ეკონომიკის ფუნქციონირებას ეკონომიკური კანონების საფუძველზე, გამოეცალოს საფუძველი მართვის უპირატესად ადმინისტრაციულ ფორმას.

არის რა მიზნის მიღწევის საშუალება, სამეურნეო ანგარიში ყველა თავისი ფორმით და მეურნეობის ორგანიზაციის ყველა საფეხურზე თავისი სრული განხორციელებისათვის მოითხოვს საკითხთა მთელი კომპლექსის გადაწყვეტას, მათი დიდი ნაწილი კი ქვეყნის მასშტაბით უნდა გადაწყდეს. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ გარეშე მაკცერალის როლში უნდა ვიყოთ და აქტიური მონაწილეობა არ მივიღოთ მათ გადაჭრაში გამომდინარე რესპუბლიკის ინტერესებიდან.

მხედველობაში მაქვს შემდეგი:

— ექვივალენტური გაცვლის პირობების შექმნა შრომით კოლექტივებსა და რეგიონებს შორის ობიექტური პირობებით ჩამოყალიბებული ფასების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება საერთოდ მხოლოდ ლოზუნგად დარჩება.

— რენტული ურთიერთობების საკითხის გადაწყვეტა, რაც ჩვენთვის უაღრესად აქტუალურად მიმაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონალურმა სამეურნეო ანგარიშმა შესაძლოა კიდევ უფრო გააღრმავოს განსხვავება ცალკეული რესპუბლიკების თუ შიდარესპუბლიკური რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეში. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ფასების რეფორმას, საგადასახადო სისტემის გარდაქმნას, რენტული შემოსავლების გადანაწილებას.

— ეკონომიკის დეფიციტურობის დაძლევა. ეს არის დღეისათვის უაღრესად მწვევე პრობლემა და მისი გადაწყვეტა არც ისე იოლია, როგორც ზოგჯერ გვგონია ხოლმე. საკითხი ეხება არა მარტო სურსათისა და სამომხმარებლო საქონლის დეფიციტს, არამედ თანამედროვე წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიების უდიდეს ნაკლებობას. სამეურნეო ანგარიში გულისხმობს საქონლის უაღრესად განვითარებული, თავისუფალი სოციალისტური ბაზრის არსებობას, მათ შორის წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიისა. ნორმალური სასაქონლო ბაზრის ჩამოყალიბებამ უნდა შეცვალოს მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებების ამჟამინდელი ცენტრალიზებული განაწილება — როცა ყველა რესურსი ცენტრში იყრის თავს და შემდეგ ნაწილდება.

რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გზაზე უმნიშვნელოვანესი მომენტია სურსათზე, მოხმარების საგნებზე და მომსახურებაზე მოსახლეობის გონიერი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის უდეფიციტობა.

რესპუბლიკურმა სამეურნეო ანგარიშმა, ერთის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ამ ამოცანის გადაწყვეტა, მეორეს მხრივ მათი გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი თავისუფალი სოციალისტური ბაზრის ფუნქციონირება, შრომითი საქმიანობის ექვივალენტური გაცვლა რესპუბლიკებსა და რეგიონებს შორის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან, შესაბამისად განვითარდეს სამეურნეო ანგარიშობრივი ურთიერთობანი.

ამ დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის კომპლექსური განვითარება, რისკენაც ჩვენ ვიღებთ ორიენტაციას და რასაც ვასაბუთებთ, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს სპეციალიზაციის გაღრმავებას იმ პროდუქციის წარმოებაზე და მომსახურების სახეებზე, რომლისთვისაც გვაქვს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები. სპეციალიზაციის პროდუქციის უდიდესი ნაწილი გამიზნული უნდა იყოს ექვივალენტური გაცვლისათვის. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა მკაფიოდ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი სამეურნეო განვითარების პერსპექტივების პრიორიტეტები — სტრატეგია და მისი განხორციელების კონკრეტული გზები — ტაქტიკა.

ყველა ეს მომენტი ერთმანეთთან მკაცრ დიალექტიკურ ურთიერთობაშია და უნდა გადაიჭრას ერთდროულად და კომპლექსურად.

ამ თვალსაზრისით უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება 2005 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის განხილვის პროცესში. ვიმეორებ, გვეკისრება უდიდესი პასუხის-

მგებლობა. არ შეეუდგები გაშლილი დისკუსიის დეტალურ განხილვას. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ გარემოებას. სამწუხაროდ ზოგიერთ გამოსვლაში, იქნება ეს პრესის ფურცლებზე თუ ტელევიზიით, არც თუ ისე იშვიათია ზედაპირულობა და კონსტრუქციული წინადადების უდიდესი ნაკლებობა. ეს დეფიციტიც დასაძლევია გვაქვს ჩვენს მუშაობაში. მე მგონია, როდესაც რაიმეს ვაკრიტიკებთ უნდა შეგვეძლოს ალტერნატივის შემოთავაზება, არა ლოზუნგის თუ თეზისის სახით, არამედ კონკრეტული განგარიშებებით, და დასაბუთებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსია უნაყოფო იქნება, კრიტიკული ბათოსი არ გადაიზრდება რეალურ მოქმედებაში. დრო კი თვალსა და ხელს შუა შემოგვეცლება და ყოველმხრივ შეწონილი სამოქმედო პროგრამა არ გვექნება. შემდგომ დაიწყებთ თავის გამართლებას, ისევე გამოვავლენთ ურმის გადაბრუნების შემდეგ უამრავ შეცდომებს, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. ამის გაკეთების უფლება დღეს არამც და არამც არა გვაქვს სწორედ ამ შეკრებილ საზოგადოებას.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის კონცეფცია, რომელიც ჩვენ უნდა დავამუშაოთ, ორგანულად უნდა შეერწყას ამ სქემასაც და რაც მთავარია უკვე მომავალი ხუთწლიანი გეგმის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

თქვენ ყველა გაცნაით იმ პროგრამას, რომელზეც უნდა ვიმუშაოთ რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშის ჩამოსაყალიბებლად და ამ პრინციპებზე გადასვლის მოსაშაადებლად. ბევრი რამ თვით მუშაობის პროცესში დაზუსტდება. ერთგვარი საფუძვლები ამ პროგრამის ხორცშესხმისათვის რესპუბლიკაში შექმნილია იმ გამოკვლევებით, რომლებიც ტარდებოდა ინსტიტუტებში, კათედრებზე, ცალკეული მეცნიერების მიერ. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ზოგიერთი საკითხი, რომელიც უკვე არსებობს და შემდგომი მუშაობის პროცესში წამოიჭრება, შეიძლება ჩვენი ძალებით ვერც დავამუშაოთ. თუნდაც საგარეო ეკონომიკური კავშირებისა, ცალკეული რეგიონების თავისუფალ ეკონომიკური ზონად გამოცხადებისა და სხვა. ამ დროს გვმართებს საქმიანი შემოქმედებითი კავშირების დამყარება ქვეყნის შესაბამის ცენტრებთან, ანდა საზღვარგარეთის სპეციალისტებთან, იმ სოციალისტურ ქვეყნებთან, რომელთაც ერთგვარი გამოცდილება უკვე დააგროვეს.

ჩემი გამოსვლა მინდა დავამთავრო ისევ და ისევ სურვილით, რომ ჩვენ მივალწიოთ ძალების კონცენტრაციას, რიგების შემჭიდროებას, ზოგიერთ შემთხვევაში გონიერ კომპრომისზე წასვლას, საერთო საქმის საკეთილდღეოდ. გვქონდეს აზრთა სხვადასხვაობა, კონცეფციათა თუ კონკრეტულ სამოქმედო ნაბიჯების ალტერნატიული ვარიანტები, მაგრამ უნდა შევძლოთ ისევ და ისევ შევეკავშირდეთ ყოველმხრივ შეწონილი ერთიანი საბოლოო ვარიანტის ასარჩევად, რაც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის, ქართველი ერის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური აღმავლობის საწინდარი იქნება.

2. ავთანდილ გუნი

საქართველოს ეკონომიკის ტერიტორიულ-მეურნეობრივი ანგარიშიანოგის პრინციპებზე გადასვლის საკითხისათვის

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო რეალურ შესაძლებლობას ქმნის საერთო-სახელმწიფო და მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გასაძლიერებლად. ჩვენი აზრით, ეკონომიკის მართვის რეფორმაში ეს ფრიად მნიშვნელოვანი მხარეა. ამან ასახვა ჰპოვა XIX საკავშირო პარტიკონფერენციის რეზოლუციებში, სადაც აღნიშნულია, რომ „რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, დემოკრატიზაციის პროცესი ფართო ასპარეზს უხსნის როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებათა, ისე მთლიანად ქვეყნის ინტერესების ოპტიმალურ შეხამებას, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მშრომელებმა კარგად იცოდნენ, რამდენს აწარმოებს რესპუბლიკა თუ ოლქი. როგორია მისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში და რამდენს იღებს თვითონ“¹.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა სრულიად ახლებურად, ძველი სტერეოტიპიდან მკვეთრად განსხვავებულად, სვამს რეგიონული ეკონომიკის მართვის ფორმირებისა და მეთოდების გადახედვის და მათი არსებითად შეცვლის საკითხს. მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა მოინახოს თვისებრივად ახალი მაჩვენებლები, რომლებიც უფრო ზუსტად ასახვენ სოციალისტურ სახელმწიფოში, სოციალისტური ფედერაციის სისტემაში, მაგრამ საკუთარ ნიადაგზე განვითარებად ეკონომიკის ეფექტიანობას. ეს, ჩვენი აზრით, ნიშნავს იმას, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მოთხოვნილებები მის მიერ წარმოებული პროდუქციით, ამასთანვე შეიტანოს გარკვეული წილი საკავშირო ბაზარზე რესპუბლიკათა შორის ექვივალენტურ ორმხრივი მომგებიანი საქონელგაცვლის საშუალებით და უზრუნველყოს როგორც რესპუბლიკათაშორისი (რეგიონთაშორისი), ეკონომიკური გაცვლითი (სავაჭრო), ასევე საგარეო სავაჭრო დადებითი (აქტიური) ბალანსი.

ეს დაკავშირებულია არსებით თვისებრივ ძვრებთან ეკონომიკაში, შესაძრინვე სტრუქტურულ ცვლილებებთან მატერიალური წარმოების სფეროში, უპირველესად მრეწველობასა და აგარარულ სექტორში.

მართვის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის რეალური რეგიონული სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ფორმირება, რომელსაც შესაძლებლობა ექნება ერთიანობაში გადაწყვიტოს საწარმოო ძალების და წარმოებრივ ურთიერთობათა განვითარება, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. რესპუბლიკა

¹ სკვპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციები „ერთაშორისი ურთიერთობათა შესახებ“ (საქ. კომუნისტი № 7, 1988 წ.).

პასუხისმგებელი უნდა იყოს მის ტერიტორიაზე გაადგილებული რესპუბლიკური და საკავშირო (სსრკ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად) დაქვემდებარების ყველა საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

უნდა შეიქმნას რეალური წანამძღვრები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველსაყოფად.

არსებითი თვისებრივი ცვლილებები უნდა მოხდეს რესპუბლიკათაშორის ეკონომიკური ურთიერთობებში, აგრეთვე, რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, უპირველეს ყოვლისა კი საკავშირო ორგანოებთან ეკონომიკური ურთიერთობაში.

ახლებური მიდგომა უნდა მოქმედებდეს ყველა იმ ქვეყნისადმი, რომლებთანაც რესპუბლიკას (იგულისხმება აგრეთვე ცალკეული საწარმოები, გაერთიანებები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.) ექნება ურთიერთობა, მიუხედავად არსებული სახელმწიფო სოციალური სისტემისა.

ამასთანვე თვისებრივი სიახლეები ეკონომიკურ და მეცნიერულ-წარმოებრივ ურთიერთობებში რესპუბლიკას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ეკონომიკური და სამართლებრივი დამოუკიდებლობის პირობებში, როგორც სსრკ სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, მაგარმ რომელიც განაგებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, გაერთიანებების, სამეცნიერო დაწესებულებების და უწყებების მიერ წარმოებულ ყველა სახის პროდუქციას. ამრიგად, თვითმართველობის ძირითად პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობასაც, წარმოადგენს უფლება საკუთრებაზე. რესპუბლიკა დამოუკიდებლად უნდა ფლობდეს (თანამესაკუთრო უნდა იყოს), იყენებდეს და პასუხს აგებდეს ამ საკუთრებაზე. ამის გარეშე, შეუძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად. ამასთანვე სოციალისტური ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია საერთო მძლავრი ცენტრის გარეშე. მხედველობაში მაქვს ისეთი საკითხების გადაწყვეტა როგორცაა გლობალური სტრუქტურული ძვრები ეკონომიკაში, საინვესტიციო პოლიტიკა, მსხვილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების განხორციელება, აუცილებელი პირობების შექმნა საწარმოების და გაერთიანებების ეფექტიანი მუშაობისათვის, როგორც სოციალისტურ საქონელმწარმოებლისა სოციალისტურ საკუთრებათა ურთიერთობების გარდაქმნა. მათი მრავალფეროვნება (სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული, ინდივიდუალური, შერეული და სხვ.), რომელიც ახლა ეკონომიკაში საკმაოდ აქტიურად, ამავე დროს წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს.

როგორც ჩანს საკუთრებრივი ურთიერთობა თანამედროვე სოციალიზმის კონცეფციის მთავარი პრობლემაა, ამის გადაწყვეტა კი საერთოდ საკავშირო, უფრო მეტიც, მსოფლიო სოციალისტური სისტემის გლობალური ამოცანაა. ეს მთლიანად შესაბამისება იმ დებულებას რომელიც 1988 წ. ივლისის პლენუმზე იყო მითითებული. აქ აღნიშნული იყო, რომ მიდგომა ერთგვაროვანი უნდა იყოს, ყველაფერი რის გადაწყვეტაც შესაძლებელია ადგილზე, უნდა იყოს ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში.

ამეამად რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების სამრეწველო პროდუქცია რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში შეადგენს 31% (1986 წ.); მთლიანად საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში).

2. „მანკენ“ ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989, № 1.

საქ. სსრ კ. შარქისი
საბ. სახ. რესპუბ.
ბ. ბლიოთეკა

რების) დაქვემდებარებისა 91%, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის 9%². როგორც ჩანს, სამრეწველო პროდუქციის 90%-ზე მეტი იწარმოება იმ საწარმოებსა და გაერთიანებებში, რომლებიც უშუალოდ ან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად არიან საკავშირო ორგანოების მმართველობაში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრეწველობის საქმიანობის მართვის ასეთი მაღალი კონცენტრაცია საკავშირო ორგანოებში აქვეითებს რესპუბლიკური ორგანოების პასუხისმგებლობასაც და დამოუკიდებლობასაც, რაც, თუ აღრე დასაშვები იყო, ახლა ყოველად გაუმაართლებელია. ეს კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კომპლექსურობას. ამგვარ პირობებში შეუძლებელია განხორციელდეს მეურნეობრივი ანგარიშგაწინააღმდეგობის ტერიტორიული (რეგიონული) პრინციპი რამდენადმე რეალურად.

ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მეფი მოგებიდან საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მოდის 35,7% (1986 წ.), მრეწველობაში შესაბამისად — 39,9%, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე შესაბამისად — 64,3%; 60,1%, მათ შორის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე — 44,9%; 50,9%, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე — 19,3%, 9,2%³.

ამგვარად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობიდან (80,1%) და მრეწველობიდან (90,8%) მიღებული მოგების ძირითადი ნაწილი (1986 წ.) მოდიოდა საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე.

რაც შეეხება რესპუბლიკის გარეთ საქონელბრუნვას ამჟამად საქართველოს სსრ ბალანსი რესპუბლიკის გარეთ საქონელბრუნვაში (რესპუბლიკათა-შორის) საერთოდ დადებითია (აქტიურია), გატანა აღემატება შემოტანას 13,2% (1986 წ.), მათ შორის მრეწველობის პროდუქციის — 10,1%-ით, სოფლის მეურნეობისა — 81,8%, აქედან მემცენარეობის პროდუქციის — 222,4% (მეცხოველეობის პროდუქციაზე კი ბალანსი უარყოფითია, გატანა შეადგენს 1,1%, შემოტანა 98,9%).

საქართველოს სსრ- რესპუბლიკათაშორისო საქონელბრუნვაში აქტიური ბალანსი აქვს 6 მოკავშირე რესპუბლიკასთან (რსფსრ, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის) ხოლო 8-სთან (უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია და მოლდავეთი) — პასიური.

საგარეო საქონელბრუნვაში სავაჭრო ბალანსი უარყოფითია. ექსპორტი შეადგენს იმპორტის მხოლოდ 20,9% (1986 წ.) ანუ საგარეო სავაჭრო საქონელბრუნვის მხოლოდ 17,8%).

აღსანიშნავია რესპუბლიკათაშორისი მჭიდრო და საკმაოდ ფართე ეკონომიკური კავშირები, ასე, საქართველოდან 1986 წ. გატანილი იქნა სსრ კავშირის ფარგლებში 78, ხოლო შემოტანილი 100 დარგის და ქვედარგის პროდუქცია. რაც შეეხება საგარეო საქონელბრუნვას საქართველოდან სასაღარაგო გარეთ გატანილი იყო 41, ხოლო შემოტანილი 69 დარგის და ქვედარგის პრო-

² Народное хозяйство Грузинской ССР. Юбил. стат. ежг., 1987, с. 54.

³ Финансы Грузинской ССР, статб. сб. (1985 г.), Госкомстат ГССР, с. 55.

დუქცია. საერთოდ რესპუბლიკის გარეთ საქონელბრუნვიდან საბჭოთა კავშირ-ზე მოდიოდა ჯამური საქონელბრუნვის 88,8%, ხოლო საგარეო საქონელბრუნ-ვაზე 11,2%. მთლიანად 1986 წ. საქართველოდან გატანილი იყო 1986 წ. წარ-მოებული სამარწველო პროდუქციის 45,2%, მათ შორის სსრ კავშირის ფარ-გლებში — 43,3%, საზღვარგარეთ — 1,9%, ხოლო შემოტანილი იყო შესა-ბამისად 46,9%; 39,4% და 7,5%.

რესპუბლიკის გადასვლა სამეურნეო პრინციპებ-ზე ახლებურად სვამს რესპუბლიკური და ადგილობ-რივი ბიუჯეტების ფორმირების საკითხს.

ბოლო თითქმის 50 წლის (1940-86 წწ.) მანძილზე სსრკ სახელმწიფო ბიუ-ჯეტის გასაველების სტრუქტურაში, ბიუჯეტების სახსრების მიხედვით, საქმოდ არსებითი ცვლილება მოხდა.

საკავშირო ბიუჯეტის და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების თანფარდობის დინამიკა (სსრკ სახ. ბიუჯეტი-100).⁴

	1940	1960	1970	1980	1985	1986
საკავშირო ბიუჯეტი	75,8	41,8	52,1	53,6	52,5	53,5
მოკავშირე რესპუბლიკე-ბის ბიუჯეტი	24,2	58,8	47,9	46,4	47,5	46,6

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რეს-პუბლიკების ბიუჯეტებს შორის არსებითი განსხვავების შემდეგ (1940 წ.), სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტში მოხდა საკავშირო ბიუჯეტის ზედრი წილის მკვეთრი შემცირება (1960), შემდგომ (1970 წ.) იგი ოდნავ ამადლდა და მათ შორის თანფარდობა უფრო სტაბილური გახდა. ეს შეიძლება აიხსნას როგორც საკავ-შირო, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების მნიშვნელოვანი განმტკი-ცებით.

ბოლო 50 წლის განმავლობაში დამახასიათებელი იყო რესპუბლიკების ბიუჯეტების მუდმივი წინმსწრები ზრდა. 1960 წ. 1940 წელთან შედარებით ე. ი. 20 წლის მანძილზე სსრკ ბიუჯეტის დანახარჯების ნაწილი გაიზარდა 4,2-ჯერ, საკავშირო — 2,2, მოკავშირე რესპუბლიკების — 10,2; 1986 წ. 1960 წელთან შედარებით, ე. ი. 26 წლის განმავლობაში შესაბამისად — 5,7-ჯერ, 7,4, 4,5-ჯერ. მთლიანად 46 წლის მანძილზე (1940-86) — 23,9, 16,9 და 46,2-ჯერ. როგორც ჩანს, განსაკუთრებით მკვეთრად გაიზარდა მოკავშირე რესპუბ-ლიკების ბიუჯეტის (გასაველები) მოცულობა 1940-1960 წლებში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გასაველები 1970 წ. 1940 წელთან შედარებით 124,6 მლნ მანეთიდან გაიზარდა 1466,5 მლნ მანეთამდე. ანუ 11,8-ჯერ. ხოლო 1986 წელს 1970 წელთან შედარებით — 2,4-ჯერ, სულ 1940-1986 წწ. 28,8 ჯერ სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტში გასაველებში მისი ზედ-რი წილი შეადგენდა 1940 წ. 0,70-ს, 1970 წ. 0,90%, 1986 წ. 0,86%. შემოსა-ვლებში, შესაბამისად 0,70%, 0,95 და 0,87%, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკე-ბის ბიუჯეტების გასაველებში 1940 წ. 2,90% და 1986 წ. 1,85%⁵.

⁴ Народное хозяйство СССР за 70 лет, Юбил- стат. ежг., М., 1987, с. 632.
⁵ განგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 70 лет, с. 267-268.

სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს სსრ ბიუჯეტის ხვედრი წილი, თუ შევადარებთ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს საკმაოდ დაბალია, დაბალია მოსახლეობის ხვედრი წილის (1,9%) მიმართაც სსრკ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ეკონომიკურად ძირითადია ნაციონალური შემოსავალი. არსებითად მისი საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ყველა ძირითადი ეკონომიკური წყარო ეფუძნება ნაციონალურ შემოსავალს.

ამჟამად თანაფარდობას წარმოებულ ნაციონალურ შემოსავალსა და ბიუჯეტს შორის მთლიანად, და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, არ შეიძლება ოპტიმალური ეწოდოს. ოპტიმალური არ არის აგრეთვე საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის და ბიუჯეტის ხვედრი წილის თანაფარდობა სსრკ შესაბამის მაჩვენებლებში.

1986 წ. სსრკ ნაციონალური შემოსავალი შეადგენდა 587,4 მლრდ მან. საქართველოს სსრ — 11164,1 მლნ მან. ანუ 1,9%; საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი (3661,6 მლნ მან. შემოსავალი) სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტში (419,5 მლრდ. მან. შემოსავალი) 0,8% შეადგენდა. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საქ. სსრ ნაციონალური შემოსავალი (2132,9 მან.) სსრკ ნაციონალურ შემოსავალთან (2106,9 მან.) 101,3%-ს შეადგენდა, ხოლო საქ. სსრ ბიუჯეტში (699,6 მან.) სსრკ ბიუჯეტთან (1504,7 მ.) — 46,5%-ს.

შევადაროთ საქართველოს ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამის მაჩვენებლებს ესტონეთის სსრ, რომელიც აქტიურად ემზადება ტერიტორიულ მეურნეობრივ ანგარიშშიანობაზე გადასასვლელად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უკანასკნელ წლებში ესტონეთის ეკონომიკაც ხასიათდება უარყოფითი ტენდენციებით, რამაც საგრძნობლად ჩამოაჩინა იგი.

აქ აშკარად გამოიხატება საქართველოს სსრ ეკონომიკის, შედარებით ეს საქართველოს სსრ და ესტონეთის სსრ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების თანაფარდობა შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებთან (1985 წ. სსრკ-100%)⁶

	საქართველოს სსრ	ესტონეთის სსრ
მოსახლეობის რაოდენობა	1,9	0,55
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი	1,59	0,70
ნაციონალური შემოსავალი	1,78	0,65
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	1,55	0,71
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	1,94	0,83
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,9	0,55
მშენებლობა	1,53	0,68
ვაჭრობა, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, გასაღება და მზადება და სხვ. დარგები	1,67	0,73
სახელმწიფო ბიუჯეტი	0,87	0,44
ნაციონალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე	99,1	117,9
ბიუჯეტი მოსახლეობის ერთ სულზე	45,9	80,5

⁶ გაანგარიშებულია: Народное хозяйство СССР за 70 лет, с. 122, 628; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 17, 18, 179; Народное хозяйство Эстонской ССР в 1985 г., изд. 1986, с. 20-21.

ტონეთის სსრ ეკონომიკასთან უფრო დაბალი ეფექტიანობა, ესტონეთში თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის დონე შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში, აღემატება მოსახლეობის დონეს სხვა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ეს ფრიად მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ 1970-1985 წწ. ესტონეთის სსრ-ში გამოყენებული ნაციონალური შემოსავალი აღემატებოდა წარმოებულ ნაციონალურ შემოსავალს.

საქართველოს სსრ-ში 16 წლის განმავლობაში (1970-86 წწ.) გამოყენებული ნაციონალური შემოსავალი აღემატებოდა წარმოებულს, შემდგომ წლებში კი წარმოებულ ნაციონალური შემოსავალი აღემატებოდა გამოყენებულს. ეს დადებითი ტენდენციაა.

უარყოფით ეკონომიკურ ფაქტორად, რომელიც ხელოვნურად ამღლებს ესტონეთის სსრ ეკონომიკის ეფექტიანობას, შეიძლება ჩაითვალოს გამოყენებული ნაციონალური შემოსავლის წარმოებულზე უპირატესობის ხანგძლივობა. მაგრამ, კომპლექსში, მისი ეკონომიკა უფრო ეფექტიანია. (ამაზე მეტყველებენ ასეთი მონაცემებიც: თუ ესტონეთის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს გაანგარიშებულს მოსახლეობის ერთ სულზე ავიღებთ 100% (1985 წ.) საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე მის მიმართ შეადგენს 65,5%, ნაციონალური შემოსავალი, შესაბამისად — 65,0%, სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავალი) — 62,1%, ბიუჯეტიდან დანახარჯები: ა) სახალხო მეურნეობაზე — 43,8%, ბ) სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე და მეცნიერებაზე — 76,2%). აქ შექმნილია უფრო რეალური პირობები რესპუბლიკის ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშმართობაზე გადასასვლელად.

წარმოებულ და გამოყენებული ნაციონალური შემოსავლის თანაფარდობაში ამგვარი ცვლილებები, მისი გადანაწილების შედეგად, თუ, მათ ქრონიკული ხასიათი არა აქვთ, საყვებთ კანონზომიერია. ეს თვისებრივად დამახასიათებელია, ანუ შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრი წილის უფრო რაციონალური შეფარდება მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის ხვედრი წილთან შესაბამის საერთო საკავშირო მონაცემებში, გამოხატავს მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მეტ ეფექტიანობას. სახალხო ბიუჯეტის და მოსახლეობის ხვედრი წილის ამგვარი, ჩვენის აზრით, უფრო რაციონალური შეფარდება შესაბამის საშუალო საკავშირო მონაცემებში (1988 წ.) შეინიშნება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (ლიტვაში რესპუბლიკის ბიუჯეტის ხვედრი წილი საკავშირო ბიუჯეტში შეადგენს 0,89% მოსახლეობისა 1,20%, ლატვიაში შესაბამისად 0,60% და 0,94, ესტონეთში — 0,44% და 0,55%. საქართველოში კი 0,87 და 1,9%).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში დაწყებულია გამოყენებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობის უპირატესობა წარმოებულზე, ჯერ კიდევ მოქმედებენ მრეწველობის რენტაბელობის დონის დაცემის ტენდენციები (1970—1986 წწ.).

აღნიშნულ პერიოდში რენტაბელობის დონის შემცირება დამახასიათებელია არა მარტო საქართველოსათვის. ეს რასაკვირველია საგრძნობლად ამუხრუჭებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. საერთოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ არის მრავალი სხვა ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებელი

მრეწველობის რენტაბელობის დონის დინამიკა⁷

	1970 წ.	1980 წ.	1985 წ.	1986 წ.
საქართველოს სსრ	13,4	10,6	8,0	7,3
ესტონეთის სსრ	22,3	16,4	12,7	—
სსრკ	21,5	12,2	11,9	12,5

რომელსაც ახასიათებს საკმაოდ რთული ვითარება ეკონომიკაში, რაც აძნელებს გარდაქმნის პროცესს. ამიტომ, ჩვენის აზრით, იმ გამოცდილებას, რომელიც მივიღეთ 1988 წ. და მივიღებთ 1989 წ. ყველა საწარმოების მართვის ახალ სისტემაზე მუშაობის პროცესში, აგრეთვე ისეთი პრობლემების გადაჭრაში როგორცაა ფასწარმოქმნა და საწარმოო საშუალებებზე თავისუფალი ბაზის შექმნა, არსებითი პირობები შეიქმნება რესპუბლიკის მეურნეობრივ ანგარიშობის პრინციპებზე გადასვლისათვის. ეკონომიკური დამოუკიდებლობა, გამოსატული თვითღაფინანსება, თვითგამოსყიდვასა და თვითმმართველობაში, ჩვენია აზრით, უნდა გულისხმობდეს 1) საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მთლიანად გადასვლას რესპუბლიკის დაქვემდებარებაში 2) რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების და ორგანიზაციების შემოსავლებიდან ანარჩებების ნორმატივების არსებით გაზრდას; 3) გარანტირებული რესპუბლიკათაშორისი დადებითი სავაჭრო ბალანსის არსებობას; 4) გარანტირებული დადებითი საგარეო ვაჭრობის ბალანსის არსებობას; 5) რესპუბლიკისათვის ეკონომიკურად ეფექტიანი ერთობლივი საწარმოების შექმნას საზღვარგარეთის ფორმებთან (სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებთან); 6) რესპუბლიკის გარეთ სარეალიზაციოდ გატანილი მთელი პროდუქციის დამთავრებულად ჩათვლას (პირველადი გადამუშავების ჩაის, ყურძნის და სხვ.) და ბრუნვის გადასახადის რესპუბლიკის ბიუჯეტში შეტანას, აგრეთვე რესპუბლიკაში მოხმარებისათვის დამთავრებული პროდუქციის მოცულობის გაზრდას რესპუბლიკის გარეთ მისი შემდგომი დამუშავების (ჩამოსხმა, დაფასოება) შემცირების ხარჯზე, 7) სიგარესპუბლიკური ეკონომიკური რეგიონების ისეთ ფორმირებას, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის ფარგლებში ტერიტორიულ-სამეურნეო ანგარიშობის განხორციელებას.

ამავე მიზნით, ბრუნვის გადასახადი, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ეს არსებითი წყარო, აბსოლუტურადაც და შეფარდებითაც უნდა გაიზარდოს. ეს გაპირობებული იქნება სახალხო მოხმარების, განსაკუთრებით კულტურული დანიშნულების საქონლის მოცულობის რეალიზაციის ზრდით. ასევე წარმოების საშუალებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი გაფართოებით, ე. ი. სახალხო მოხმარების სავებით და წარმოების საშუალებებით ვაჭრობის ბაზრების გაფართოებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, იმას, რომ საქართველოს მრეწველობის მოგების დონე შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებში შეადგენს 0,9%, იმ დროს როდესაც საქართველოს სსრ მოსახლეობის ხვედრითი წილი სსრკ მოსახლეობაში შეადგენს 1,9%-ს, ხოლო საქართველოს მრეწველობის 1,56, მაშინ ნათელი ხდება ბიუჯეტში შემოსავლის ამაღლების შესაძლო რეზერვე-

⁷ Народное хозяйство Грузинской ССР, юб. стат. ежег., с. 263; Народное хозяйство Эстонской ССР, стат. ежег., 1985, изд. 1986, с. 279; Народное хозяйство СССР за 70 лет, с. 623.

ბი, ეს მეტყველებს იმაზე, რომ წარმოებრივი ხასიათის ისეთი წყაროები, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკის, როგორც მატერიალური წარმოების სფეროს ეკონომიკურ შინაარსს, ასევე მისი სახელმწიფო ბიუჯეტის სიდიდეს, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ და აუცილებელ პირობას წარმოადგენენ ეკონომიკის ტერიტორიულ მეურნეობრივ ანგარიშისათვის გადასვლისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ეს ეხება არა მარტო მრეწველობას, არამედ სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, მომარაგებას, და გასაღებას, კომუნალურ მეურნეობას, რომელთა ფუნქციონირების ეფექტიანობა დაბალია (ესტონეთის სსრ ყველა აღნიშნული დარგის, გარდა კომუნალური მეურნეობისა, ფუნქციონირების ეფექტიანობა უფრო მაღალია).

ასეთ პირობებში თვითდაფინანსებაზე გარანტირებული გადასვლისათვის სამრეწველო საწარმოების რენტაბელობის აუცილებელ ამალეებასთან ერთად, საჭიროა გადაიჭრას ევრო წოდებული გეგმით ზარალიანი და ფაქტიურად ზარალიანი საწარმოების პრობლემა:

	1986 წ. ეს შეადგენდა ⁸		ზარალის ჯამი (მლნ. მ.)
	წარმოების რაოდენობა	%-ით საწარმოების საერთო რიცხვთან	
გეგმური-ზარალიანი	42	5,4	31,3
ფაქტიურად-ზარალიანი	88	11,3	75,9

როგორც ჩანს, სრული სამეურნეო ანგარიშისათვის პირობებში პრინციპულად უნდა ვალიართ ცნებების გეგმური — ზარალიანი საწარმოების და გეგმიანი ზარალის გამოუსადეგრობა. ისინი მნიშვნელოვანწილად ამცირებენ წარმოების ეფექტიანობას (ამგვარი მოვლენები შეიძლება დაეშვათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როცა ასეთ საწარმოს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და შესაძლებლობა არა გვაქვს ამ ეტაპზე სხვაგვარად მისი პროდუქციით მოთხოვნილების უზრუნველყოფისა).

ამეამად საქართველოს წინაშე დგას ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა ამაღლდეს საბიუჯეტო მონაცემების ხედრითი წილი, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილებში, შემოსავალთა და გასავალთა ძირითადი წყაროების მიხედვით წარმოებულ და მოხმარებულ ეროვნული შემოსავლის საშუალო საკავშირო მაჩვენებლის მაქსიმალურად მიახლოებულ დონემდე. ამისათვის კი საჭიროა გამონახული იყოს შესაბამისი წყაროები. ამგვარი საორიენტაციო შესაძლებელი წყაროები, ჩვენის აზრით, შეიძლება იყოს (ნორმატივების მიხედვით მლნ. მანეთი).

ბრუნვიდან გადასახადი	18—19
გადასახადი მიწის	450
გადასახადი წყლის სარგებლობაზე	80
გადასახადი შრომით რესურსებზე	83
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ანარიცხები მოგებიდან	65
ს უ ლ	678

⁸ Финансы Грузинской ССР, стат. сб. (1986), изд. 1987, с. 64-65.

თუ ბიუჯეტის 3634,1 მლნ მან. (1986 წ.) მოვუმატებთ ამ წყაროებსაც, მაშინ ის გაიზარდება 4312,1 მლნ მან. ანუ 18,6%-ით მაგრამ ეს არაა საკმარისი, ჩვენი აზრით, რესპუბლიკის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს არანაკლებ 1,5 ჯერ (1986 წელთან შედარებით) ე. ი. 1800—1900 მლნ. მან. ასეთი ზრდის წყაროები შეიძლება იყოს:

— მოგების გეგმის შესრულება, მთლიანად საწარმოთა მომგებიანობის გაზრდა;

— დანაკარგების არსებითი შემცირება (სახალხო მეურნეობის დარგებში არამწარმოებლური დანახარჯები და დანაკარგები 1986 წელს შეადგენდა 685,1 მლნ. მან. ანუ ბიუჯეტის 18,8%);

— გადასახდელბის ნორმატივების ამალევა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების და ორგანიზაციების მოგებიდან.

ამჟამად საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან ანარიცხები შეადგენს (1986 წ.) სულ 739,4 მლნ. მან. ანუ 40,5% (სახალხო მეურნეობის მთელი მოგებიდან), მათ შორის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციიდან — 354,1 მლნ. მან. ანუ 43,1% (ამ ორგანიზაციების და საწარმოების მოგებიდან), საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციიდან — 34,4 მლნ. მან. ანუ 5,3% (ამ ორგანიზაციების და საწარმოების მოგებიდან) ამ უკანასკნელისათვის ეს აშკარად არასაკმარისია ახალი ნორმატივების მიხედვით მათ უნდა შეადგინონ 10%. ჩვენი აზრით, აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგება შესაძლებელია განაწილდეს დაახლოებით ამგვარი პროპორციებით — არანაკლები 20—25% ანარიცხებისა უნდა გადაეცეს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, 20—25% შესაბამის საკავშირო სამინისტროს დაქვემდებარების მიხედვით და 50—60% საწარმოს წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების და საბინაო მშენებლობის და მუშაკთა მატერიალური სტიმულირების ფონდების გაძლიერებისათვის.

პარალელურად უნდა გადაწყდეს მთელი რიგი ფრიად აუცილებელი პრობლემა რათა უზრუნველყოთ სამეურნეო ანგარიშთანობის პრინციპების განხორციელება. მათ შორის:

— ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების დონის ამალეების გარანტირება, პირველ ეტაპზე, საქართველოს სსრ მოსახლეობის რაოდენობის დონემდე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რაოდენობაში, შემდგომში მისი გადაჭარბების პერსპექტივით.

— საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის დონის ამალეების გარანტირება ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სახალხო მეურნეობაზე დანახარჯების დონის ამალევა რესპუბლიკის ბიუჯეტში მოსახლეობის ერთ სულზე განგარიშებით არანაკლები 1,5—2,0-ჯერ, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე და მეცნიერებაზე კი არა ნაკლებ 1,5-ჯერ.

ამასთან ერთად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცების ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ფუნქციონირებას რესპუბლიკის რეგიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში და რაიონებში ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშთანობის პრინციპებზე. ამჟამად თბილისის ბიუჯეტის ხვედრითი წილი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში შე-

ადგენს 10,5 (1986 წ.), მოსახლეობისა კი — 22,7%, აფხაზეთის შესაბამისად — 3,6%-და 10,2%, აჭარის — 2,6% და 7,3%, სამხრეთი ოსეთის — 1,1% და 1,9%. ამგვარი შეფარდება, ჩვენი აზრით, არაა რაციონალური. ადგილობრივი ბიუჯეტის დონე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში სავარძნობლად უნდა ამაღლდეს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში 249,070 ათას მან. (1986 წ.) ანუ 20,2 შეადგენდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები, რესპუბლიკის ბიუჯეტში კი ის შეადგენდა 2,3% (საგასავლო ნაწილი).

1986 წ. სხვაობა დაგეგმილ გასავლებსა (3702 196 ათ. მან.) და ფაქტიურ შესრულებას შორის (შესრულება — 3590 712 ათას მან.) შეადგენდა 111,484 ათას მან. სახელმწიფო ბიუჯეტში და 10619 ათას მანეთს ადგილობრივ ბიუჯეტში.

როგორცა ჩანს, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, ისე ადგილობრივ ბიუჯეტში (1986 წ.) შემოსავლებმა ვერ დაფარეს გასავლები (დანახარჯები). ამისათვის საერთოდ, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად, უფრო აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს შიდარესპუბლიკური რეგონების ეკონომიკური ღონეების გამოთანაბრების პროცესი.

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში რესპუბლიკაში არ არსებობს ისეთი ძირითადი სახის პროდუქცია რომლის წარმოებას შეუძლია განსაკუთრებული გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. საქმარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციას როგორცაა ჩაის მრეწველობის პროდუქცია, რესპუბლიკიდან გატანილი პროდუქციის მხოლოდ 16,2% შეადგენს (1986 წ.).

ეკონომიკური პრობლემები რომელნიც წარმოიშვება რესპუბლიკის მეურნეობრივი ანგარიშგეგმვის პრინციპებზე გადასვლისას, შეიძლება გადაწყვეტილი იყოს საქართველოს მატერიალური წარმოების სფეროს ყველა დარგის, რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების შედეგად. მხოლოდ ამგვარი მიდგომითაა შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკურობის, ბუნებრივი და მისი მატერიალური რესურსების, კვალიფიციური კადრების ეკონომიკური და შემოქმედებითი პოტენციალის უფრო ღრმა გამოვლინება და რაციონალური (ეკონომიური) გამოყენება.

სამეურნეო ანგარიშგეგმვის ტერიტორიულ პრინციპზე გადასვლა ორგანულად და კავშირებული ეკონომიკის მართვის სრულყოფასთან, მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არსებით ამაღლებასთან.

ჩვენ წარსულშიც (1985 წ. 1987 წ.) მივაქცევდით ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღებას მართვის ფორმებისა და მეთოდების თანდათანობრივი შეცვლის აუცილებლობაზე, და უპირველეს ყოვლისა, დარგობრივი სამინისტროების ფუნქციონირების უპერსპექტივობაზე (არაეფექტიანობაზე).

დარგობრივი სამინისტროებიდან გამსხვილებულ დარგობრივ სახელმწიფო კომიტეტებზე გადასვლა, ჩვენი აზრით, არ წყვეტს როგორც დარგობრივ ისე შიგადადარგობრივ და აგრეთვე მეცნიერების წარმოებასთან ორგანული კავშირის პრობლემას.

⁹ განგარიშებულია: Отчет об исполнении государственного бюджета Грузинской ССР за 1986 г., Тб., 1987, Минфин ГССР, с. 9—14.

ადმინისტრაციულიდან უპირატესად მართვის ეკონომიკურ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლა, უმეტესწილად უნდა გადაწყდეს საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებით, (საწარმოო გაერთიანებები, ფორმები, ტრესტები, კონცერნები სამეცნიერო-ეკონომიკური სისტემები, კომბინატები, კოპერატივები და სხვ.) რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკის სპეციფიკის, დარგების და წარმოების, წარმოებული პროდუქციის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, კადრების მომზადების პერსპექტივების გათვალისწინებით უფრო ეფექტიანი და ეკონომიური იქნებიან რესპუბლიკის პირობებში. ამას მოითხოვს, ეს აუცილებელია ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშთან პრინციპების რეალურად განხორციელებისათვის. შიგარესპუბლიკური, შიგადაგობრივი და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისათვის. ნამდვილი ტერიტორიული (რეგიონული) მეურნეობრივი ანგარიშთან ჩვენს პირობებში ისაა, რომ ყველა საწარმოო უწყებრივ დაქვემდებარების მიუხედავად გადაყვანილი იქნეს მთლიანად მეურნეობრივ ანგარიშთან, ხოლო მათი ურთიერთობა ადგილობრივ ორგანიზებთან დამყარდეს, მუდმივ მომქმედ ნორმატიულ ეკონომიკურ საფუძველზე.

მეურნეობრივი ანგარიშთან პრინციპების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური საქართველოს საწარმოო ძალთა და მრავალფეროვან. მისთვის დამახასიათებელი წარმოებრივ ურთიერთობათა ფორმების განვითარებას. საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე, მან ხელი უნდა შეუწყოს, რესპუბლიკის ბუნებრივ და შრომითი რესურსების რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენებას, რესურსდამზოგი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საბოლოოდ მან ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, ცხოვრების, სოციალური და კულტურული განვითარების დონის ამაღლებას. ყოველივე ეს დამოკიდებული იქნება იმ ეკონომიკურ შედეგებზე რომელსაც მიადრევენ რესპუბლიკის მშრომელები თავისი მოღვაწეობით, იმაზე თუ რამდენად ამაღლება სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობა. ამისათვის საგრძნობლად უნდა ამაღლდეს რესპუბლიკის ეკონომიკის პრესტიჟი როგორც საშინაო, ისე მსოფლიო (საგარეო) ბაზარზე. უნდა მივადწიოთ იმას, რომ სასაქონლო ნიშანი „წარმოებულია საქართველოში“ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და საქართველოს სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების და შრომის კულტურის მაღალი დონის გამომხატველი იყოს. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა არამარტო თვითმართველობა ეკონომიკაში, არამედ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდაც.

ეკონომიკის მართვის სრულყოფამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ რესპუბლიკის ეკონომიკის თვითდაფინანსებაზე და თვითანზღაურებაზე გადასვლა, არამედ საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) ფუნქციონირების მაღალი რენტაბელობა. სწორედ ეს იქნება ეკონომიკურად ძირითადი ტერიტორიულ სამეურნეო ანგარიშთან პრინციპების განხორციელებისათვის.

ტერიტორიულ მეურნეობრივი ანგარიშთან პრინციპებზე გადასვლისას რასაკვირველია სირთულეები შეგვხვდება, შეიძლება წინააღმდეგობებიც, მაგრამ შეგნებამ მის საჭიროებაზე და მაღალმა ორგანიზებულობამ უნდა გადალახოს ეს წინააღმდეგობები.

3. ვალერიან ალვაძე

რესპუბლიკური სამეურნეო ანბარში — ეკონომიკური სუვერენიტეტის ფორმა

ეკონომიკა ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია, ხოლო ადამიანთა საზოგადოება დღევანდელი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ერების, ეროვნული სახელმწიფოების სახითაა წარმოდგენილი. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკა ამა თუ იმ ერის საქმიანობის უმთავრესი დარგია, მისი არსებობისა და განვითარების საფუძველია. აქედან გამომდინარე, იმის თქმაც შეიძლება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპებზე, სტრუქტურასა და სპეციალიზაციაზე მოქმედებს არა მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ეკონომიკური მეცნიერებისათვის ცნობილი სხვა ფაქტორები (კაპიტალური დაბანდებანი, სამუშაო ძალის რიცხოვნობის ზრდა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და სხვ.), არამედ აგრეთვე ისტორიულ-ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, მოსახლეობის მოთხოვნილებათა სპეციფიკა, ტრადიციები, ეროვნული ხასიათი.

ამრიგად, ვარდა საერთო, ყველა ერისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ინტერესისა, თითოეულ ერს აქვს თავისი სპეციფიკური ეკონომიკური ინტერესებიც, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ეკონომიკის განვითარების გეგმებში. ამასთან ერთად, ეროვნული სპეციფიკის, ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისა და მოსახლეობის მიერ ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობის შეგნება უნდა მივიჩნიოთ სახალხო მეურნეობის ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ამ ფაქტორის ამოქმედებისათვის კი რეალურ პირობებს ქმნის რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში—ეკონომიკური სუვერენიტეტის ფორმა, როგორც მთლიანად მისი ეროვნული სუვერენიტეტის აუცილებელი პირობა და შემადგენელი ნაწილი.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე უღრმეს სოციალურ გარდაქმნათა შორისაა რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, რომლის შემადგენელი ნაწილია მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. ეს ღონისძიება, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობა, ეკონომიკური დემოკრატიზაცია ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკების გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მისი სამეურნეო, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გადართობა, ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის საერთო ამოცანების შესრულებისა და თავისი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსური განვითარებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებასთან ერთად.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პროცესში მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის ეფექტიანი განვითარება შეიძლება მხოლოდ

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში. იგი ყოველნაირად დაინტერესებს, უფრო მეტად აიძულებს საწარმოო კოლექტივებს, დარგების, მთლიანად რესპუბლიკების სამეურნეო ხელმძღვანელებს, ეძებონ, გამოავლინონ და გამოიყენონ წარმოების ზრდის, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ეკონომიის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების ყველა რეზერვი.

მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში ხელს შეუწყობს ყველა ჩვენგანში შრომისადმი, ჩვენი ეროვნული სიმდიდრისადმი, მეურნეობრივი გარემოსადმი კეთილსინდისიერი, შეგნებული დამოკიდებულების, აგრეთვე მეურნის გრძნობის ჩამოყალიბებას, რაც დღეს ასე გვაკლია.

სამეურნეო დამოუკიდებლობა საშუალებას მოგვცემს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რაც დაკავშირებულია მის გეოგრაფიულ პირობებთან, ისტორიულ ეროვნულ ტრადიციებთან, კულტურის თავისებურებებთან. შეიქმნება იმის პირობები, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონე დამოკიდებული იქნება თვით მათი მუშაობის ხარისხზე.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოფო რეგიონალურ დონეზე შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსება და, უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთა გადაჭარბება პირველზე, რაც აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოებათა და მოსახლეობის კეთილდღეობის სისტემატური აღმავლობისათვის. იგი შექმნის პირობებს აგრეთვე იმისათვის, რომ დავაბალანსოთ მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და ხარჯები აქ წარმოებული და რეალიზებული, აგრეთვე საკავშირო და მსოფლიო ბაზრებზე რეალიზებული და იქიდან სანაცვლოდ მიღებული პროდუქციით.

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობისას ჩვენი ქვეყნის საშინაო სოციალისტურ ბაზარზე ეკონომიკური შექმნისა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენცია გვაიძულებს ვაწარმოოთ დიდი ოდენობისა და ხარისხიანი პროდუქცია, რომელზეც მაღალია მოთხოვნა, შევამციროთ წარმოების ხარჯები, განვავითაროთ კომერციული საქმიანობა, რათა მივიღოთ მეტი შემოსავალი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სამწუხაროდ, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების და ეროვნული თვითშეგნების გავლენის როლი ეკონომიკის განვითარებაზე დღემდე საერთოდ არაა შესწავლული და შეუძლებელიც იყო აქამდე ამის გაკეთება, როცა ათეული წლების მანძილზე მიღებული იყო წერა და ლაპარაკი მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივ, საკავშირო ეკონომიკურ ინტერესებზე.

თუმცა აქ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას, ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ჩვენი დროის გამოჩენილმა ქართველმა ეკონომისტმა მეცნიერმა, აწ განსვენებულმა ვალერიან მელქაძემ წამოაყენა დებულება რეგიონალური ეკონომიკური სტრატეგიის შესახებ, რომელიც სწორედ ეროვნული ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობდა.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში და საერთოდ სამეურნეო, ეკონომიკური დამოუკიდებლობა ზოგს ესმის როგორც აბსტრაქტული, გარესამყაროსაგან იზოლირებული სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელიც ყველა თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს საკუთარი წარმოებით.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო განკერძოებულობა, გარე სამყაროსათვის ჩაკეტილი ეკონომიკა, არ არსებობს. ეს უაზრობაა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის გარეშე, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან და ქვეყნებთან სამეურნეო კავშირების გარეშე დღეს ვერცერთი მათგანის ეკონომიკა ვერ განვითარდება, რადგან ისინი სსრ კავშირის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგანული შემოსავალი ნაწილებია.

აქედან გამომდინარე, სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პროცესში კიდევ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი, მისი ადგილი და როლი შრომის საკავშირო დანაწილებაში, რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური კავშირები და მიზანშეწონილია ვსრულვყოთ და განვავითაროთ იგი.

ჩვენი ეკონომიკა დღეს ორმაგი ხასიათისაა. ერთი მხრივ იგი სსრ კავშირის ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილია და მისი განვითარება განპირობებულია: საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნების ერთიანობით, შრომის საკავშირო დანაწილებითა და კოოპერაციით. მეორე მხრივ, რესპუბლიკის ეკონომიკა შედარებით დამოუკიდებელი ქვესისტემაა, ტერიტორიული, სამეურნეო კომპლექსია, რომელსაც თავისი ზრდის ფაქტორები, ეკონომიკური ინტერესები და მიზნის სპეციფიკა ახასიათებს. მისი ეკონომიკური ერთიანობა ქვეყნის სახალხო მეურნეობასთან ერთობ მჭიდროდ და მრავალფეროვანია. ეს ვლინდება ერთი მხრივ, საქართველოს სპეციალიზაციის დარგთა პროდუქციის მიწოდებით საკავშირო ფონდში და ექსპორტისათვის. მეორე მხრივ, რესპუბლიკის მატერიალური წარმოების რესურსების, აგრეთვე ჩვენი მოსახლეობისათვის საჭირო სურსათისა და მოხმარების სხვა საგნების საკმაოდ დიდი ნაწილი შემოიტანება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

მოკავშირე რესპუბლიკები წარმოადგენენ ჩვენი ხარისხიანი და ხშირად უხარისხო პროდუქციის უპირველეს ბაზარს. 1986 წელს გატანილ იქნა ჩვენთან წარმოებული მრეწველობის პროდუქციის 36%. კერძოდ შავი მეტალურგიის პროდუქციის 66%, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის — 48, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების — 40, მსუბუქი მრეწველობისა 42, კვების მრეწველობის პროდუქციის — 38%, (კერძოდ, ჩაის მრეწველობის — 65 და მეღვინეობის — 32%).

სხვა რეგიონებიდან ვღებულობთ ჩვენ აქ მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების თითქმის 86%, შავი მეტალურგიის — 73%, ფერადი მეტალურგიის — 94%, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის — 65, მანქანათმშენებელი და ლითონდამუშავებელი მრეწველობის — 56, მსუბუქი მრეწველობის — 34, კვების მრეწველობის პროდუქციის — 21% (მათ შორის ხორცისა და ხორცის პროდუქტების — 34 და რძისა და რძის პროდუქტების — 63%, აგრეთვე მარცვლეულის 65%-ზე მეტს).

ცხადია, ასეთი სამეურნეო კავშირების გარეშე საერთოდ შეუძლებელია ჩვენი ეკონომიკის ფუნქციონირება და განვითარება. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა შიში, რაც აქა-იქ გამოითქმება, რესპუბლიკების სამეურნეო დამოუკიდებლობა ხომ არ გამოიწვევსო მათ ეკონომიკურ განკერძოებულობას. რესპუბლიკების მეურნეობის ფუნქციონირება, ზემოთ აღნიშნული ორი მხრის ურთიერთზემოქმედება ახალ პირობებში, სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში ცხადია შეიცვლება როგორც დაგეგმვის, ისე სასაქონლო-ფულადი

ურთიერთობის მხრივ. კერძოდ, ეკონომიკური კავშირები სხვა რესპუბლიკებთან და უცხო ქვეყნებთან უფრო რაციონალური გახდება, რომელიც დამყარება პროდუქციისა და მომსახურების ურთიერთხელსაყრელ ეკვივალენტურ გასვლას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით ამ უკანასკნელთა მინისტრთა საბჭოებს მინიჭებული აქვთ სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის უფლება. მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ გაატარონ ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებას, გაფართოებულ კვლავ-წარმოებას და სხვ.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში ათეული წლების მანძილზე დამკვიდრდა ეკონომიკის მართვის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, უწყებრივი მონოპოლიზმი და ჰიპერტროფული ცენტრალიზმი, რამაც სახალხო მეურნეობა კრიზისის წინა მდგომარეობამდე მიიყვანა.

მოკავშირე რესპუბლიკების წარმოების საშუალებათა ჭარბი ნაწილი თავმოყრილია სხვადასხვა საკავშირო სამინისტროსა და უწყებაში. ასე, მაგალითად, სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული საკავშირო დაქვემდებარების 59 მანქანათმშენებლო საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება 16 საკავშირო სამინისტროსა და უწყების დაქვემდებარებაშია.

მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა არსებობა და მათი დაქსაქსვა სხვადასხვა სამინისტროს და უწყებას შორის ზღუდავს რესპუბლიკის ხელიუფლად საკუთარი რესურსების გამოყენებაში, ბევრ შემთხვევაში იწვევს შეუთანხმებლობის და არარაციონალურ მოქმედებას სამეურნეო საქმიანობაში, დისპროპორციებს რეგიონირების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, ეკოლოგიური კითარების მკვეთრ გაუარესებას.

მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობა საკავშირო ორგანოებთან ეკონომიკის მართვის მხრივ ამჟამად აგებულია უპირატესად დაგეგმვის საერთო პრინციპების საფუძველზე. ესაა, მაგალითად, მატერიალური რესურსების გამოყოფის ყოველწლიური მატების, რესპუბლიკის ბიუჯეტის და სხვ. რეგულირება მიღწეული დონიდან. არ არსებობს ხანგრძლივი სტაბილური ნორმატივები, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად განვსაზღვროთ რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის წვლილი შრომის საკავშირო დანაწილებაში.

აუცილებელი გახდა ეკონომიკის მართვის ჩამოყალიბებული სისტემების მსხვრევა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და რეგიონების უფლებათა გაფართოება სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და მართვაში, მათი სამეურნეო დამოუკიდებლობა სრული სამეურნეო ანგარიშის პირობების საფუძველზე.

ერთი რამის შესახებ თავიდანვე გარკვევით უნდა ითქვას, ჩვენ ვანხორციელებთ რადიკალურ სამეურნეო რეფორმას, რადგან არარადიკალურმა, ნაწილობრივმა სამეურნეო რეფორმებმა, როგორც იყო, მაგალითად, 1965 და 1979 წწ. რეფორმები, არ მოგვცა შედეგი, ვერ იხსნა ჩვენი ეკონომიკა კრიზისისაგან ამიტომ დღეს არაინ ამბობს, რომ არ უნდა ვატარებდეთ რადიკალურ სამეურნეო რეფორმას საერთოდ. მაგრამ როცა ლაპარაკია ამ რადიკალური სამეურნეო რეფორმის ისეთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილზე, როგორცაა რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში უკვე გაისმის ხმები აქ სამეურნეო ანგარიშის ზოგიერთი პრინციპის ან ელემენტების გამოყენებაზეც კი. უნდა აღი-

ნიშნოს, რომ სამეურნეო ანგარიშის ზოგიერთი პრინციპი თუ ელემენტი ახლაც გვაქვს რესპუბლიკის დონეზე. მაგალითად, რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება მისი უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე უბრალოდ სამეურნეო ანგარიშის ელემენტებია.

ტერიტორიული თვითდაფინანსების მექანიზმის პრინციპების დამუშავებასთან და აგრეთვე მათი დანერგვის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებული პრობლემათა წრე რომელიც მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას: როგორც ადგილობრივი თავისებურებების, ისე მთლიანად სსრ კავშირის, როგორც ერთიანი სოციალისტური და მთლიანად ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებას, რომელიც ერთიანი სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსია.

ტერიტორიული თვითდაფინანსების ქმედითი მექანიზმის შექმნა და მათი პრინციპები, გავრცელება მთელს ტერიტორიაზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი ეფექტიანი ფორმირება ქვეყნის, პოლიტიკური გარდაქმნის იდეის ცხოვრებაში გატარების აუცილებელი პირობაა.

უნდა ვიყოთ რეალისტები, თუ გვინდა რადიკალური შედეგები ეკონომიკაში. გარდაქმნაც რადიკალური უნდა იყოს ყველა სფეროში. რესპუბლიკის ეკონომიკის მართვა უნდა ეფუძნებოდეს მის სამეურნეო დამოუკიდებლობას. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკა უნდა იყოს იმ მეურნეობის, იმ ეკონომიკური პოტენციალის პატრონი, რომელიც მის ტერიტორიაზეა. შიში, რომ ასეთ ცვლილებებს მოჰყვება რესპუბლიკების ეკონომიკური განკერძოებულობა, უსაფუძვლოა და ზემოთ უკვე ითქვა ამის შესახებ.

ამით ისიცაა ნათქვამი, რომ საწარმოთა საკავშირო დაქვემდებარება უნდა გაუქმდეს. ამასთან უბრალოდ კი არ უნდა მოხდეს საწარმოების გადაცემა საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, საკავშირო სამინისტროდან რესპუბლიკურ სამინისტროზე მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისელი ბიუროკრატი მის მოსკოველ პროტოტიპზე უფრო სანდომიანიც შეიძლება იყოს ჩვენთვის, არამედ რეალურად უნდა უზრუნველყოფილი იქნას ამ საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა, მართვა ეკონომიკური მეთოდებით. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განხორციელდეს ამ საწარმოებში დასაბუთებული და მიზანშეწონილი კვლავწარმოება.

ცხადია, ეს მოითხოვს კონსტიტუციურ ცვლილებებს და ისეთი ცნების შემოღებას როგორცაა „მოკავშირე რესპუბლიკის საკუთრება“. ეს უკვე იურისტების სამუშაოა. მის ქვეშ უნდა მოექცეს რესპუბლიკის მთელი ეკონომიკური სოციალური ინფრასტრუქტურის პოტენციალი. აგრეთვე მისი ისტორიული და მხატვრული ფასეულობანი.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მოკავშირე რესპუბლიკათა გადაყვანის შემდეგ აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ფუნქციების მთლიანად გადაცემა საკავშირო და საკავშირო რესპუბლიკური კომპეტენციიდან მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში. მათთვის იმის უფლების მინიჭება, რომ თვით შეიმუშაონ, დაამტკიცონ და ცხოვრებაში განახორციელონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების გეგმები, ესე იგი უნდა განისაზღვროს დაგეგმვის სუბიექტი, რომელიც სამეურნეო ანგარიშის პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. ეს ნიშნავს მის დამოუკიდებლო-

ბას დაგეგმვაში. აქ ერთი პრინციპი უნდა მოქმედებდეს: ვინც უნდა შეასრულოს გეგმა, მანვე უნდა დაგეგმოს. ის, რაც მიღებულ იქნა საწარმოთა მიმართ უნდა გამოყენებულ იქნას რესპუბლიკების მიმართაც. ცენტრალიზებულად დაყენებული გეგმის ფარგლებში ხომ შეუძლებელი იყო საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიშიანი მუშაობა.

შეიქმნება იმის შესაძლებლობა და აუცილებლობა, რომ კომპლექსურად დაიგეგმოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მთელი მეურნეობა. ამ მომენტს ამჟამად მოქმედი კონსტიტუციაც ითვალისწინებს, მაგრამ ეს ფორმალური დებულება მხოლოდ ახალ ვითარებაში შეიძლება იქცეს რეალობად.

დაგეგმვაში დამოუკიდებლობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება განპირობებს მართვის საკავშირო ორგანოებთან რესპუბლიკის ურთიერთობის შეცვლას. ახალ ვითარებაში, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში ეს ურთიერთობა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ პარტნიორობის პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოებაზე მართვის საკავშირო ორგანოებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე და რესპუბლიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობიდან გამომდინარე თვით რესპუბლიკა აყალიბებს სახელმწიფო შეკვეთას და გაანაწილებს მას საწარმოებზე, როგორც რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის მათთან სამეურნეო ხელშეკრულების დადების გზით.

მოკავშირე რესპუბლიკა თავის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ დარგის განვითარებაზე დაასაბუთებს სამეურნეო მიზანშეწონილობითა და სარგებლიანობით. ცხადია, მას ვერაფერ აიძულებს შეასრულოს ეკონომიკურად არახელსაყრელი სახელმწიფო შეკვეთაც.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე მუშაობისას ეკონომიკის კომპლექსური დაგეგმვისა და მართვისათვის აუცილებელი იქნება მოკავშირე რესპუბლიკას მიენიჭოს ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების, საგადასახადო დაბეგვრის, ფასების დაწესების, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების, სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ან მათ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ეკონომიკური ურთიერთობის და მთლიანად საბინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უფლება.

მთლიანად როგორ იქნება დაცული ჩვენი ქვეყნის საერთო სახელმწიფო-ებრივი ინტერესები? ერთი მთავარი და რადიკალური შედეგი, რაც უნდა მოგვიტანოს მოკავშირე რესპუბლიკათა გადაყვანამ სრულ სამეურნეო ანგარიშზე ეს ისაა რომ ყველგან უნდა მივალწიოთ ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას, ეკონომიკურ გაძლიერებას. ეს იქნება მთლიანად ჩვენი ქვეყნის გაძლიერება ეკონომიკურად და მასშასადამე პოლიტიკურადაც.

მაგრამ უფრო კონკრეტულადაც უნდა ითქვას ამ საერთო სახელმწიფო-ებრივი ინტერესების უზრუნველყოფაზე. თითოეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ცხადია, გარკვეული, ყველასათვის მისაღები ნორმატივების საფუძველზე იმ ცენტრალიზებული სახსრების წარმოქმნაში რაც აუცილებელია ისეთი საგარეო სახელმწიფოებრივი ღონისძიებებისათვის, როგორცაა სამხედრო მრეწველობის განვითარება და თავთათვის ობიექტების მშენებლობა, არმიის შენახვა, საგარეო პოლიტიკის განხორციელება და დიპლომატიური სამსახური, საკავშირო მიზნობრივი პროგრამები, განხორციელება, რეზერვების შექმნა სტიქიური უბედურებისა და სხვა ექსტრემალური ვითარებისათვის და სხვ.

სხვა დანარჩენში რესპუბლიკები თვითონ რეგიონებში უფრო საგნობრივად და ოპერატიულად გადაწყვეტენ როგორც წარმოების განვითარების, ისე მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს.

სრული სამეურნეო ანგარიში მოითხოვს მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების სხვანაირ შეხამებას. აუცილებელი გახდება გადასვლა დაგეგმვისა და მართვის დარგობრივი ტერიტორიულიდან ტერიტორიულ-დარგობრივ პრინციპზე. ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს დაგეგმვისა და მართვის დარგობრივი პრინციპის როლის შემცირებას, რაც ესოდენ აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და შესაბამისი ტექნიკური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის რესპუბლიკაში. უფრო მეტიც, მეურნეობრიობის ახალ პირობებში ამ პოლიტიკის მნიშვნელობა კიდევ გაძლიერდება, ოღონდ წარმოების პროცესზე, საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების სამეურნეო საქმიანობაზე ზემოქმედების ეკონომიკური შემეცნების გამოყენებით.

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს რესპუბლიკის დონეზე სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და პროგნოზირების მეთოდების პრინციპულ შეცვლას, რაც მოითხოვს მეთოდოლოგიური ხასიათის რიგი პრობლემების გადაწყვეტას.

მოკავშირე რესპუბლიკის სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში იცვლება არა მხოლოდ დაგეგმვის მეთოდები, არამედ აგრეთვე პროგნოზების ხასიათი და დანიშნულება, ამ უკანასკნელთა როლი და მნიშვნელობა მკვეთრად მალდება. მათი მიზანი იქნება არა იმდენად განვითარების ზუსტი მოდელის განსაზღვრა, რამდენადაც მათი სტრატეგიის შემუშავება, აგრეთვე საგეგმო და ეკონომიკის მართვის ორგანოებისათვის მოქმედების ტაქტიკის შემუშავება გაიზრდება პროგნოზების ვარიანტულობა, პროგნოზები კი შეფასდება მათი რეალიზაციის შესაძლო ეფექტით.

ამჟამად მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების მოდელის შემუშავება. შემდეგაც, მისი განხორციელების პროცესში ბევრი რამ დაიხვეწება და დაზუსტდება, რაც ცხადია ვერ შეაჩერებს ჩვენს სვლას ამ მიმართულებით, რადგან ვკრძნობთ, რომ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა როგორც მოქალაქეებიდან რესპუბლიკის ლიდერამდე მორალურ-ფსიქოლოგიურად ცხადია ასეთი გადასვლისათვის.

ყველა ეს საკითხი, ცხადია, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ჩვენ უნდა ვიყოთ დღევანდელი მოთხოვნის დონეზე.

4. შახტანგ ბურაკაძე

საქართველოს სსრ აბროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპით მუშაობის შესახებ

საქართველოს აბროსამრეწველო კომპლექსის ამოცანა სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაწყვეტა.

რესპუბლიკის აბროსამრეწველო კომპლექსის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, ხილის და მათი გადამუშავების პროდუქტების, საადრეო ბოსტნეულის, კარტოფილის და მინერალური წყლების წარმოების გადიდება და საკავშირო ფონდში მათი შეუფერხებელი მიწოდება. ამასთან ერთად საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პროგრამის სწორად განსაზღვრა და მისი რეალიზაციისათვის კონკრეტული გზების დასახვა.

აბროსამრეწველო კომპლექსს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. მის წილად მოდის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 50%-ზე მეტი, ახლად შექმნილი პროდუქტის 48%, მომუშავეთა რიცხვის 40%-ზე მეტი და ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების 47%.

აბროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივ სტრუქტურაში (მთლიანი პროდუქციის მიხედვით) პირველ სფეროს უკავია 2,9%, მეორეს 32,1%, მესამე სფეროს 65,0%. აბროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის წარმოების საშუალებათა წარმოების დაბალი ხვედრითი წილი მიუთითებს მთლიანად აბროსამრეწველო კომპლექსის ინდუსტრიალიზაციის დაბალ დონეზე. პერსპექტივაში პირველი სფეროს ქვედარგების განვითარების მასშტაბების მკვეთრი გაზრდით ისინი დაიკავებენ უფრო მაღალ ხვედრით წილს.

რესპუბლიკიდან პროდუქციის გატანაში აბროსამრეწველო კომპლექსის წილად მოდის 49,1%; შემოტანაში 28,2%.

II სფეროს პროდუქცია ძირითადად რჩება რესპუბლიკის შიგნით და გამოიყენება სამრეწველო გადამუშავებისათვის, საკუთარი მოხმარებისათვის და მხოლოდ 13,1% გადის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. II სფეროს პროდუქციიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რეალიზდება 35,9%. ამ სფეროზე მოდის აბროსამრეწველო კომპლექსის დარგების მთლიანი პროდუქციის გატანის 81,6 და შემოტანის 66,2%.

უკანასკნელ ხანს მტკიცდება და ფართოვდება საწარმოო-ეკონომიკური კავშირები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი ექცევა დარგთაშორის სასაქონლო ბრუნვაში მზარდი მოცულობით. ასე მაგალითად, 8,2% გამოიყენება თვით სოფლის მეურნეობაში, 50,3% მოდის სამრეწველო გადამუშავებაზე, ძირითადად კვების და მსუბუქ მრეწველობაზე.

უშუალოდ მოსახლეობის პირად და საზოგადოებრივ მოხმარებაზე მოდის 26,2%, დაგროვებაზე, ვატანასა და სხვა გასავლებზე—15,3%. იზრდება სოფლის მეურნეობის საქონლიანობა, ანუ მისი პროდუქციის ხვედრითი წილი, რომელიც სოფლის მეურნეობის გარეთ გამოიყენება. ამასთან, უფრო მაღალი ტემპით იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის პირადი და საზოგადოებრივი მოხმარებისათვის.

ამაღლდა სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული სიმძლავრეებით. გაიზარდა შრომის ენერგოშეიარაღება. 1987 წელს 1 მუშაკზე მოდიოდა ენერგეტიკული სიმძლავრეების 10,8 ცხენის ძალა, ხოლო 100 ჰა ნათეს ფართობზე 934 ცხენის ძალა, ნაცვლად 1980 წელს შესაბამისად 7,7 და 698 ცხენის ძალისა.

მე-11 ხუთწლეულში შემდგომი განვითარება ჰპოვა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურმა ინფრასტრუქტურამ: 1,2%-ით გაიზარდა იმ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების რაოდენობა, რომლებსაც ყველა სახეობის საავტომობილო მარშრუტი ემსახურება: რესპუბლიკის სოფლებში სატელეფონო სადგურების რაოდენობა გადიდა 1,6%-ით. 1987 წელს ელექტრიფიცირებული იყო სოფლად მცხოვრებთა ბინების 100 პროცენტი, ხოლო გაზიფიცირებული — 96%. 1986 წელს, 1980 წელთან შედარებით, რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება 73,8%-ით გაიზარდა. მე-11 ხუთწლეულში სოფლად ექსპლუატაციაში გადაეცა 2709 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი, 63,4 ათას მოსწავლეს გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. ხუთ წელიწადში ქალაქის ტიპის დასახლებებში აშენდა — 6—7 ათასი ადგილისათვის გათვალისწინებული კულტურის სახლები და კლუბები, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება მე-10 ხუთწლეულში შესაბამის მაჩვენებლებს. შემდგომში, სოციალური სფერო საჭიროებს არა მარტო კაპიტალურ დაბანდებათა გაფართოებას, არამედ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხობრივ გაუმჯობესებასაც.

აგროსამრეწველო კომპლექსში უფრო რაციონალურად გამოიყენება შრომითი რესურსები. მე-11 ხუთწლეულში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთელი მატება, მე-10 ხუთწლეულის საშუალოწლიურ დონესთან შედარებით, მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე. შრომის ნაყოფიერების ზრდა სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში გარკვეულწილად მიღწეული იქნა ხელით შრომის დანახარჯების, სამუშაო დროის დანაკარგების და კადრების დენადობის შემცირების ხარჯზე. მაღლდება შრომითი კოლექტივების ინიციატივა, მტკიცდება დისციპლინა. შემდგომი განვითარება ჰპოვა შრომის მოიჯარე კოლექტივების ორგანიზაციამ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დღეისათვის ფუნქციონირებს 12.000-ზე მეტი მოიჯარე კოლექტივი, რომლებზეც მიმავრებულია არსებული სავარგულების 85%, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 77%, ცხვრის სულადობის 87 და ფრინველის 69%. მემცენარეობაში იჯარული წესით მუშაობს ძირითადი კოლექტივების 80%, ხოლო მეცხოველეობაში 84%. იჯარით მომუშავე საწარმოების რენტაბელობა 1987 წელს საშუალოდ 12%-ით გაიზარდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარული ფორმების გამოყენება აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგში შრომის ორგანიზაციის, მუშაკთა მატერიალური სტიმულირების და საერთოდ წარმოების ეფექტიანობის გადიდების საუკეთესო პირობებს ქმნის, ამიტომ ყველგან უნდა მოხდეს მათი დანერგვა, თუმცა კატეგორიულად უნდა

აიკრძალოს იჯარის ამა თუ იმ ფორმის შრომით კოლექტივებზე იძულებით თავზე მოხვევა. სრული ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით უნდა აირჩიონ მეურნეობებმა იჯარის ფორმა — კოლექტიური, ოჯახური, ინდივიდუალური, არენდული. არჩევისას შეფასების კრიტერიუმად მიჩნეული უნდა იქნეს წარმოების ეფექტურობის ზრდა და სახელმწიფო დაკვეთის შესრულება. ასეთი მიდგომა უდავოდ შეუწყობს ხელს აგროსამრეწველო კომპლექსის თვითდაფინანსებაზე გადასვლას.

კაპიტალურმა დაბანდებამ იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურსათო პროგრამის შესრულებას, მე-11 ხუთწლედში 34% გადააჭარბა მე-10 ხუთწლედის დონეს. აგრომრეწვის კაპიტალური დაბანდების 73% მიმართული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

1986 წ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 3,3 მილიარდი მან. რაც 215 მილიონი მან. ანუ 7%-ით მეტია, ვიდრე მე-11 ხუთწლედში საშუალოდ. კვების მრეწველობის დარგების სასაქონლო პროდუქცია 1986 წ. 1985 წ. შედარებით გაიზარდა 7,4%, შრომის ნაყოფიერება 9%. ასეთი მიღწევების მიუხედავად აგროსამრეწველო კომპლექსის თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობისათვის ყველა პირობა არ არის შექმნილი. ამისათვის საჭიროა განვითარების სწორი კონცეფციების განსაზღვრა, მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება.

აგროსამრეწველო კომპლექსის რაციონალურად განვითარების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და გადაადგილების შემდგომ სრულყოფას. ამიტომ დღევანდელ შეკრებაზე უნდა გადაწყდეს სწავლულ ეკონომისტთა მიერ 2005 წლამდე პერიოდში რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემაში მოცემული რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის განვითარების ორი კონცეფციიდან ერთ-ერთის უპირატესობა, რათა დისახოს მისი რეალიზაციის კონკრეტული გზები. მე პირადად მხარს ვუჭერ უახლოეს პერსპექტივაში სამხრეთული კულტურების ფართობის სტაბილიზაციას და პირველი რიგის ამოცანად მივიჩნევ რესპუბლიკის მოსახლეობის საკუთარი სასურსათო პროდუქტებით მოთხოვნების დაკმაყოფილების გაუმჯობესებას და ამის შესაბამისად შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში რესპუბლიკის მონაწილეობის განსაზღვრას ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. განვითარების ამ კონცეფციის მიღება ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგანაც უახლოეს მომავალში არ არის იმის რეალური პირობები, რომ დაცული იქნეს შრომის საზოგადოებრივი დანაწილებიდან გამომდინარე ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები ქვეყნის სასურსათო ფონდიდან, რადგანაც იგი უახლოეს პერსპექტივაშიც დეფიციტურია.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ასევე მნიშვნელოვანი დარგის — კვების მრეწველობის განვითარების ძირითად კონცეფციად მიჩნეული უნდა იქნეს:

— სპეციალიზაციის დარგების განვითარება და მისი როლის ამალღება შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში;

— მომსახურების დარგების დაჩქარებული განვითარება, რათა უზრუნ-

წველვით ადგილობრივი მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგების მკვეთრი გაუმჯობესება;

— დაეაჩქაროთ კვების მრეწველობის საწარმოების გადაიარაღება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველვით მისი მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში დღემდის გატარებული ღონისძიებების შედეგად უკვე რამდენადმე გაიზარდა ეფექტიანობა სოფლის მეურნეობის წარმოებისა. მაგალითად, რენტაბელობა კოლმეურნეობებში 1985-1987 წწ. საშუალოდ გაიზარდა 20%-მდე ნაცვლად 1981-1982 წლებში არსებული 16,4%-ისა. საბჭოთა მეურნეობაში კი შესაბამისად 9%-მდე 6,8%-ის ნაცვლად. მაგრამ ზრდის ასეთი დონე სრულიად არ არის საკმარისი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობისათვის. თვითდაფინანსებაზე გადასვლას ეწინააღმდეგება ის ფაქტიც, რომ 1987 წლის მდგომარეობით რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეურნეობის 13,4% მუშაობდნენ ზარალით, მათი დიდი უმრავლესობა კი დაბალრენტაბელურია, ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი ვერ ასრულებს მოგების გეგმას. ამის ძირითადი მიზეზი რესპუბლიკის მეცხოველეობაა. იგი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას მძიმე ტვირთად აწევს. ზარალი ამ დარგთან 1986 წელს შეადგენდა 40,2 მილიონ მანეთს, ხოლო 1987 წ. 76,8 მილიონ მანეთს, ამიტომ აგროსამრეწველო კომპლექსის თვითდაფინანსებაზე გადასვლის რადიკალურ ამოცანას წარმოადგენს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, რაც უნდა მოხდეს ამ დარგის, როგორც ინტენსიური ისე ექსტენსიური გზით განვითარებით, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმის გაუმჯობესებისათვის, მისი დარგების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისათვის და სრულ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობაზე გადასვლისათვის კომპლექსური ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკაში. კერძოდ, ყველა რაიონში მიმდინარეობს მუშაობა ზარალიანობის ლიკვიდაციისათვის, დაბალრენტაბელური საწარმოების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური დატვირთვისათვის, მცირეძალოვანი და უპერსპექტივო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გადაცემა ხდება სამრეწველო საწარმოებზე მათი დამხმარე მეურნეობების შესაქმნელად. მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთლიანი შემოსავლიდან შრომის ანაზღაურების მეთოდის დანერგვისათვის, რის შედეგადაც 1988 წ. ამ წესით მუშაობაზე გადასულია 572 მეურნეობა. 1989 წლისათვის ამ სისტემით მუშაობაზე გადაყვანილი იქნება ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო.

საკონსერვო და ღვინის მრეწველობის საწარმოებს შეევესოთ საკუთარი საბრუნვე საშუალებათა დანაკლისი 235 მილიონი მანეთის ოდენობით. მუშაობა წარმოებს არსებული ჭარბი საკუთარი საბრუნავი საშუალებების გადანაწილებისათვის. 609 მილიონი მანეთის ოდენობით მოხდება 1988—1990 წლებში ბანკის სესხების გადასახდელებისა და მიმწოდებელთა ანგარიშების შემცირება, 286 მილიონი მანეთით შემცირდება დებიტორული დავალიანება, 104 მილიონი მანეთის ოდენობით გაიზრდება სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის გამოშვება და მოსახლეობის ფასიანი მომსახურება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე გათ-

ვალისწინებულია დიფერენციალური ფასდანამატები, რომლის საერთო ოდენობა 338 მლნ მანეთს მიაღწევს. დიფერენცირებული ფასდანამატები სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე გაანგარიშებულია რესპუბლიკის ცალკეული მეურნეობებისათვის, რაც უდავოდ მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის მათ თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას სსრკ-ში წამყვანი ადგილი უკავია ჩაის, მინერალური წყლების, ყურძნის ღვინოებისა და კონიაკის წარმოებაში. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხარისხიანი ღვინოების წარმოებაში საქართველოს არა ჰყავს ბადალი. რესპუბლიკის კვების მრეწველობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი მის გარეთ გადის, რესპუბლიკათაშორისო გაცვლის წესით საქართველოს გააქვს მის მიერ წარმოებული: პირველადი გადამუშავების ბაიხის ჩაის 41%; ხარისხოვანი ნატურალური ჩაის 99%, ყურძნის ღვინოების 8%, შამპანურის 46%, კონიაკის 96%, მინერალური წყლების 5,4%, ხილბოსტნეულის კონსერვების 78%.

კვების მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი სისტემატურად იზრდება. 18 დასახელების პროდუქცია 65 მილიონი მან. გადის 25 ქვეყანაში. გარდა სოციალისტური ქვეყნებისა საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქცია გადის ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, კანადა, ინგლისი, გფრ, იაპონია, საფრანგეთი. ამის შედეგია ის, რომ საკავშირო შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში სისტემატურად იზრდება საქართველოს კვების მრეწველობის ხვედრიანი წილი. 1970 წელს თუ საქართველოს კვების მრეწველობას ქვეყნის ანალოგურ დარგში ეკავა 2,7%. იგი 1987 წელს გაიზარდა 3,8%-მდე. ასეთი ზრდა უდავოდ შეუწყობს ხელს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის თვითდაფინანსებაზე გადასვლას თუ ამ ნაწილში მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიეცემა რესპუბლიკას. წარმოების ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია კვების მრეწველობაში მეორადი ნედლეულის გამოყენება, რომლითაც შეიძლება მიღებულ იქნას დამატებითი პროდუქცია, ეს განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული საკონსერვო მრეწველობაში, სადაც მეორადი ნედლეულის გამოყენება 10% არ აღემატება. პერსპექტივაში მთლიანად კვების მრეწველობაში მეორადი ნედლეულის გამოყენებით მკვეთრად შეიძლება გაეზარდოს პროდუქციის გამოშვება. გაანგარიშებით ისაზღვრება, რომ ამ ნედლეულით გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 1985 წლის 25 მილიონ მანეთთან შეიძლება გაიზარდოს 130 მლნ მანეთამდე, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგის საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას და სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობის განმტკიცებას.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობისათვის დიდ რეზერვს ქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება, განსაკუთრებით მისი შენახვის დროს. რესპუბლიკაში სტატისტიკური მონაცემებით 1987 წელს მემკენარეობის პროდუქტების შენახვით მიღებულმა ზარალმა შეადგინა 22,4 მილიონი მანეთი. ანალოგიურად ბევრი იკარგება შენახვის დროს მეცხოველეობის პროდუქტებიც. 1987 წელს მეცხოველეობის პროდუქტების დანაკარგმა შეადგინა 160 ათასი მან. ასეთი დანაკარგების მიზეზი ძირითადად არის საჭირო შესანახ სათავსოთა სიმცირე და შენახვის პირობების დაუცველობა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-11 ხუთწლედში ექსპლუატაციაში შევიდა 47,7 ათასი ტონის ტევადობის ხილბოსტნეულის შესანახი სათავსოები, ამ პროდუქციის შენახვისათვის მოთხოვნილების უზრუნველყოფა 65% არ აღემატება. შენახვით გამოწვეული დანაკარგები შემცირდებოდა, რომ უმეტესი ნაწილი პროდუქციისა გადამუშავებულიყო. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ჯერ კიდევ წელი ტემპით მიმდინარეობს გადამამუშავებელ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდება და ჯერ კიდევ რადიკალური ღონისძიებების გატარება არ წარმოებს „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წინააღმდეგ. ამ საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება რა თქმა უნდა, გაზრდის აგროსამრეწველო კომპლექსის რენტაბელობის დონეს თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ერთ საკითხს. ცნობილია, რომ 100 ათას ჰექტარამდე უყავია საქართველოში მეჩაიეობასა და მეციტრუსეობას, რომელიც იძლევა 1,8 მილიარდი მანეთის სასაქონლო პროდუქციას და ბიუჯეტის შემოსავალს 200 მილიონი მანეთის ოდენობით. ასეთ პირობებშიც კი სსრკ შემოაქვს დიდი რაოდენობით ამ სახის პროდუქცია ვალუტაზე. მართალია ვალუტის გატანის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეჩაიეობასა და მეციტრუსეობის განვითარება რესპუბლიკაში. ეს კი თვითდაფინანსების პირობებში მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს თუ საქართველოს მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის სასურსათო ფონდიდან მისთვის საჭირო სურსათით არ უნდა მიეცეს სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა რესპუბლიკას უშუალოდ თვითონ დაამყაროს გაცვლითი ურთიერთობა სხვა რესპუბლიკებთან და ქვეყნებთანაც. რაც არა მარტო შექმნის პირობებს თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის, არამედ უზრუნველყოფს დეფიციტურ სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

მინდა მოგახსენოთ ისიც, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის გადაყვანა თვითდაფინანსებაზე 1989 წლიდან მიზანშეწონილია განხორციელდეს ეტაპობრივად და არა ერთბაშად. დაბალრენტაბელურ საწარმოებში მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ მიმდინარე ხუთწლედში შემოღებული იქნეს სამეურნეო-ანგარიშთანხობის პირველი ფორმა ანუ მოდელი, ხოლო დანარჩენ მეურნეობებსა და საწარმოებში აგროსამრეწველო კომპლექსისა — მეორე ფორმა, რომელიც დაფუძნებულია შემოსავლის ნორმატიულ განაწილებაზე. ამ მოდელით მომუშავე საწარმოები დაეგვიღონ ღონისძიებებს აფინანსებენ სულ ცოტა 80% თავიანთი საკუთარი წყაროებით, რომელსაც დებულობენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად და პრაქტიკულად მათი საშუალებით ანხორციელებენ გაფართოებულ კვლავწარმოებას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველი მოდელი სამეურნეო-ანგარიშთანხობისა ფართოდ უნდა გამოიყენოთ იმ სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც დასპეციალებულია არიან საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გამომუშავებაზე. მეორე ფორმა სამეურნეო-ანგარიშთანხობისა გამოყენებული უნდა იქნეს უპირატესად სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში და სხვა ისეთ სფეროებში, რომლებიც მუშაობენ უშუალოდ მომხმარებლისათვის საბოლოო პროდუქციის მიწოდებაზე.

აგროსამრეწველო კომპლექსის სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მუშაობისათვის აუცილებლად მიგვაჩნია გაძლიერდეს ეკონომიკური აზროვნება ყველა დარგის განვითარების კონცეფციების განსაზღვრისას. საჭიროა ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც წარმოებისა და მეცნიერების

წარმომადგენლებს დაინტერესებს წარმოების ძირითადი საშუალებების რაციონალურად გამოყენებისათვის და წარმოების საბოლოო შედეგებით.

აგროსამრეწველო კომპლექსის თვითდაფინანსებაზე გადასვლას დიდად შეუწყობს ხელს მისი მეცნიერული უზრუნველყოფის ამაღლება. რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა სამეცნიერო-საწარმოო სისტემების შესაქმნელად, როგორც ყველაზე ეფექტური კოოპერატიული ფორმებისა მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციისა, ამ გზით დაჩქარდება წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვა. ასევე საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსების შესაქმნელად, რომელთა ბაზაზე ყველაზე უკეთესად შეიძლება განხორციელდეს მეცნიერული კვლევა, კვლევის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება და წარმოებაში დანერგვა. მეცნიერების მიღწევების და საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამწერგავებად უნდა გადავაქციოთ აგროსამრეწველო კომპლექსის საბაზო მეურნეობები და საწარმოები.

ეკონომიკურმა მეცნიერებამ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებს უნდა მისცეს ყოველმხრივ დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციები. უნდა შექმნას მყარი მეცნიერული ფუნდამენტი, დემოკრატიულ საწყისებსა და თვითმმართველობის პრინციპებზე დამყარებული, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებსა და საწარმოებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფისათვის, ასევე კოოპერირების სხვადასხვა ფორმების, სანარდო ურთიერთობათა სრულყოფისათვის, საზოგადოებრივ და პირად მეურნეობათა სწორი შეთანაწყობისათვის, სოფლის და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარებისათვის.

დასასრულს მინდა მოვახსენოთ, რომ საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერული უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებზე და მათ შორის მის თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებათა შემუშავებისათვის. მიმდინარე წლის 18 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის დამატებით მოსამზადებელი სამუშაოების პროგრამაში შემსრულებელ ორგანიზაციათა შორის საერთოდ არ არის დასახელებული რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ვფიქრობთ მისი იგნორირება არაობიექტურია და არაფრით არ არის გამართლებული.

5. წითელი ანაკლიის თავის გამოსვლაში აღნიშნა: აუცილებელია ჩამოყალიბდეს სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე რესპუბლიკის გადასვლის კონცეფცია. ამასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნდა მთავრობის დადგენილება. დადგენილი ჩვენი შეხვედრის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ რესპუბლიკის ეკონომისტებმა გამოკვეთონ თავიანთი მიდგომა და პოზიცია კონცეფციის შემუშავებისადმი და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებისადმი. იმისათვის, რომ მეთოდოლოგიისადმი მიდგომა ჩამოყალიბდეს, საჭიროა ვიცოდეთ კარგად ობიექტი, რომელიც ექვემდებარება სრულყოფას. ამ შემთხვევაში რესპუბლიკის ეკონომიკა. ეკონომიკა არის ინტეგრირებული სისტემა, არ შეიძლება მისი იზოლირებულად განხილვა. შეუძლებელია თვით

ეკონომიკის ცალკეული მიმართულებების იზოლირებული განხილვა საერთო ეკონომიკური განვითარების პრინციპებისაგან დამოუკიდებლად.

უბრველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ რესპუბლიკის ეკონომიკის ფუნქციონირების დღევანდელი სურათი; ვიცით თუ არა? მე არ დავეთანხმები ამხანაგებს, რომლებიც ამბობენ რომ არ ვიცით. ჩვენ ვიცით, მაგრამ სრულყოფილი სურათი ელემენტების მიხედვით არა გვაქვს. თუ ეს არ ვიცით დღეს, როგორც ვმართავთ ამ პროცესებს? მე შევეცდები რომ ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი გითხრათ. ამოცანა მე ასე მაქვს წარმოდგენილი; დღევანდელი სურათი უნდა ვიცოდეთ, მარტო ამ თათბირზე ეს არ გადაწყდება. მე ახლა აქ დასმული საკითხების ანალიზიდან მომდის ასეთი აზრი, რომ საჭირო არის, თუ ამას ითავეებს ისეთი გამოცდილი კოლექტივი, როგორც არის აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, მაშინ იქ უნდა მოუყაროთ თავი ამ პრობლემების დამუშავების ყველა პროცესს და საკითხს. ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება ინსტიტუტს ჰქონდეს — და მე ვგრძნობ, რომ არის ამის დეფიციტი, ინფორმაციული ხასიათის ყველა მასალა, რომელიც ამა თუ იმ კუთხით ასახავს რესპუბლიკის ეკონომიკის დღევანდელ სურათს. და მე ვიგრძენი დღეს, რომ არის ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელიც ჯერჯერობით თქვენთან არ არის. აი მაგ. 1987 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 6 მლნ 275 ათასი მანეთის ფინანსური რესურსები შეიქმნა, ხარჯი კი იყო 7. მლნ 200 ათასზე მეტი.

ეს ახალი ციფრებია, ჩვენი თხოვნით გაკეთებული ანალიზია. აქ მონახული და შესწავლილია ფინანსური რესურსების შექმნა-ფორმირების ყველა წყარო.

საჭიროა ბიუჯეტის საკითხების შესწავლის დაწყებამდე ფინანსთა სამინისტროს ამხანაგების, მინისტრის მოსვლა, ეკონომისტებთან შეხვედრა და დღევანდელი სურათის დეტალებში წარმოდგენა. ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით არის რამდენიმე ნიუანსი, რომელთაც საკავშირო ინსტრუქცია არეგულირებს და რომელიც არ შეიძლება, თუ კვლევის სპეციალური ობიექტი არ არის, მეცნიერმა იცოდეს. არ შეიძლება ერთმა კაცმა, რაოდენ დიდი ერთდროისაც არ უნდა იყოს, ეკონომიკის ყველა შემადგენელი ელემენტის განვითარების სწორი სტრატეგია შეიმუშაოს, მთავარია ამ სტრატეგიის სწორი პრინციპები გამოვიმუშაოთ და ამავე დროს უმთავრესია რეალურ საფუძველზე ვიდგეთ, მაგრამ თუ არ ვიცით რასთან გვაქვს საქმე, თუ არასწორია ინფორმაცია, ვერც ერთი ხელმძღვანელი ორგანო ობიექტურ გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ვერ მიიღებს. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ელემენტების მიხედვით ეკონომიკის ფუნქციონირებასთან კავშირში უნდა ჰქონდეთ ჩვენს მეცნიერებს. ამის დეფიციტი არის. იმის შემდეგ, როცა ამას გაეცნობიან სპეციალისტები, თითოეული მათგანი გაეცნობა მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას, სამამულო გამოცდილებას, ჩვენს პრაქტიკას და ამის შესაბამისად საკუთარ მოსაზრებას, წინადადებას წამოაყენებს. ამ წინადადებების შეჯამება უნდა მოხდეს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ, რომელიც ყველა ამას გაითვალისწინებს და ელემენტებში აჩვენებს. ამის შემდეგ ჩამოყალიბდება პროექტი კონცეფციისა. დღეს ჩვენ კონცეფციის პროექტი არა გვაქვს, ჩვენ გვაქვს მარტო სურვილი, რომ საჭიროა კონცეფცია შევიმუშაოთ და ამავე დროს მეთოდოლოგიური მიდგომით ყველა საკითხი დაზუსტებული არა გვაქვს. მე არ გამკვირვებია ამხანაგები ფრთხილად რომ მიმოიხილავდნენ

დღევანდელ ამბავს. იმიტომ რომ პირველი ამოცანაა გადასაწყვეტი, როგორ ეკონომიკასთან გვაქვს საქმე, დეფორმირებულ ეკონომიკასთან თუ ეკონომიკასთან რომელსაც ცალკეული ელემენტები აქვს სუსტი, ხოლო სტრატეგია არის სწორი და რეალურ საფუძველზე დგას.

აქ დაისვა ერთი პრინციპული საკითხი. ამხ. ლ. ხაბურზანიამ ბრძანა საოჯახო იჯარის თაობაზე, რომ ის აბაშის ექსპერიმენტში ჩადებული იყო და საქართველოში გვქონდა. სწორია, ელემენტი იყო ჩადებული, მაგრამ მე მეტს გეტყვი. რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს საქართველოში და რაც ჩვენ კოლექტიური წარმოების წესი გვაქვს, იჯარის პრინციპებს ჩვენ ვიყენებდით. რამდენიმე მაგალითი, მეაბრეშუმეობა საქართველოში. არც ერთი მეურნეობა და კოლმეურნეობა აბრეშუმის პარკს თავის ე. წ. საზოგადოებრივ საწყისებზე არ აწარმოებს. ესაა ოჯახური იჯარის საუკეთესო მაგალითი.

მთაში მუშა პირუტყვის გაბარება, დღეს არა გვაქვს ეს? რაც შეეხება აბაშის ექსპერიმენტს, იგი შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სრულყოფასთან დაკავშირებით და მისი ერთ-ერთი ელემენტი იყო მოსახლეობასთან კოოპერირება, თუმცა ეს ფორმა სწორია ორგანიზაციულად, ეკონომიკურად მიზანშეწონილი, სამეურნეო პრაქტიკაში გამოვიყენეთ ცუდად, დავამახინჯეთ, გადახრილი გზით წავედით და მან სრულიად მიუღებელი მახინჯი ფორმები მიიღო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისას და მთელი რიგი უბედურებები გამოიწვია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეკონომიკური კავშირები, საწარმოო კავშირები, სამეურნეო კავშირები არ გვქონდა და როგორც ელემენტი ჯერ ერთი ორგანიზაციული ფორმისა და მეორე — ეკონომიკური ურთიერთობისა რომ არ გვქონდა. რაც შეეხება აბაშის ექსპერიმენტს, მე ამხ. ლ. ხაბურზანიას მთლიანად ვეთანხმები. ფოთის ექსპერიმენტის შესახებ მინდა ვითხრა: ეს კარგი ექსპერიმენტიც გვქონდა, შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ ეს აიღო და გარკვეულად გაავრცელა. რეგიონალურ კრილიში ეკონომიკის მართვის მთელი რიგი საინტერესო ელემენტები, რომელიც ამჟამად ჩვენ სტრუქტურაში გვაქვს, არის გათვალისწინებული იმ ექსპერიმენტიდან, რომელიც ფოთში ჩავატარეთ. რაც შეეხება აბაშის ექსპერიმენტს. რა თქმა უნდა ჩვენ ელემენტები გამოყენებული გვქონდა. მეორე ამბავია — აგრომრეწვი როგორ მუშაობს. ზოგიერთი ლაპარაკობს იმას, რომ ქართველებმა ქვეყანა დალუპესო, იმიტომ, რომ ქართველებმა შესთავაზეს ქვეყნის აგრომრეწვის მართვის ის სისტემა, რომელიც დღეს ქვეყანაში არის. ფაქტიურად ჩვენი ინიციატივა იყო, წვლილი იყო და სხვებიც მუშაობდნენ ამ საკითხებზე. მე პირდაპირ გიპასუხებთ კითხვაზე. აგრომრეწვის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ჩვენ უბედურებას ნუ ვაბრალებთ. ეს მართვის ორგანიზაციული მექანიზმი — ეკონომიკური ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი ეფექტურობის ამაღლებისა და გამოყენების მთელი რიგი პირობები კადრებმა ვერ დაიცვეს, იმიტომ რომ კადრები მოუშვადებელი აღმოჩნდნენ. ეს არის ზუსტი და სრული სიმართლე.

შემდეგი საკითხი — საგარეო ვაჭრობაა. რამდენადაც საგარეო ვაჭრობის და ურთიერთობების საკითხები რესპუბლიკაში რეალური მართვის ობიექტს არ განეკუთვნებოდა, ყოვლად წარმოუდგენელი იყო ჩვენ კადრების მომზადების საკითხი ამ მხრივ დაგვესვა, თუმცა უნდა უსწრებდეს ამა თუ იმ ეკონომიკურ პრობლემას, მითუმეტეს როდესაც სტრატეგიასთან არის დაკავშირებული. მე მთლიანად ვეთანხმები მოსაზრებას იმის თაობაზე, რომელიც ამხ.

ა. გუნიაშვილმა გამოთქვა, რესპუბლიკა დამოუკიდებლად უნდა იყენებდეს თავის რესურსებს და ეკონომიკის საკითხებს უნდა მართავდეს მისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა ჩვენ იზოლირებულად განვიხილოთ ქვეყნის საერთო-სახალხო კომპლექსისგან. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების ფუნქციონირება შრომის დანაწილების პრინციპებზეა აგებული. ამის უარყოფის არავითარი ობიექტური, ეკონომიკური, მითუმეტეს პოლიტიკური, სამეურნეო საფუძველი არ არსებობს.

ზარალიანი საწარმოების პრობლემა სწორია, მეტალურგიული მრეწველობა ზარალიანია, სახელმწიფო ინახავს მას. რატომ უნდა იყოს ზარალიანი დღეს საწარმო? არის საწარმო, რომელიც შეიძლება ზარალიანი იყოს, მაგრამ უშვებს პროდუქციას, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის ქვეყანაში და სხვადასხვა შემოსავლების, სხვადასხვა წყაროების გამოყენებით უნდა შეიქმნას ის რესურსები, რომლებიც არგულირებენ ამ პროცესს მთლიანობაში. ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ ისე, რომ თუ 4%-ზე მეტი არ იქნება რენტაბელობა, სამრეწველო საწარმო გავაუქმოთ. ავიღოთ კაპიტალისტური ეკონომიკა; 2%, 2.5%, 3% რენტაბელობის დონე ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს ქმნის.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გადაცემის თაობაზე, აშ. ვ. ადვამემ თავის მოსაზრება გამოთქვა, ძალიან საინტერესო მოსაზრებებია ეს, მხოლოდ ჩვენ აქ დავგვირდებთ გარკვეული სიფრთხილედ, უბრალოდ იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ ერთი, დამუშავდეს ეს წინადადებანი და მერე, ჩამოვყავალიბოთ კონკრეტად.

ესლა აგროსამრეწველო კომპლექსთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ: აქ აშ. ა. გუნიაშვილმა ბრძანა, ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში რესპუბლიკის ხვედრითი წილი 1,56%-ია; ეროვნულ შემოსავალში ჩვენ გვექონდა 1,9% გახდა 1,7%; მრეწველობაში ბოლო მონაცემით არის 1,4%, და სოფლის მეურნეობა იყო 1,6% და 2 ერთეულით გაიზარდა გახდა 1,8%. ქვეყნის ეკონომიკის დახასიათებისათვის, ქვეყანაში ჩასვლა არ არის საჭირო; ზოგიერთი განმაზოგადებელი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები უნდა ვაანალიზო და გაუკეთო შეფასება. ასეთია ეროვნული შემოსავალი. რამდენიმარეობა გვაქვს ამ მხრივ? მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში მოდის 1927 მან. საბჭოთა კავშირში 2118, ლიტვაში 2304, ლატვიაში 2639; ესტონეთში 2609 მანეთი. ე. ი. ჩვენ ეროვნული შემოსავლის მხრივ, ჩამოვრჩებით.

გასაგები მიზეზების გამო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს შეეუდარებთ ამას. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი შექმნილ ეროვნულ შემოსავალში ლიტვაში არის 28,2%, ლატვიაში 9,5%, ესტონეთში 22,7%.

მეორე მაჩვენებელი, რითაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება შეიძლება, ეს არის ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე. მდგომარეობა რთულია, შეიძლება ითქვას კატასტროფული. პერსპექტივაში კი ელექტროენერჯის მოხმარების არეალი კიდევ უფრო გაიზარდება.

ელექტროენერჯია რომ არ გვექონდეს შეიძლება? ავიღოთ ასეთი მაგალითი 250 ათასი ცალი კვერცხი თავსდება ინკუბატორში 23 დღით. 5 წუთით რომ ელექტროენერჯია გამოირთოს, აბსოლუტურად ყველა კვერცხი გაფუ-

ქდება. ასე ხომ არ იყო 15—20 წ. წინათ. ელექტროენერჯის მოხმარების სხვა სფერო გვეჩინდა, ვიდრე გვაქვს დღეს და აბსოლუტურად განსხვავებული იქნება 15—20 წლის შემდეგ. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 2786 კვტ. სთ; საბჭოთა კავშირში არის 5707, სომხეთში 4281, აზერბაიჯანში 3181, ესტონეთში 11620.

ელექტროენერჯია დამოკიდებულია ენერგოალტერვილობის პრობლემის გადაწყვეტაზე და პირდაპირ რომ ვთქვათ მექანიზაციის პრობლემისა და შრომის ნაყოფიერების ამოცანების გადაწყვეტაზე. საქართველოში 14 მლრდ. კვტ-ზე მეტ ელექტროენერჯიას ვაწარმოებთ, 18-ზე მეტს მოვიხმართ. ჩვენ შემოგვაქვს, შემოგვექონდა და ალბათ შემოვიტანთ კიდევაც. მაგრამ როცა თქვენ მიიღებთ კონცეფციის შემუშავებას ვთქვათ, ამ ნაწილში, დღეს ეს სურათია, ეს უნდა ვიცოდეთ, ასე გაგრძელება არ შეიძლება, ამავე დროს — უნდა ვეძებოთ გზები, როგორ გადავწყვიტოთ. აქ შეიძლება 10 სხვადასხვა ვარიანტი იყოს. ამ ვარიანტების შეჯერებამ ეკონომისტების სხვა დარგის მეცნიერების მონაწილეობით უნდა მიგვაღებინოს ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილება, ბრძნული იმის თაობაზე, თუ რომელი ვარიანტი ავირჩიოთ. ეს არის მიდგომა კონცეფციის შემუშავებისადმი.

გლობალური მაჩვენებელია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მდგომარეობა. სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებში თუ ის ციფრები ჭკვიანურად არ ამბეჯცველ მოუშზადებელი მკითხველი დაიბნევა, იმიტომ რომ ისინი უჩვენებენ ნავთობპროდუქტების პროდუქციის წარმოებას საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს თუ საიდან მოდის ის პროდუქცია, რომელიც საქართველოში გადავამუშავებთ, ნავთობენერგეტიკული პროდუქციის საერთო ნუსხაში შევიდა. 1986 წელს 428 ათასი ტ. ნავთობი შემოვიტანეთ და გადავამუშავებთ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

რესპუბლიკაში მოვიხმართ 1 მლნ 233 ათ. ტ. ბენზინს წელიწადში; საქართველოს ნედლეულ 150 ათასი ტონის დონეზე მონაწილეობს ამ პროდუქციის ფორმირებაში. საქართველოში წარმოებული ნავთობპროდუქტების 96% შემოსულ ნედლეულზე მოდის. ესლა როგორია სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის სტრუქტურა. ესეც მინდა შევუდარო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს იმიტომ, რომ ჩვენ არ უნდა შეგვეშალოს; ჩვენ სწორი კონცეფცია უნდა გვეჩინდეს აგროსამრეწველო კომპლექსის განსაზღვრისას. იმიტომ რომ შეიძლება მეთოდოლოგიურმა შეცდომამ ჩვენ სულ სხვა მერიდიანზე გაგვიყვანოს. საბჭოთა კავშირში 1 სულ მოსახლეზე მოდის სავარგული 2 ჰ, ხოლო სახნავი 0,81 ჰ, საქართველოში სავარგული 0,6, სახნავი 0,15, ლიტვაში შესაბამისად 0,66; ლატვიაში, 0,64; ესტონეთში 1,09, 0,06, ჩვენ 0,15. როგორია სტრუქტურა, მაგ. რესპუბლიკაში სახნავ-სავარგულებს უჭირავს 25%, ლიტვაში 66%, ლატვიაში 68,9%, ესტონეთში 71,4%. ვინ არის ხელსაყრელ პირობებში, რომ ეკონომიკური ფუნქციონირების პრობლემები ადვილად გადაწყვიტოს? ამ ნაწილში რა თქმა უნდა ისინი, ჩვენ 1800 ათას ჰა საძოვარი გვაქვს, რამდენს ვიყენებთ?. ეს შედის ის სიმდიდრეში, რომლის გამოთვლასაც ამხანაგები გვთავაზობენ, მაგრამ რამდენი კაპიტალური დაბანდება სჭირდება ამის ათვისებას და როგორი ეფექტი უნდა გვეჩინდეს.

როგორ გვაქვს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების საკითხები. თუ მოსახლეობის ერთ სულზე 1 ტ. მარცვალს აწარმოებენ, მაშინ ჩაითვლება, რომ ქვეყანაში ეს პრობლემა გადაწყვეტილია. სსრ კავშირის მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებენ 753 კგ.; საქართველოში 122 კგ.; ლიტვაში 875 კგ, ლატვიაში 706 კგ, ესტონეთში 752 კგ. თქვენ გააკეთეთ დასკვნა. ჩვენ საქართველოში ყოველწლიურად შემოგვაქვს 1700 ათასი ტონა მარცვალი, მათ შორის 1100 ათასი არის სასურსათო დანიშნულების. ეს პური და პურის პროდუქტებია. ყველაზე დიდი მოხმარებლები პურ-პროდუქტებისა ჩვენ ვართ. მოსახლეობის ერთ სულზე ვაწარმოებთ 122 კგ, მოვიხმართ 187 კგ.

კარტოფილს აწარმოებს მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო 70, ლიტვა 6641, ლატვია 597, ესტონეთი 743 კგ-ს., ხორცს — სსრ კავშირი 65, საქართველო 32, ლიტვა 143, ლატვია 127, ესტონეთი 139 კგ-ს, რძეს სსრ კავშირი 366, საქართველო 138, ლიტვა 896, ლატვია 747, ესტონეთი 822 კგ-ს.

როგორია პროდუქტების მოხმარების დონე მოსახლეობის ერთ სულზე. ხორცი და ხორცის პროდუქტები: ნორმა 63 კგ. მოხმარება: სსრ კავშირში 64, საქართველოში 47 (ვაწარმოებთ 321) ლიტვაში 85, ლატვიაში 84, ესტონეთში 90 კგ. რძე და რძის პროდუქტები: საქართველოს 314, ლიტვაში 438, ლატვიაში 471, ესტონეთში 481 კგ.

თევზი და თევზის პროდუქტები — საქართველო 9,3, ლიტვა 20, ლატვია 23, ესტონეთი 26,3 კგ.

შაქარი: სსრ კავშირში 47,2, საქართველოში 47, ლიტვაში 47,3; ლატვიაში 51, ესტონეთი 49,5; კარტოფილი (ნორმა — 66 კგ). მოხმარება: საქართველო 51, ლიტვა — 139, ლატვია — 125, ესტონეთი — 123 კგ.

მე გთხოვთ ამ მაჩვენებლებს მიაქციოთ ყურადღება. ესლა ავილოთ ბოსტნეულის მოხმარება. იგი შეადგენს საქართველოში — 93 (ფიზიოლოგიური ნორმით 135 კგ) ლიტვა 84, ლატვია 81, ესტონეთში 87 კგ.

პური და ფუნთოშეული — ერთ სულზე მოხმარება საბჭოთა კავშირში 132 კგ. საქართველოში — 187, ლიტვაში — 110, ლატვიაში — 104, ესტონეთში — 93 კგ.

წველადობა ძროხაზე — საქართველოში 1988 წელს 1990, ლიტვაში 3500, ლატვიაში 3400, ესტონეთში 4024 კგ. უნდა მოვძებნოთ რეზერვები სამრეწველო პროდუქციის გასაზრდელად. ამისათვის, საჭიროა საქართველოში წარმოებულ შესაბამისი ნედლეულის გადამუშავება გავზარდოთ. მაგ. ჩვენ 75 ათ. ტ. მანდარინს ვამუშავებთ საქართველოში. მაშინ, როდესაც 150—160 ათ. ტ. მოვიწვეთ. ეს ერთი რეზერვი. მეორე რეზერვი გახლავთ ხილის გადამუშავებასთან დაკავშირებული საკითხი. ჩვენ ხილი გავვაქვს 150 ათ ტ. ნატურით. თუ იმას გადავამუშავებთ, ეს უზრუნველყოფს საკონსერვო საწარმოების ნორმალურ ფუნქციონირებას. ჩვენი მთელი რიგი დარგები სეზონურია. ჩაის მრეწველობა სეზონურია, ღვინის მრეწველობა სეზონურია, საკონსერვო მრეწველობა სეზონურია. პირველი თებერვლიდან პირველ ივლისამდე საკონსერვო მრეწველობა დგას და როგორ გინდა საწარმოო ფონდების ეფექტურობა ამაღლო და ამავე დროს მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოება გავზარდოთ თუ ასეთი დისპროპორციები აქ არ მოიხსნა.

ერთი რამ მინდოდა მეტყვა. 1100 ათ. ტ. რძესა და რძის პროდუქტების ფონდში, რომელიც წელს ვაჭრობის სამინისტროს აქვს და საქართველოში გაიყიდება, 860 ათ. ტ. შემოტანილია; 35 ათ. ტ. კარაქს მოვიხმართ ჩვენ მიმდინარე წელს, შემოგვაქვს 35 ათ. ტ. საქართველოში ვამზადებთ 1000—1050 ტ. კარაქს. 186 ათ. ტ. მოხმარებულ ხორცისა და ხორცის პროდუქტებში 70 ათ. ტ. შემოტანილია. დაფუძვით, შევადგინეთ ვითარება და ვნახეთ გზები ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფისა. ამის შემდეგ, თითოეული შემადგენელი ელემენტის მიხედვით უნდა დამუშავდეს ღონისძიებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიის საფუძველზე ამ დარგების გადამყვანას. ეს არის სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, მომსახურების სფერო, განმრთვლობის სფერო, საკურორტო მეურნეობა და სხვა. დღევანდელი დონით ეს არ გამოვა. ერთ მაგალითს მოვიყვანო. აიმაგ., დღეს ჩანს მრეწველობისათვის ბათუმის მანქანათსამშენი ქარხანა უშვებს სადნობ აგრეგატს ჩვენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ღონისძიებები გვაქვს და ამას აკონტროლებენ რესპუბლიკაში. ძველი სადნობი აგრეგატი შეიცვლება და შარშან გამოშვებული დაიდგება. მერწმუნეთ, არც ერთი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებელი ამ აგრეგატისა არ შეცვლილა, არის ის, რაც იყო 30—40 წლის წინათ. ეს არის სიახლე? ეს არ არის სიახლე, ამაშია მთელი პრობლემა. ამიტომ ეს ისეთი დეტალებია, რომლებიც თითოეული დარგის სპეციფიკიდან გამოდის და თუ დარგის ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე ლაპარაკი, მაშინ ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. ერთი პრინციპული საკითხი, რომელმაც აგროსამრეწველო კომპლექსი და სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა გამოიყვანოს სწორ გზაზე, ეს არის შრომის ორგანიზაციის სრულყოფა. რატომღაც ისე მოხდა, რომ შრომის ორგანიზაციის სრულყოფაზე იმდენად კი არ იყო ფიქრი, რამდენადაც შრომის ანაზღაურების სისტემების სრულყოფაზე. საჭიროა ფართოდ დანერგვით იჯარა, საარენდო ურთიერთობათა პრინციპები — შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ძალიან ჭკვიანური, ძალიან სწორი მიმართულება და თუ კარგად გამოვიყენებთ და ბოლომდე მოვიყვანებთ იგი, მაშინ შედეგიც არ დააყოვნებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა არსებობს თუ არა? არსებობს და იგი არ არის მარტო ქართული მოვლენა. შეიძლება მისი აღმოფხვრა ადმინისტრაციული მეთოდებით? ჩვენ შევეცადეთ და არ გამოგვივიდა. მიტაცებაც არის, დატაცებაც, გაფლანგვაც და სხვ. ორი მთავარი მომენტია, რომელსაც ჩვენ ხელიდან ვუშვებთ. თუ ეროვნულ ტრავმდიაზე ლაპარაკი, ამ ორ მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. პირველი — მუშა დავკარგეთ, კოლმეურნე გლეხი დავკარგეთ, მწარმოებელი დავკარგეთ. მოსახლეობის უმრავლესობას უნდა კარგად იცხოვროს, მაგრამ არ უნდა იშრომოს, მეორე — სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ნატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო რესურსებში არ გვხვდება. 40%-მდე ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსების მოსავალს კარგავს რესპუბლიკა. თქვენ ხომ არ გგონიათ რომ ბოსტნეული 15 ტონაა, ან კარტოფილი 12 ტონაა მოწეული ჰექტარზე. 2-ჯერ მეტია, მაგრამ სახელმწიფო რესურსებში იგი არ ხვდება. ყველა იპარავს, ყველას მიაქვს, როგორ ვებრძოლოთ ამას. არის თუ არა საარენდო ურთიერთობათა დღევანდელი პრინციპი ის საშუალება რომელიც ეკონომიკური მეთოდით ამას ბრძოლას გამოუტყვადებს. გარწმუნებთ, თუ სწორად გავატარებთ და გავაანალიზებთ, დღეს საარენდო ურთიერთობებისა და

იჯარის პრინციპების დანერგვა შრომის ორგანიზაციის ის გზაა, რომელმაც კარგ შედეგებამდის უნდა მიიყვანოს ეკონომიკა. იჯარაც და საარენდო ურთიერთობათა პრინციპების გამოყენება გამოირიცხავს მიწერებსა და დატაცებას. ამიტომ არავის არ სჭირდება იგი. ამიტომ ებრძვის მის დანერგვას ბიუროკრატი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამიტომ ებრძვის მას რაიონებში.

გასაჯანსაღებელია ეკონომიკის ზნეობრივი მხარე საქართველოში. ჩვენ ყველაზე მეტი მუშაობა გვმართებს ამ მხრივ. დღევანდელი ზნეობრივი ასპექტები ეკონომიკისა ხელს არ უწყობს ეკონომიკის ფუნქციონირებას. ასეთ პირობებში რაოდენ გენიალური აზრებიც არ უნდა ჩადოთ თქვენ ეკონომიკის განვითარების სქემაში, თუ ეს მთავარი მომენტი არ გადაწყვეტით, ჩვენ ეკონომიკის ფუნქციონირებას ვერ ვუზრუნველვყოფთ. აი ასეთია დაახლოებით ჩემი მოსაზრება ამ საკითხებთან დაკავშირებით და მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სპეციალისტები, დღევანდელი თათბირის მონაწილენი თავიანთ წვლილს შეიტანენ საქმეში პრობლემების გადაწყვეტისადმი სწორი მიდგომისა და ეტაპობრივი განხორციელების გზით.

შესვენების შემდეგ მეორე სხდომაზე მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. მასში მონაწილეობდნენ: ეკონ. მეცნ. დოქტორები: გ. ადეიშვილი, ვ. დათუკიშვილი, გ. პაპავა, ო. საღარეიშვილი, ო. ქეშელაშვილი, რ. ხარბავა. ლ. ჩიჭავა. ეკონ. მეცნ. კანდიდატები: გ. ბიგვაეა, ნ. ბუშინა, მ. გველესიანი, რ. გოცირიძე, პ. გარუჩავა, ო. ვაშაკიძე, გ. თოფურია, ა. თეთრაული, ო. კანდელაკი, ვ. პავლიაშვილი, კ. სოხაძე, თ. ჩიკვაიძე, გ. ჩუბინიძე. სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. გულუა.

გ. ადეიშვილმა აღნიშნა, რომ თავიდანვე უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რას ვგულისხმობთ ჩვენ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაში, რას ვდებთ ამ ცნებების შინაარსში, უშუალოდ ეკონომიკურს თუ რაიმეს ამის იქით?

თუ ამ ცნებებში, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაში ჩადებულ იქნება მხოლოდ ეკონომიკური შინაარსი და ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს სახალხო მეურნეობას, როგორც მთელი კავშირის სახალხო მეურნეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს, მაშინ, რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს მთელი რიგი საკითხების პრინციპული გადასინჯვა. კერძოდ, აუცილებელია ჯერ ფასების და ფასწარმოქმნის საკითხი გაირკვეს კავშირის მასშტაბით. საკითხი, რომ საქართველოს შეუძლია თავისი შემოსავლებით თავისი ხარჯები დაფაროს თუ არა. ჩვენ არ შეგვიძლია გავარკვიოთ დღევანდელი ფასწარმოქმნის მეშვეობით. ჩვენთან ფასწარმოქმნაში გაბატონებული იყო და არის სუბიექტივიზმი. უთუოდ უნდა მოხდეს ფასებში ასახვა შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯებისა. თუ ეს არ მოხდა და სუბიექტივიზმი ფასწარმოქმნაში გაბატონებული იქნება, ბუნებრივია, რომ ჩვენ სწორი გაანგარიშებანი არ გვექნება.

ჩვენ თუ გვინდა გავიანგარიშოთ რეალურად რესპუბლიკას რა შემოსავალი აქვს და როგორია გასავალი, უსათუოდ უნდა განხორციელდეს მისი გაანგარიშება მსოფლიო ბაზრის ფასების მიხედვით, სხვანაირად ამ პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია.

ო. ქეშელაშვილმა ილაპარაკა აგროსამრეწველო წარმოების სფეროზე. შეიძლება თუ არა ვთქვათ ჩვენ, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის სრულ

სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლის პრობლემა უკვე მომწიფებულა გადასაწყვეტად. ამას კატეგორიულად პირადად მე ვერ ვიტყვი და არც ვიტყვი იმიტომ, რომ პრობლემა მხოლოდ ახლა მწიფდება გადასაწყვეტად. ეს რომ მომწიფდეს, ამას ბევრი პირობა და ფაქტორი განაპირობებს. სრული დამოუკიდებლობა? ისმის კითხვა — თვითდაფინანსებითი სუვერენიტეტი თუ, რაღაც ჩარჩოებში მინც მოქცეული. ამაზედაც კატეგორიული პასუხის გაცემა დადებითად არ შეიძლება. ჩვენ ესვამთ გადაჭრით სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრობლემას. ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს. ეკონომიკის განვითარებას გააჩნია გარკვეული ეტაპები. ეკონომიკა ამ ეტაპების გამოტოვებას ჩვენ არ გვაპატიებს. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვეხებით ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს, უნდა ვთქვათ ის, რომ გარკვეულ ეტაპზე გარკვეული საწარმოებისათვის აუცილებელი იქნება პირველი ეტაპის გავლა, რომელსაც ჰქვია თვითანაზღაურება, სხვა სიტყვებით ამას უწოდებენ მარტივ კვლავწარმოებას. საწარმოს ჯერ ამ ეტაპისათვის არ მიუღწევია და ხელალებით ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ იგი უცბად გადავიდეს თვითდაფინანსებაზე. სამეურნეო ანგარიში ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც მოიცავს როგორც მარტივ, ასევე გაფართოებულ კვლავწარმოებას ანუ თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებას და შემდგომ ეტაპზე, როდესაც უკვე ფრთებს გაშლის ეს პროცესი თვითდაფინანსების ტერმინის ხმარება არ იქნება მიზანშეწონილი. ახლა მას გარკვეული მიმართულება აქვს. ახლა დგება ძალიან პრინციპული მნიშვნელობის საკითხი. ეს არის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოლოგიური თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობის.

თვითდაფინანსებაზე ვმსჯელობთ ჩვენ, ეს მოითხოვს მტკიცე გარანტიებს. სოფლის მეურნეობის გადასვლა მუშაობის ამ ყაიდაზე მოითხოვს იმ მტკიცე გარანტიას, რომ ჩვენ გარანტირებული ვიქნებით საერთო საკავშირო ფონდიდან ამა თუ იმ პროდუქციის მიღებაზე. ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფა, სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრობლემა უდაბლად სწვდება კოლხეთის დაბლობის ძალიან დიდმნიშვნელოვან პრობლემას სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით. კოლხეთი ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც ეკონომიკურ-ეკოლოგიური ხასიათის მწვევე პრობლემები და ნაუცბათევემ გადაწყვეტებმა აქ შეიძლება დიდი მოულოდნელობის წინაშე დაგვაყენოს ჩვენ, მთელი რესპუბლიკა. ამიტომ თვითდაფინანსებაზე აზრის გაღვივებას თან უნდა ახლდეს სწორედ ასეთი მიდგომა. პირველ ეტაპზე შეიძლება კოლხეთმა ჩვენ არ მოგვცეს დიდი ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც ჩვენ მოველით, მაგრამ ეტაპობრივად თანდათან უნდა მოხდეს ამ პროცესის განვითარება.

რ. ხარებავას აზრით, რესპუბლიკა რომ გადავიდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე არ უნდა იყოს ამისათვის ეტალონი არც ესტონეთი და არც სხვა რესპუბლიკა. ჩვენ უნდა გვქონდეს კონკრეტული გაანგარიშება რას უნდა უდრიდეს რესპუბლიკაში რესპუბლიკური თუ სახალხო მეურნეობრივი რენტაბელობის დონე.

პროფ. გ. ადგიშვილმა აღნიშნა ფასწარმოქმნის პრობლემის შესახებ. საკითხის დაყენება საკვებით სწორია. საჭირო იქნება რესპუბლიკაში შეიქმნას საკუთარი მეთოდოლოგიური ბაზა, რომელსაც დაეყრდნობა ფასწარმოქმნა, საიდანაც უკვე რესპუბლიკაში რეგიონალური ღირებულების პრობლემები გადაიქცევა ე. წ. ეროვნულ ღირებულებად, ე. ი. საჭირო არის ისეთი ბაზის გა-

მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს ექვივალენტურ გაცვლას, ეს იქნება ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთულ ქვეყნებთან და ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ის, რომ ასეთი პრობლემა, როგორც არის ფასწარმოქმნა უნდა გადაწყვიტოს ფინანსთა სამინისტრომ, ფასების კომიტეტმა და ერთ-ერთმა კვლევითმა ინსტიტუტმა. სავესებით არის გამორიცხული უმაღლესი სასწავლებლები.

გ. პაპავამ, თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა: რესპუბლიკის ეკონომიკურ თვითმმართველობაზე გადასვლის მექანიზმის კონცეფციის თავისებური მოდელი.

მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის (რეგიონის) ეკონომიკის თვითმმართველობა და თვითდაფინანსება საწარმოთა შემოსავლებიდან ანაკრეფი თანხების განაწილება-გადანაწილებით, განა ეს სამეურნეო ანგარიშია? ეს რომ ასე იყოს, მაშინ საბჭოთა კავშირი, აშშ. ინგლისი, საფრანგეთი და ყოველი სახელმწიფო თურმე იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე. ეს ხომ წმინდა წყლის აბსურდია. ეს უნდა ითქვას კატეგორიულად, არა ორზაროვნად, არაფერია აქ დასაძალი.

რესპუბლიკა, რეგიონი, საერთოდ სახელმწიფო, როგორც ტერიტორიული წარმონაქმნი-სამეურნეო ანგარიშის მეთოდით კი არ მუშაობს, არამედ ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ეკონომიკური ანგარიშის მეთოდით. ამ მეთოდს პირდაპირი ეკონომიკური ანგარიშის მეთოდსაც უწოდებენ. რატომღაც ესტონეთის მიერ გამოქვეყნებულმა რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის კონცეფციამ დავიწყებას მისცა ეს ჭეშმარიტება.

პირდაპირი ეკონომიკური ანგარიში ანუ ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ეკონომიკური ანგარიშის მეთოდი, როგორც სისტემა, მოიცავს შემდეგი საკითხების მოგვარებას:

1. ცენტრალიზებულ დავალებათა ეკონომიკური ხელსაყრელობის განსაზღვრას;
2. ცენტრის ეკონომიკური რესურსების გამოვლინებას, აღრიცხვასა და გამოყენების ორგანიზაციას;
3. ეკონომიკურ მექანიზმში კრედიტისა და მანეთის ქმედით გამოყენებას;
4. ცენტრალური სამეურნეო ორგანოების მუშაკთა ეკონომიკური დაინტერესების მექანიზმის რაციონალიზაციას;
5. ადმინისტრაციული მეთოდების ეკონომიკური ანგარიშის სისტემაში ჩართვასა და მისთვის მორავინიზებული როლის მინიჭებას;
6. სამეურნეო რგოლებზე ცენტრალური სამეურნეო ორგანოების ქმედითი ზეგავლენის მექანიზმის მართვას; საქმე ისაა, რომ ეს ორგანოები თვითონ ქმნიან ან შლიან სამეურნეო-ანგარიშებრივ საწარმოებს, საწარმოო გავრთიანებებს, მეურნეობებს. განსაზღვრავენ მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობას, გადაწყვიტავენ ისინი სრული სამეურნეო ანგარიშის მექანიზმით მუშაობაზე, აწესრიგებენ სამეურნეო კავშირებს, ამტკიცებენ და უშვებენ საწარმოებსა და მეურნეობებში ეკონომიკურ ნორმატივებს.

7. სახალხო მეურნეობის მასშტაბით მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს თანაფარდობის კონტროლსა და მართვას, ფასწარმოქმნისა და შრომის ანაზღაურების მექანიზმთა მეთოდური საფუძვლების შემუშავებას;

8. დარგთაშორისი ცენტრალური ორგანოების სისტემით (სახბანკო, ფინანსთა სამინისტრო, შრომისა და ფასების სახკომიტეტები და ა. შ.) საწარმო-

4. „მეცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989, № 1

თა (გაერთიანებათა) და მეურნეობათა მიერ მათზე დაშვებულ ყველა ნორმატივის გამოყენების კონტროლს;

9. ცენტრალიზებული პროგრამების განხორციელებისათვის სახელმწიფო შეკვეთების სისტემის შემუშავებას, დაშვებას და მათი მეშვეობით საინვენსტიციო პოლიტიკის შემუშავებას და სახელშეკრულებო საწყისებზე განხორციელების ორგანიზაციას და ა. შ.

საკითხი იმას კი არ ეხება, რომ რესპუბლიკა ან რეგიონი გადავიყვანოთ სამეურნეო ანგარიშზე, არამედ იმას, რომ ზედმეტი ცენტრალიზაციიდან გადავიდეთ სათანადო დეცენტრალიზაციაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პირდაპირი ეკონომიკური ანგარიშის განხორციელება რესპუბლიკის დონეზე.

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ საკავშირო ორგანოებმა დათმონ ბევრი ფუნქცია და გადასცენ ისინი რესპუბლიკებს ცენტრალიზებული ეკონომიკური ანგარიშის განხორციელებისათვის. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა რესპუბლიკების გადასვლა ეკონომიკურ თვითმართველობაზე და რესპუბლიკის საფინანსო სახსრების თვითგამგებლობაზე.

ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პირდაპირი ეკონომიკური ანგარიშის აღრევამ სამეურნეო ანგარიშში გამოიწვია იმგვარი ვაგების აღმოცენება, რომლის მიხედვით რესპუბლიკის ეკონომიკური თვითმართველობა და საფინანსო სახსრების თვითგამგებლობა მიჩნეულია საბჭოთა კავშირის ეკონომიკიდან რესპუბლიკის „იზოლირებად“.

სწორედ ამგვარი ვაგება განაპირობებს ზოგიერთი ეკონომისტის პესიმიისტურ განწყობილებას, თითქოსდა ჩვენი რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა თვითდაფინანსებაზე გადასვლის საშუალებას. ანდა შეუძლებელია რესპუბლიკის ეკონომიკის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურის ერთბაშად შემობრუნება, ამის წელი ჩვენ ჯერ არ გავაჩნიათ [და სხვა მისთანები].

არასწორი ვაგება, როგორც წესი, იწვევს არასწორ ორიენტაციას. ამის მაგალითად გვევლინება წინასწარი სამუშაოების პროგრამა, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს პრესაში არამართებული სახელწოდებით: „სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის გადასვლის გამო წინადადებათა მომზადებისათვის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ“ (იხ. ვაზ. კომუნისტი, 18 ნოემბერი, 1988 წ.). იგი იწვევს ადმინისტრაციულ მიდგომას,

ჯერ ერთი, აქ ნაცვლად ეკონომიკური მექანიზმით მართვისა პრობლემებში დასახელებულია ისეთი სამუშაოები, რომლებიც ცენტრალიზებული რესურსების შესაწავლას ეძღვნება, ანუ პირდაპირი ეკონომიკური ანგარიშის საკითხები ვასაღებელია სრული სამეურნეო ანგარიშის საკითხებად.

მეორეც ის, რომ დაუშვებელია რეგიონი, ან რესპუბლიკა იმყოფებოდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე, მაშინ როდესაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლები იმყოფებიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ბოლოს და ბოლოს ვინ მუშაობს, ან ვინ უნდა იმუშაოს სრული სამეურნეო ანგარიშით: საწარმომ, ადმინისტრაციულ-ეკონომიკურმა რეგიონმა თუ რესპუბლიკამ? განა შეიძლება გაფართოებულ კვლავწარმოებას მარტივ კვლავწარმოებასთან ერთად თავიდან ბოლომდე ერთდროულად მართავდნენ როგორც რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები, ადმინისტრაციული რეგიონები ისე საწარმოებიც (გაერთიანებები, მეურნეობები)? სრული სამეურნეო

ანგარიში შესაძლებელია განხორციელდეს ერთ დონეზე და ისიც სახალხო მეურნეობის ძირითად რგოლებში.

პრესაში გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ მასალაში მე-18 და მე-19 პუნქტებიც არასწორად არიან ფორმულირებული: ნაცვლად თვითმართველობა, თვითდაფინანსებისა ნათქვამია სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა.

ცხადია, ამგვარი გამოსავალი პოზიციებიდან არ შეიძლება არ ავცდეთ ან საკმაოდ არ დავაგვიანოთ ეკონომიკურ თვითმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა. ამგვარ დაგვიანებას დრო არ გვაპატიებს.

საქმე ისაა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკურ თვითმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა უფრო შესაძლებელია, ვიდრე ზარალიანი საწარმოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა.

რესპუბლიკის ეკონომიკური თვითმართველობა და საფინანსო სახსრებით თვითგანმგებლობა (თვითდაფინანსება) არ ნიშნავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურისა და ფინანსების ერთი ხელის დავკრით მოწყვეტას საბჭოთა კავშირის სამეურნეო-საწარმოო ერთიანი კომპლექსის სტრუქტურისა და ფინანსებისაგან. არ უნდა გამოვგრჩეს მხედველობის არიდან ის, რომ საწარმოებისა და მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით ხორციელდება ცენტრალური ხელმძღვანელობის ორგანოების ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქციებიდან განთავისუფლება, რაც აადვილებს რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევას სახალხო მეურნეობის მმართველობისა და დაფინანსების საკითხებში და ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ეკონომიკური ანგარიშის განხორციელებაში.

ამ გარემოებათა საფუძველზე შეეცადეთ გაგვეკეთებია სათანადო კონცეფციის პრინციპული სქემა. იგი საჭიროა ვახდეს განხილვისა და აზრთა ჭიდილის და არა, პროფესიონალურ ცრუთავმყვარებათა ჭიდილის საგანი.

სახელდობრ: დავეუვათ უკიდურესად უარესი საფინანსო მდგომარეობა, თითქოს რესპუბლიკის ბიუჯეტში საკუთარი ობიექტებიდან შემოსავლები შეადგენდეს 20%-ს, საკავშირო ორგანოებიდან მოზიდული სახსრები (ასიგნებანი) კი — 80%-ს. ისმის კითხვა ამ პირობებში რა მექანიზმით განხორციელდეს რესპუბლიკის გადასვლა თვითდაფინანსებაზე?

ამისათვის, ჩვენი შეხედულებით, საჭიროა პირველ რიგში რესპუბლიკა გადავიდეს ეკონომიკურ თვითმართველობასა და საფინანსო სახსრების თვითგანმგებლობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ

1. რესპუბლიკას უნდა მიენიჭოს როგორც საკუთარი ობიექტებიდან მიღებული, ასევე რესპუბლიკის ბიუჯეტში საკავშირო ბიუჯეტიდან ჩარიცხული სახსრების თვითგანმგებლობა;

2. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ რეგიონებს უნდა დაექვემდებაროს მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტი;

3. რესპუბლიკას უნდა მიენიჭოს ეკონომიკური თვითმართველობის უფლება და დაეკისროს სათანადო პასუხისმგებლობა რესპუბლიკის მოსახლეობის წინაშე და სსრ კავშირის წინაშე ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

4. ამისათვის უნდა შემუშავდეს ახალ პირობებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირებისა და მართვის მექანიზმი.

ამ მექანიზმის პრინციპული ხასიათის მონახაზი ჩვენ შემდეგნაირად წარმოვიდგენია:

1. ხანგრძლივი სტაბილური ნორმატივების მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ყველა საწარმოს ანარიცხები უშუალოდ უნდა იყრიდნენ თავს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეგიონის ბიუჯეტში. შემდეგ ამ რეგიონების ბიუჯეტებიდან უნდა ხორციელდებოდეს ანარიცხები რესპუბლიკურ ბიუჯეტში, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კი — საკავშირო ბიუჯეტში.

რესპუბლიკის გადასვლამ ეკონომიკურ თვითმართველობაზე, დაცულშვით, გამოიწვია ეკონომიკის წამოწევა და ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა. ამ ზრდის კვალობაზე რესპუბლიკას უნდა შეეძლოს შეამციროს საკავშირო ბიუჯეტიდან მოზიდული სახსრები და ამის შესაბამისად მიიღოს შედეგადად საკავშირო ბიუჯეტში ანარიცხების ნორმატივებში ისე, რომ ამ მხრივ დაბალანსდეს გადასვლის სასტარტო საფინანსო პოზიციები.

დაეუშვათ, რესპუბლიკას მიეცა უფლება ამგვარი მექანიზმის მეშვეობით 5 წლის მანძილზე საკუთარი ობიექტებიდან შემოსავლებით მთლიანად 100%-ით უზრუნველყოს თავისი ბიუჯეტი. თუ მან ეს შეძლო, მაშინ იგი ბიუჯეტის საფინანსო სახსრების თვითგანმგებლობიდან თავისთავად აღმოჩნდება გადასული თვითდაფინანსებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკავშირო ხელმძღვანელობას შეუძლია გაუგრძელოს აღნიშნული ვადა იმ პირობით, რომ ბაუჯეტში ასიგნებანი ჩაუთვალოს სესხად და დააწესოს მასზე სათანადო გადასახდელი (%-ით).

იმისათვის, რომ რესპუბლიკამ ეფექტიანად (ქმედითად) გამოიყენოს თვითმართველობის მექანიზმი და დააჩქაროს ან უზრუნველყოს დაწესებულ ვადაში ფინანსების თვითგანმგებლობიდან თვითდაფინანსებაზე გადასვლა, საჭიროა:

1. რესპუბლიკა მართვის დარგობრივი სისტემიდან გადავიდეს რეგიონალურ სისტემაზე;

2. მართვაში ნაცვლად დარგობრივი და რეგიონალური ინტერესების შეხამებისა განხორციელდეს დარგობრივი და რეგიონალური ინტერესების ინტეგრაცია; სახელდობრ: საჭიროა ადმინისტრაციული დაყოფის ნაცვლად განხორციელდეს რესპუბლიკის ტერიტორიის დაყოფა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ რეგიონებად. ყოველი ობიექტი, რომელიც მოცემული რეგიონის ტერიტორიაზე აღმოჩნდება, უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს რეგიონის რეგიონალურ-დარგობრივი მართვის ორგანოს. ეს ორგანო ერთდროულად უნდა ახორციელებდეს როგორც რეგიონალური, ისე დარგობრივი მართვის ფუნქციებს რეგიონალური და დარგობრივი ინტერესების სათანადო თავსებადობის მიღწევით. ამ ორგანოს უნდა გააჩნდეს ორი მსხვილი სტრუქტურული ქვედადაყოფი: რეგიონალური და დარგობრივი.

რესპუბლიკის მართვის ორგანოებიც უნდა მოიცავდნენ ორ ანალოგიურ სტრუქტურულ ქვედადაყოფს. აქაც უნდა ხორციელდებოდეს რეგიონალური და დარგობრივი ინტერესების მაინტეგრირებელ ღონისძიებათა და სამმართველო გადაწყვეტილებათა მიღება და მათი განხორციელების მართვა.

3. საწარმოებში აპრობირებული და დანერგილი იქნას მათი საქმიანობის მაღალორგანიზებული მართვის მექანიზმი, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიტიკურ-შემფასებელ სისტემაზე დაყრდნობით. მოგახსენებთ, რომ უკვე შექმნილია ამგვარი სისტემის მექანიზმი, რომელიც ასახულია ჩვენს ფუნდა-

მენტალურ გამოკვლევაში. სამუშაოდ მისი გამოკვეყნება ხელოვნურად ფერხდება, რადგან აწყდება მთელ რიგ ხელოვნურ ბარიერებს.

4. აუცილებელია ამგვარი მიდგომითვე დამუშავდეს და განხორციელდეს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეგიონის სამეურნეო-საწარმოო კომპლექსის ფუნქციონირების ორგანიზებულობის მართვის მექანიზმი;

5. მე-3 და მე-4 ტუნქტებში მიღწეულ შედეგებზე დაყრდნობით საქირთა შემუშავდეს და დაინერგოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რეგიონების სამეურნეო-საწარმოო კომპლექსთაშორის ურთიერთობების ორგანიზებულობის მართვის მექანიზმი.

ჩვენი შეხედულებით, ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს პირველ რიგში. მის პარალელურად უნდა განხორციელდეს ის სამუშაოები, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში: „სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის გამო წინადადებათა მომზადებისათვის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ“.

დასასრულს, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის თვითმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის ღონისძიებებში აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა ეკონომიკის სწრაფი აღმავლობისადმი, რადგან საწარმოთა ეკონომიკა ის ძირითადი რგოლია, რომელსაც ცენტრალური ადგილი უქავია რესპუბლიკის ეკონომიკის თვითმართველობის მექანიზმში. სანამ საწარმოთა ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას არ მივაღწევთ, მანამ არაფერი გვეშეულება და ყოველთვის ეიქნებით „სხვისი ხელის შემყურე“.

ლ. ჩიქავამ თავის გამოსვლაში თქვა. საქამათოდ მიმანია თვითონ ის, თუ რაზე გადაგვყავს რესპუბლიკა: მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებაზე, თვითდაფინანსებაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ვანიჭებთ თუ ა. შ. თვითდაფინანსება არ მოიცავს მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებას. პირიქით კი, მეურნეობრივი ანგარიშთანაბრება თვითდაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია. აქ უფრო უპირიანი იქნება ეთქვას, რომ რესპუბლიკა გადაგვყავს ეკონომიკურ თვითმმართველობაზე და თვითდაფინანსებაზე. აქ ითქვა, რომ რესპუბლიკაში გაწეულ ყველა დანახარჯს შემოსავალი 1244 მლნ მანეთით ჩამორჩება, დანახარჯი აღემატება შემოსავალს. ჯერ ერთი, ეს გაანგარიშება სარწმუნო არ არის დღევანდელი ფასების დამახინჯებულობის გამო. მეორე, კიდევაც რომ იყოს იგი სარწმუნო, ამ პრინციპებზე, რომელსაც ჩვენ ესლა ვლადპარაკობთ და მითუმეტეს მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების ცალკეულ პრინციპებზე გადაყვანა მაინც შეიძლება განხორციელდეს. მე მინდა მაინც სქემატურად ჩამოვთვალო რა მიმანია წინამძღვრად იმისა, რომ ამ ღონისძიებების განხორციელებაზე გადავიდეთ. ვიჩქარებ ჩვენ საწარმოების მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების გადაყვანის საქმეში. ისე, რომ სხვა მთელი რიგი პრობლემები გადაჭრილი არ იყო. ერთ მაგალითს მოვიყვან. საწარმოებს ჩვენ შევექმნით წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდს, სახსრები დაუგროვდა ახალ სისტემებზე გადაყვანილ საწარმოს, მაგრამ ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიური მოწყობილობის შეძენის საშუალება არ გააჩნია იმიტომ, რომ წარმოების საშუალებებს ვერ ყიდულობს თავისუფლად, ფული აქვს და ვერ ყიდულობს, ფონდი არ აქვს. ეს არის თუ არა შემფერხებელი ამ ეტაპზე? რა თქმა უნდა არის. საკუთრების საკითხზე მეც მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა. აბა როგორ ვესწავლოთ ჩვენ პოლიტიკური ეკონომიის კურსში მეურნეობრივი ანგარიშთანაბრება.

სახელმწიფოებრივი საწარმოები, რომლებიც გადაყვანილი არიან მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე, იმათ საკუთრებაში აქვთ ის წარმოებითი საშუალებები? არა აქვთ. მე განა იმას უარეყოფ, რომ თუ რესპუბლიკის საკუთრებაში იქნება ეს ცუდია მეთქი. არა დღეს ასე საკითხის დასმა შეუძლებელია და ამიტომ არარეალურზე რატომ ვილაპარაკოთ, ჩვენ ვილაპარაკოთ ამ ეტაპზე რეალური რა არის. აქ იყო ნათქვამი, თუ ის რესპუბლიკის საკუთრებაში არ იქნა, არავითარ თვითდაფინანსებაზე, არავითარ თვითმმართველობაზე გადასვლა არ შეიძლება, ეს სწორი არ არის, მე ამას არ ვიზიარებ იმიტომ, რომ ის შეიძლება გამოყენებული იქნეს თუკი ის გადაცემული იქნება რესპუბლიკის გამგებლობაში, სარგებლობაში ისე, როგორც ვთქვით მიწა გადაცემული აქვს კოლმეურნეს უფადო, უფასო სარგებლობაში, ამგვარად, მაგრამ არ დაკარგის მან სტატუსი მთელი საერთო სახალხო საკუთრებისა მთელი საბჭოეთის მასშტაბით. ამ ეტაპზე, ამ მწვავე ვითარებებში, ჩემი აზრით, არ იქნება მიზანშეწოაილი. რომ ჩვენ დავიჩემოთ, რომ საავიაციო ქარხანაც ჩემია, ეს აუცილებელი არ არის.

კიდევ ერთი საკითხი. შრომის საერთო საკვშირო დანაწილებაში ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობა. შეიცვლება თუ არა წარმოების დარგობრივი სტრუქტურა ამ ლონისძიებასთან დაკავშირებით. რასაკვირველია უნდა შეიცვალოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვიქნებით კვლავ სპეციალიზებულნი, ვთქვათ, მეჩაიეობის განვითარებაზე, მევენახეობის, მეხილეობისა და მათი გადამამუშავების დარგების განვითარებაზე, მაგრამ პარამეტრები შეიცვლება და უნდა შეეცვალოს იმიტომ, რომ მაგ. ბალტიისპირა რესპუბლიკებს ჩვენ არა მარტო იმიტომ ჩამოვრჩებით, რომ შრომის კულტურა და წარმოების კულტურა გვაქვს დაბალი, არამედ იმიტომ ჩამოვრჩებით, რომ წარმოების დარგობრივი სტრუქტურაა განსხვავებული იქ და მაღალი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი შრომატევადი, მეცნიერებატევადი დარგები, რომლებშიაც კვალიფიციური, რთული შრომა მეტი რაოდენობით წარმოიქმნება. ჩვენ რაკი დანაწილების იმ პრინციპების მიხედვით განვითარებდით ჩვენს სახალხო მეურნეობას, რომელიც დღემდე იყო, რადგანაც საკავშირო ბიუჯეტი არსებობდა, რომელიც გადამანაწილებელ როლს ასრულებდა ამ წმინდა შემოსავლისას, არ იყო მაინცდამაინც დიდად სადარდებელი იქ ეს გარემოება. რაკი ჩვენი მიზეზით არ იყო ის, რომ მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნულ შემოსავალს უფრო ნაკლებს ვაწარმოებდით, ამიტომ ჩვენ თავისუფლად ყოველგვარი დიდი რევერანსების გარეშე შეგვეძლო წამოგვეყენებინა მოთხოვნა, რომ ჩვენ უნდა შეგვევსო ის დეფიციტი, რომელიც რესპუბლიკას ჰქონდა. მაგრამ ახლა უკვე როდესაც ეკონომიკური თავისთავადობა იქნება რესპუბლიკისა, მაშინ ჩვენ უკვე მივაქცევთ ყურადღებას ამ მომენტებს. მე მეტი რომ არ გავაგრძელო, საერთო საკავშირო ამოცანებიდან არ გამოვალთ მარტო, რესპუბლიკის ამოცანებს შეეუხამებთ მას უფრო მეტად, ვიდრე მას დღემდე ვუხამებდით. ე. ი. სპეციალიზაცია კომპლექსურ განვითარებას უნდა შეეუხამოთ.

შემოსავალია მთავარი რომ თვითდაფინანსება იყოს და გამოუყენებელი დიდი რეზერვი გააჩნია ჩვენს რესპუბლიკას არაწარმოებრივ სფეროში. ეს არის საკურორტო მეურნეობის განვითარება. ჩვენ გამოუყენებელი გვაქვს ეს ელემენტი. ყველამ ააშენა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები საქართველოს შავიზღვისპირეთში. არაფერს ამისათვის ჩვენ იმათ არ ვახდევ-

ნებდით. აი დღეიდან ან უნდა დაეუწყსოთ მიწის შეფასების პრინციპების მიხედვით ექვივალენტური გადასახადი, ან გამოვისყიდით ჩვენ მას და თვითონ მოველეთ, მოვემსახურებით და მნიშვნელოვანი წყარო იქნება ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ო. სალარიშვილი ადნიშნა, რომ ჩვენ უნდა გავაჩნდის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამეურნეო ანგარიშ-ანობის პრინციპებზე გადაყვანის ჩვენი საკუთარი მოდელი. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი მოდელი, რაც შემოთავაზებული იქნება თუნდაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან, თუნდაც სხვა რესპუბლიკებიდან, შეიძლება თავიდანვე უარი განუტეხადოთ.

თქმა იმისა, რომ ესტონეთში მარცვალი გაცილებით მეტი იწარმოება ვიდრე საქართველოში, ან ხორცი, ან რძე მეტი ესტონეთში, ვიდრე საქართველოში ეს საკმარისი არ არის. მათ მართლაც ასე უნდა გააკეთონ, მეტი უნდა აწარმოონ რძეც, მარცვალაც, ხორციც და სხვა. ერთი წუთით გავაკეთოთ ასე, 300 ათ. ჰექტარი ფართობი უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს. გავჩეხოთ 300 ათ. ჰექტარი, გავაშენოთ მარცვლეული და ავიყვანოთ მარცვლეულის წარმოება ერთ ჰექტარზე ისე, როგორც ევროპის ქვეყნებშია, საშუალოდ 80 ც. მდე და ჩვენ მივიღებთ ერთი წლის შემდეგ მარცვალს დაახლოებით 2400 ათას ტ. 700 ათას ტ. ისედაც იწარმოება და ეს ნიშნავს უკვე 3 მლნ. ტ. მეტ წარმოებას, სადაც ეს 2-ჯერ მეტია მარცვლის მოცულობისა ვიდრე რესპუბლიკას სჭირდება. ამგვარი მიდგომა აღარ გამოგვადგება, ჩვენ ჩვენი ორიენტირი გვაქვს. აქ მეორე მხარეა. თუ ჩვენ ამ მაჩვენებლებით კი არ ავიღებთ ორიენტაციას, არამედ აგროსამრეწველო კომპლექსს მთლიანად, მაშინ საქართველო არც ესტონეთს ჩამორჩება ამ დარგში ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობით და არც ნებისმიერ დანარჩენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს. ეს უნდა იყოს ორიენტირი და ორიენტაციისათვის შესაბამისად იმ დარგების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს კვების მრეწველობის განვითარებას, მსუბუქი მრეწველობის განვითარებას და შესაბამის მანქანათმშენებლობის განვითარებას ამ დარგებისათვის, რაც ცხადია მომავალში უნდა გაკეთდეს.

ეხლა პრიორიტეტების შესახებ. ჩვენთვის ეს ასე იყო. სახალხო მეურნეობრივი გეგმა, მაგრამ ამჟამად კავშირი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა მთელ საკავშირო სახალხო მეურნეობასთან ხორციელდება სწორედ სახელმწიფო შეკვეთებით. ჩვენ გვინდა ხელი ავიღოთ ყოველგვარ ადმინისტრაციულ მეთოდებზე და ამავე დროს ადმინისტრაციული მეთოდების ერთი ფორმიდან გადავიდეთ მეორე ფორმაზე. თავად სახელმწიფო შეკვეთამ მხოლოდ ცნება შეცვალა. ის, რაც გეგმონდა ჩვენ დავალება შეიცვალა შეკვეთად და იგივე ფუნქცია აკისრია წარმოებაში როგორც ქონდა დავალებას. სად არის გამოსავალი. კანონში არის მითითებული იმის შესახებ, რომ უნდა განავითაროთ კონკურენციული ურთიერთობა, აი ამაში უნდა ჩაიჭვილიოთ ხელი. კონკურენცია რა არის. კონკურენცია ეს არის საქონელმწარმოებელთა ურთიერთობა საერთო ბაზრისათვის, სადაც საქონელმწარმოებელთა ურთიერთობა ყალიბდება საერთო ბაზრისათვის და არა განცალკევებული ბაზრებისათვის ყალიბდება კონკურენცია. მაგრამ ამოსავალი ამ კონკურენციისა? — შრომის საკავშირო დანაწილება, შრომის რესპუბლიკური დანაწილება, შრომის ადგილობრივი დანაწილება და ეხლა შრომის მსოფლიო დანაწილებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. რა ზომით, რა მოტივებით, რა პარამეტ-

რებით, ამას ცხადია მოფიქრება და გააზრება სჭირდება. ამას სჭირდება ისეთი ნორმატივები, რომლის მსგავსი ალბათ დღემდე არ გავაჩნდა. ჩვენ დღემდე გავაჩნდა ან მატერიალურ საშუალებათა ნორმატივები, ან შრომითი დანახარჯების ნორმატივები და ბოლო ხანს შემოვიდა ვადასახადების ნორმატივები. არ არის ეს საკმარისი, ყველაფერმა ამან შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს, რომ ფასების სისტემა დავადგინოთ, ფასების სისტემა ისე, რომ ეროვნული შემოსავალი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ რესპუბლიკიდან ისე გადის, რომ საკმაოდ გვიციკრებს ჩვენ ეროვნული შემოსავლის მოცულობას და ჩვენ უკვე დაბალანსების საშუალება აღარ გავაჩნია. თუნდაც ერთი სახის პროდუქტთა ავილოთ, ვთქვათ ჩაი, რომელიც ყველას გვაწუხებს. 1 კგ ჩაის მზა პროდუქტის წარმოებისათვის 4 კგ ნედლეულია საჭირო. ამ 4 კგ-ის წარმოებისათვის სოფლის მეურნეობა იღებს 3 მან. და 20 კპ. გადამამუშავებისათვის მრეწველობა ღებულობს შესაბამისად 2 მან. ე. ი. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ერთად 5 მანეთს ღებულობს, სახელმწიფო ფასების გათვალისწინებით 12 მანეთს იძლევა, ეს სხვაობა 7 მანეთის რაოდენობით, აი ამას უნდა ჩავუიღოთ ხელი.

გ. ჩუბინიძემ დაიწყო კითხვით: ჩვენ გვაძლევს დაგეგმვის სისტემა იმის საშუალებას რაც ქვეყანაში მოქმედებს, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკა, საწარმო და ტერიტორიულ-რაიონულ ჭრილში ვილაპარაკოთ? არ გვაძლევს საშუალებას. ჯერ რადიკალური რეფორმა განხორციელდეს და შემდგომ შეიძლება ვილაპარაკოთ რესპუბლიკის სრული სამეურნეო ანგარიშის კონცეფციის მომზადების საკითხებზე და წინადადებით შემოვდივარ, რომ ტერიტორიულ ჭრილში (ადმინისტრაციული რაიონები, ქალაქები) დამუშავდეს მექანიზმის საკითხები.

ვ. პავლიაშვილმა აღნიშნა რომ ჩვენი რესპუბლიკა ისეთ დონეზეა, რომ მას სავსებით შეუძლია თავის თავის მოვლა, სხვა ამბავია, რომ ჩვენ უკეთესად შეგვიძლია ჩვენი შინაგანი რესურსების გამოყენება. რაც გვჭკავს, ჩვენ სავსებით შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელი ეკონომიკურად. ჩვენ რალაკეები უნდა შემოვიტანოთ, იმიტომ რომ იმის ადგილი ისეთმა წარმოებამ დაიკავა, რომელიც სჭირდება კავშირს და არა რესპუბლიკას. ე. ი. თავიდანვე განსაზღვრულია ჩვენი ეკონომიკის დეფიციტურობა, ჩვენი ბიუჯეტის ხელოვნური დეფიციტურობა. აი ამ გარე ფაქტორს, რომელიც დაკავშირებულია ცენტრის ურთიერთობასთან, ეს თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა, ჩვენ ვერავითარ შედეგს ვერ მივიღებთ.

თ. ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ აქ საკამათო პრობლემას ძირითადად სამი ასპექტი აქვს. პირველი ასპექტი ეს გახლავთ პოლიტიკური ასპექტი, მეორე — ეკონომიკური ასპექტი და მესამე — ორგანიზაციული ასპექტი. კონსტიტუციაში დაფიქსირებული არის ასეთი დებულება, რომ თითოეული რესპუბლიკა წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს და როდესაც მსჯელობა არის ამ დებულებაზე, ანდა მეორე დებულებაზე, რომელიც ხაზგასმით აღნიშნა მე-19 პარტკონფერენციაზე, მე მხედველობაში მაქვს დებულება საბჭოთა კავშირში სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების შესახებ. ორივე ამ დებულების რეალიზაცია ყოვლად შეუძლებელია არა მარტო რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის გარეშე, არამედ ყოვლად შეუძლებელია რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე განხორციელდეს ეს პრინციპები. ესტონელი ამხანაგები პირდაპირ ლაპარაკობენ

და ეს მართებულია, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის აუცილებლობას ისინი პოლიტიკური მიდგომით, პოლიტიკური მოთხოვნებით, სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების აუცილებლობით და არა ეკონომიკური აუცილებლობიდან გამომდინარე, ასახულებენ. რაც შეეხება ეკონომიკურ ასპექტს, როდესაც დგება საკითხი საკუთრების სუბიექტის შესახებ, ალბათ უნდა გავითვალისწინოთ ბოლო მიღწევები აი ამ საკითხში ე. ი. საკუთრებითი ურთიერთობები სუბიექტების მრავალსახეობის, მრავალფეროვნების, მრავალსახეობრიობის კონცეფცია. ე. ი. საკითხი ასე კი არ დგას, რომ საერთო სახალხო საკუთრება მარტო რესპუბლიკის ან მარტო ჩვენი საბჭოთა კავშირის საკუთრებაა, არამედ სხვა სუბიექტებს შორისაც ნაწილდება, ნაწილდება დარგის დონეზე, ნაწილდება რეგიონის დონეზე და ნაწილდება საწარმოს დონეზე.

რ. გოცირიძე აღნიშნა, რომ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე თანდათობით გადასვლა არის ის წინაპირობა, რომელიც შემდეგ დაარეგულირებს ფასებს, შემდეგ მოაწესრიგებს ექვივალენტურ საქონელბრუნვას რესპუბლიკებს შორის და არა პირიქით, რომ ჩვენ თავიდან დავიწყეთ იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გავცვალოთ საქონელი ექვივალენტურად და შემდეგ უკვე ამ პოზიციიდან გადავიდეთ მასზე. აქედან რომ დავიწყეთ მე მგონი ამას ვერასოდეს ვერ შევძლებთ და რომ შევძლოთ დაახლოებით 15-20 წელი მაინც დაპირდება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის ორიენტირი, რაზე უნდა ვიმუშაოთ და ეს მოსამზადებელი სამუშაოები უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მომავალი კვლევის ინფორმაციული ბაზა და არა მასზე გადასვლის საფუძველი. რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა — ეს არის რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტი, რაც დამყარებულია საკუთრების ფორმაზე და ეს საკუთრება უნდა იყოს რესპუბლიკის, მეორე — დამოკიდებულება ცენტრთან უნდა იყოს პარტნიორული, სუვერენული და მესამე — რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში არ შეიძლება განვიხილოთ მისი პოლიტიკური სარჩულიდან მოწყვეტით. იბადება ბუნებრივად კითხვა, შეიძლება თუ არა საქართველო არსებობდეს დამოუკიდებლად. როგორც დამოუკიდებელი ქვეყნისათვის, რომელიც ერთი დიდი ქვეყნის შემადგენელი ნაწილი ვართ, ჩვენთვის დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი არავის არ მოუხსნია. ყველაზე ადვილი არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი არსებობა. არ არსებობს ქვეყანაში სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლოს და ეს არის ყველაზე ადვილი გადასაწყვეტი, რომელიც შეიძლება ერთი შეხედვით ვინმეს ძალიან ძნელად მოეჩვენოს. მეორე ვარიანტი შედარებით ძნელი საფეხურია და ჩვენს პირობებში ეს არის სახელმწიფოს არა ფედერაციის არამედ კონფედერაციის პრინციპებზე აგება, ეს უკვე ისევ ვთანხმება იმ მომენტს, რომ აქ პოლიტიკის გარეშე საკითხი არ გადაწყდება, ეს ვარიანტი თავისი საკუთრების ფორმიდან როგორ და რა ეტაპით უნდა გადავიდეს და როგორ უნდა მოხდეს ამ ქონების დანაწილება თუ გადანაწილება, შედარებით ძნელია, გაცილებით უფრო ძნელია ის ვარიანტი, რომლითაც ეხლა გადავდივართ. გამართლებულად მიმაჩნია, რომ თითოეულ რესპუბლიკას, ისევე როგორც საწარმოებს დაუწესდეს ინდივიდუალური ნორმატივები, საკავშირო ფონდის შექმნაში.

ა. თეთრაულმა თქვა, რომ ის დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც დღეს რესპუბლიკას აქვს, პერსპექტივისთვის არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომე-

ლიც ამ რესპუბლიკის დაწინაურებას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ დარგობრივი სტრუქტურის პრობლემა ძალიან ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი, განხილული და შეიცვალოს სტრუქტურა იმ მხრივ, რომ ის დარგები, ის საწარმოები და ის ობიექტები, რომელიც რესპუბლიკას მეტ შემოსავალს მისცემს, რომელიც დააწინაურებს რესპუბლიკას, რომელიც შექმნის პირობებს, რომ უფრო ხარისხიანი პროდუქცია იქნეს წარმოებული, ეს უნდა გაფართოვდეს.

მე ვუერთდები აქ ამხანაგების იმ პოზიციას, რომ საკუთრების პრობლემა დგება ახლებურად, ჩვენ ძველი დოგმები, ძველი სტერეოტიპები აქ უკვე არ გვარკვებს. საკუთრების პრობლემა უნდა იყოს გადაწყვეტილი რესპუბლიკების სასარგებლოდ.

გ. რიგვავამ აღნიშნა, რომ სამეურნეო ანგარიშის განხორციელება წარმოუდგენელადაც მიმაჩნია, თუ აღრიცხვა არ იქნა მოწესრიგებული. თქვენ ალბათ წაითხული გექნებათ სტატისტიკური მონაცემების სიყალბეზე რაც უკვე გამოქვეყნდა. ეს სიყალბეები მომდინარეობს არა სტატისტიკის სიყალბიდან, არამედ ბუხპალტრული აღრიცხვის სიყალბეებიდან.

გ. თოფურია აღნიშნა, რომ რადგან დემოკრატიზაციაა, საჯაროებაა და გვინდა პოზიციები შევიმუშაოთ, არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ეს პოზიციები არა მარტო ალტერნატიული, არა მარტო დიამეტრალურად საწინააღმდეგოც იყოს ერთიმეორის, არამედ მაქსიმალისტურაც მინიმალისტურაც, შუალედურაც და ა. შ. სხვანაირად ჭეშმარიტებას, რაციონალურ მარცვალს ჩვენ ვერ გამოვიტანთ. ჩვენში ეს კამათი რომ გავშალოს, რომ ჩვენ ჩვენი პოზიცია ჩამოვყალიბოთ, რომ ჩვენ ვიკამათოთ, რომ ეს პოზიციები არა მარტო ეკონომისტებმა ნახონ კომპლექსურად, კარგად, არამედ არასპეციალისტებმაც. ამიტომ საჭიროა შეიქმნას ეკონომიკური პროფილის გაზეთი.

გ. გულუამ თავის გამოსვლაში აღნიშნა თემის ლეგალიზაციის მნიშვნელობა. და ამ მიმართულებით კვლევის შესაძლებლობის მოცემა ყოველგვარი გასაიდუმლოების გარეშე. ეს მოგვეცემს საშუალებას დავეუფლოთ საკავშირო ციფრებს და მონაცემებს, უნდა ველოდოთ იმას, რომ საკავშირო ორგანოები და ორგანიზაციები ჩვენ ამაში დაგვეხმარებიან. ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელს აქვს უფლება მოითხოვოს პირველადი მასალა საერთო ინფორმაციული ბაზის შესაქმნელად. ამდენად უნდა ჩავთვალოთ, რომ კარები კვლევისათვის გაიხსნა იმ ციფრების ხელმისაწვდომად, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დასკვნები გაკეთდეს. საკითხი მოგვეხსენებათ რთულიც არის და ძალზე მარტივიც. ძალზე მარტივი იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურას. თუკი პოლიტიკურ სტრუქტურაში ცვლილებები მოხდა და გადაწყდა ისე, როგორც ეს მაქსიმალისტური ვარიანტით არის ნაგარაუდევრი, ჩვენ გვინდათუ არა, მაშინვე აღმოვჩნდებით ჩვენი თავის შენახვის პრობლემის წინაშე. სანამ ასეთი შერეული სისტემა იქნება, როგორც აქ ითქვა. მანამ ცხადია ჩვენ უნდა ვეძებოთ საშუალება, ვარიანტები და ესეც კვლევის საგანი უნდა იყოს როცა არსებობს საერთო-სახელმწიფო საკუთრება, არ არსებობს რესპუბლიკური საკუთრება პრაქტიკულად, ხოლო ნაწილში არსებობს. დადგა დრო, როცა უნდა გამოცხადდეს რესპუბლიკაში ღია ეკონომიკური დისკუსია ამ საკითხებზე და შევქმნათ რაც შეიძლება მაქსიმალურად დემოკრატიული ვითარება, რომ საშუალება ჰქონდეს ყველას

ლიდ გამოთქვას თავისი აზრი და იყოს საშუალება, რომ ამ აზრის მიმართ კრიტიკული აზრებიც გამოითქვას.

ფასებზე ბრძანებდით.

აქ ჩაი ახსენეს. არსებობს მსოფლიო ფასები, არსებობს შიდარესპუბლიკური ფასები, გვაქვს გარეთ გასატანი ფასები, დაფასოებულის ფასები და ა. შ. მინდა გითხრათ, რომ 1989 წლიდან ჩვენი პროდუქცია რესპუბლიკის გარეთ არ გადის, ჩაის პროდუქციას საბოლოო სახეს თვით ჩვენს რესპუბლიკაშივე ვაძლევთ, უფრო მეტიც, თუ ჩვენ ვწარმოებთ ჩაის 112 ათას ტ., 137 ათ. ტ. ვაფასობთ. კიდევ 25 ათას ტონას დამატებით უცხოეთიდან ვღებულობთ. ვაკეთილშობილებთ ჩვენს ჩაის, ვაძლევთ საბოლოო სახეს და ასე ვყიდით.

როგორ გაიგება ესტონეთის მიერ ეკონომიკური დამოკიდებულება, ამაზე ერთი სიტყვით მოგახსენებთ, კამათი დიდი ჰქონდათ და საბოლოო დოკუმენტი მათი არის მაქსიმალისტური. აქ სწორად ითქვა, რომ ჩვენ არასაწარმოო სფეროში სამეურნეო მექანიზმის საკითხში კონცეფცია მეცნიერული, ჩამოყალიბებული არა გვაქვს რესპუბლიკაში. ეს ჩვენი ნაკლოვანებაა, რომ ის ვერ გავხადეთ ფართო საზოგადოების განხილვის საგანი, დაახლოებით ის არის რაც აქ ითქვა, მაგრამ მინდა მოგახსენოთ, რომ ცნობილია თეატრის მოღვაწეობის მექანიზმი როგორი უნდა იყოს, კონსერვატორიის, სამეცნიერო დაწესებულების და ა. შ. ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ის, რომ ეს ხომ არ გამოიწვევს სოციალური გარანტიების გაძვირებას. კატეგორიულად ჩაწერილია, ძალიან საშიშია, რომ ამის შენარჩუნება მოხერხდეს თუ საბოლოო შედეგზე დამოკიდებული, მაგრამ სურვილების სახით ეს ყოველშემთხვევაში ჩამოყალიბებულია იქ. თუ ვინმეს ამ კითხვაზე აქვს თავისი მოსაზრებები, დიდი სიამოვნებით მივიღებდით. მოგვხსენებთ პრეცედენტები შექმნილია, თვითდაფინანსებაზე, ფეხბურთელთა გუნდი გადაყვანილია, თეატრიც გადაყვანილია და ა. შ.

მნიშვნელოვანია საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. რა ჩაითვალოს თვითმმართველობის დონედ. სახელმწიფო შემნებლობისა და სამართლის თვალსაზრისით, თვითმმართველობის დონედ დღემდე განიხილებოდა მხოლოდ დაბა, სოფელი, ქალაქი, რაიონი. ავწიოთ ეს დონე რესპუბლიკამდე და ჩავთვალოთ, რომ რესპუბლიკა თვითმმართველობის დონეა თუ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დონეა. ეს ისეთი სახიფათო საკითხებია, რომელზედაც ერთჯერადი პასუხის გაცემა ძალიან ჭირს, ეროვნული რესპუბლიკები მხარს უჭერენ, რომ რესპუბლიკა არის სწორედ ის, რაზედაც ითქვა, ეს სახელმწიფო მართვის დონეა და ყველა ატრიბუტი, რაც სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი უნდა იყოს.

მეცნიერ-ეკონომისტთა III რესპუბლიკურმა შეხვედრამ მოიწონა რესპუბლიკის თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სამეურნეო ანგარიშთანობის პრინციპებით მართვისათვის თეორიული საფუძვლების მომზადების ღონისძიებათა ეფექტური ჩატარებისათვის ჩათვალა მიზანშეწონილად. უპირველეს ყოვლისა კვლევის წარმართვა სხვადასხვა მიმართულებით.

მეცნიერ-ეკონომისტთა III რესპუბლიკური შეხვედრის ძირითადი პრობლემის ირგვლივ კამათი სულ მალე გაგრძელდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში. აქ 1988 წლის 18 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის პრობლემების კვლევის საკოორდინაციო საბჭოს სხდო-

მაზე ჩატარდა დისკუსია რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშობის პრობლემათა კვლევის საორიენტაციო პროგრამის ირგვლივ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ა. გუნია, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ე.მ.დ., პროფ. ვ. ადვაძე, თსუ პოლიტეკონომიის № 1 კათედრის გამგე, ე.მ.დ., პროფ. გ. ადვიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართვის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ე.მ.დ., პროფ. ვ. პაპავა, თსუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კათედრის პროფ., ე.მ.დ. ო. საღარეიშვილი, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, ე.მ.დ. პროფ. ა. მახარაძე, ისტ. მ.დ., პროფ. ა. ბრეგვაძე, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ე.მ.კ. თ. ჩიკვაძე, ინსტიტუტის პოლიტეკონომიის განყოფილების გამგე ე.მ.კ. მ. გველსიანი, სმედმის განყოფილების გამგე, ე.მ.კ. გ. მალაშხია, სმედმის დირექტორის მოადგილე, განყოფილების გამგე, ე.მ.კ. დ. მოურავიძე, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეები, ე.მ.კ. ო. ვაშაკიძე და ე.მ.კ. მ. ყუფუნია, თსუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოც., ე.მ.კ. ს. სოსელია, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელები: ე.მ.კ. გ. ბედიანაშვილი, ე.მ.კ. ვ. ბურდული, ე.მ.კ. შ. ბურდული, ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი ე.მ.კ. ი. რუბინშტეინი, ე.მ.კ., მეცნიერთანამშრომელი კ. ნიქარაძე, მეცნიერთანამშრომელი მ. მუჩიაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის პრობლემების საკორდინაციო საბჭომ 1988 წლის 18 იანვარს მიიღო პროგრამა.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშობის პრობლემათა კვლევის საორიენტაციო პროგრამა

1. მეთოდოლოგიური საკითხები

ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის არსი და განვითარების მიზეზები და პირობები;

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში, როგორც ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის განსაკუთრებული ფორმა. ეკონომიკური დამოუკიდებლობის საზღვრები. ეროვნული ენერჯია, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორი. ეროვნული ეკონომიკური ინტერესის ჩამოყალიბება და მისი სტრუქტურა.

საკუთრების ეკონომიკური შინაარსი (ახალი მიდგომები) და რესპუბლიკური საკუთრების არსი, საზღვრები, ადგილი საერთო-სახალხო საკუთრების სისტემაში;

კალმხრიობანი ტერიტორიულ ერთეულთა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. განვითარების კომპლექსურობის ტრადიციული და ახალი კრიტერიუმები;

სოციალისტური პლურალიზმი და საერთოსა და სპეციფიკურის, მათი საზღვრების პრობლემა სამეურნეო ანგარიშის ტერიტორიულ მოდელებში;

რესპუბლიკათა მონობოლიური ეკონომიკური მდგომარეობის შესაძლებლობის თაიდან აცილების მექანიზმი სამეურნეო ანგარიშის პირობებში;

სულეირი დოვლათი, ერის წვლილი მის წარმოებაში და მისი ზეგავლენა რესპუბლიკის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2. მაონომიკური განვითარების დონე, რეზერვები, პერსპექტივა

2.1. უმთავრეს შედეგობრივ საწარმოო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მიახლოებული შეფასება (საალბათო შეფასება იმისა, თუ როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგები ამოსავალი სიდიდეების საიმედოობისა და სწორი აღრიცხვის პირობებში):

წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავალი: ა) აღურიცხავი შემოსავლის პრობლემა (შიდა და გარე ბაზარზე აღურიცხავი მომსახურებისა და პირად მეურნეობაში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია მოსახლეობის მიერ); მალულად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია; ბ) მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებში აღურიცხული შემოსავლის ცომილების შეფასება რეალური ფასების სავარაუდო სიდიდის მიხედვით; გ) სხვა ცდომილებანი;

რესპუბლიკური, შიდა რესპუბლიკური და საეკვიპო ბიუჯეტების შემოსავლისა და ხარჯის თანადარდობა, დეფიციტურობის შედარება, დაფარვის წყაროთა და მეთოდთა შედარება, ერთიანობისა და სხვაობის წარმოჩენა;

ბრუნვის გადასახადის ამოღების მოქმედი წესი და სამომავლო მოდელი, მისი გავლენა წარმოებული ეროვნული შემოსავლის აღრიცხვისა და რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის სიდიდეზე;

2.2. განვითარების სავარაუდო ტენდენციები სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკის გადასვლის პირობებში

სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართული და პერსპექტიული ბუნებრივი რესურსები, მათი შეფასება;

აუცილებელი და სასურველი ძვრები დარგობრივ სტრუქტურაში (სპეციალიზაცია, კოოპერირება, კომპლექსურობა), რესპუბლიკათშორისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით. მეცნიერებატევადი დარგების განვითარების შესაძლებლობათა განსაზღვრა. რესპუბლიკისათვის პრიორიტეტულ დარგთა პერსპექტივების განსაზღვრა;

ძვრები წარმოების ტექნიკურ დონესა და დარგობრივ სტრუქტურაში შრომითი რესურსების სტრუქტურის, დასაქმების დონის და სხვ. ვათვალისწინებით;

მოსახლეობის მიერ რესპუბლიკაში და მის გარეთ პროდუქციისა და ფულადი რესურსების შემოტანა-გატანის ბალანსების გავლენა რესპუბლიკის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამჟამად და ამ ბალანსთა ოპტიმიზაციის შემთხვევაში (სავაჭრო და სავადასახდელო ბალანსები).

სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკის გადასვლის პირველ წლებში ბიუჯეტის შესაძლო დეფიციტის შევსების ხერხები, გზები და წყაროები, მოსალოდნელი ეკონომიკური სიძნელების დაძლევის გზები;

თავისუფალ ეკონომიკურ ზონად რესპუბლიკის გამოცხადების შესაძლებლობათა შესწავლა:

მომსახურების სფეროს (აგრეთვე ზოგი სხვა დარგის საწარმოთა) გადაცემა რესპუბლიკურ საკუთრებაში: გზები, ფორმები, საშუალებები.

3. სამეურნეო მიზანშეწონის გარდაკვანა

რესპუბლიკური და საკავშირო ინსტანციების ურთიერთობის პრინციპები: მათ შორის კომპეტენციის სფეროების, მართვის ფუნქციებისა და ბერეკების, ცენტრალიზებული ფონდების წარმოქმნის წყაროების განაწილება.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ადგილობრივი ბიუჯეტი. მასთან ზარალიან საკავშირო საწარმოთა ურთიერთობის მექანიზმის გარდაქმნა.

რესპუბლიკური და შიდარესპუბლიკური (რეგიონების) სამეურნეო ანგარიშის პრინციპების ერთიანობა და მათი დანერგვის თანმიმდევრობა;

რესპუბლიკისა და მისი შიდატერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის მოდელი;

მართვის რესპუბლიკურ ორგანოთა ეკონომიკური დაინტერესება წარმოების ეფექტიანობით. სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემის გარდაქმნა;

ხალხის თვითმმართველობის რესპუბლიკური და შიდარესპუბლიკური მოდელი;

თვითმმართველობა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების ფუნქციების განვითარება, არასაბიუჯეტო და არაუწყებრივი ცენტრალიზებული ფონდების წარმოქმნა;

რესპუბლიკაში მიმოქცევის სფეროს ავტონომიზაციის გზები და საშუალებები;

ბუნებრივი, შრომითი და სხვა რესურსების სარგებლობისათვის გადასახდელების სისტემის შექმნა. რესპუბლიკური საგადასახადო სისტემის ავტონომიზაცია;

სოციალური გარანტიების ერთიანი რესპუბლიკური სისტემის წარმოქმნა; რესპუბლიკის, როგორც საქონელმწარმოებლის ფუნქციები;

სახელმწიფო დაკვეთების სისტემისა და ფასწარმოქმნის რეგიონული ასპექტები;

საწარმოთა რესპუბლიკური მართვის მექანიზმის განვითარების სპეციფიკა. რესპუბლიკური მასშტაბის სამეურნეო ექსპერიმენტების მოწყობის პირობების შექმნა;

სოციალურად სამართლიანი კოოპერაციული საკითხების განვითარების თავისებურებანი საქართველოში, მისი ხელშემწყობი ღონისძიებანი და ამ პროცესების გავლენა წარმოების ობიექტურ და სუბიექტურ (ადამიანის მიერ) ფაქტორთა აქტივიზაციაზე.

რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის სამართლებრივი მექანიზმის უზრუნველყოფა: საერთო ნიშნები და ეროვნული თავისებურებანი.

პუბლიკაცია მოამზადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის პრობლემების საკოორდინაციო სამეცნიერო საბჭოს სწავლულმა მდივანმა ეკონ. მეცნ. კანდ. მიხეილ ჯიბუტმა.

მიხილ თოქაჰოვნილი

მოთხოვნილებების სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე ეტაჰზე

მოთხოვნილებების სტრუქტურის განსაზღვრას, მისი ფორმირების კანონზომიერებების დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის სოციალური პოლიტიკის ძირითადი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში. ხალხის კეთილდღეობის ზრდა, სოციალისტური საზოგადოების ამ უმაღლესი მიზნის რეალიზაცია ემყარება იმ სოციალური პროგრამის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ცალკეული სოციალური შემადგენლობის მოთხოვნილებებს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნა შრომის მიხედვით ანაზღაურების სფეროში და მოსალოდნელი ფასების რეფორმა გარკვეულწილად მიმართული უნდა იყოს სოციალისტური ცხოვრების წესისათვის ადეკვატური მოთხოვნილებების ფორმირებისა და მათი დაკმაყოფილების პირობების შექმნისაკენ. ეკონომიკის მართვისა და დაგეგმვის ახალი ფორმების განხორციელება კი აუცილებლად უნდა გულისხმობდეს მოთხოვნილებათა სტრუქტურის მეცნიერულ ანალიზს, მასთან დაკავშირებული ფაქტორებისა და ურთიერთქმედებაში მყოფი ეკონომიკური მოვლენების კომპლექსურ შესწავლას.

ადამიანის მოთხოვნილებების განვითარება, მისი სტრუქტურის სრულყოფა, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების აუცილებელი მაჩვენებელია. იგი ამასთანავე ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საშუალებაა.

მოთხოვნილებებს აქვს საზოგადოებრივი ხასიათი. იგი წარმოებით ურთიერთობათა ასახვაა, მათ ობიექტურ ფორმას წარმოადგენს და ყალიბდება საზოგადოების როგორც პროგრესული, ასევე ნეგატიური მხარეების შესაბამისად.

მომხმარებელი, — წერდა კ. მარქსი, — არ არის თავისუფალი იმაზე მეტად ვიდრე მწარმოებელი. მისი აზრი ემყარება მის საშუალებებსა და მოთხოვნილებებს. ერთი და მეორე განისაზღვრება მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია საზოგადოების ორგანიზაციაზე მთლიანად¹.

მოთხოვნილებების ფორმირების ფაქტორებია ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური და ა. შ. ამ ფაქტორებიდან მთავარია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ისინი განსაზღვრულნი არიან წარმოების მასშტაბებით, მისი სტრუქტურით, ეროვნული შემოსავლის განაწილებით, მოსახლეობის ფულადი შემოსავლებით და ა. შ.

მოთხოვნილებების ჩამოყალიბება სოციალიზმის დროს გარკვეულწილად დამოკიდებულია საზოგადოების შემოსავლების განაწილებაზე, ხელფასის დონეზე, მის თანაფარდობაზე ფასების სისტემასთან.

¹ Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 4, с. 80.

კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, კ. მარქსი შენიშნავდა, რომ მოთხოვნილებებს, ერთის მხრივ, განსაზღვრავს კლასობრივი მდგომარეობა და შესაბამისად ხელფასის ურთიერთობა ზედმეტ ღირებულებასთან, ხოლო, მეორეს მხრივ კი ზედმეტი ღირებულების დაყოფა ელემენტებად მოგება, რენტა, სარგებელი². ეს ნიშნავს, რომ ყოველი მოთხოვნილება საზოგადოებრივი ურთიერთობათა განსაზღვრული, მაგრამ ყოველ კონკრეტულ ადამიანში მისი ფორმირება ინდივიდუალურ სახეს ღებულობს და სუბიექტურ ფორმას იძენს. ეს განსაკუთრებით შეინიშნებოდა სხვადასხვა სოციალური, ასაკობრივი ჯგუფების, ტერიტორიული ნიშნით განსხვავებული მოსახლეობის ფენების მოთხოვნილებების სტრუქტურის განსხვავებისას სოციალიზმის დროს.

ეს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთიანობა ქმნის ადამიანის მოთხოვნილებების ერთიან სტრუქტურას და ახდენს მის შინაგან დიფერენციაციას.

მოთხოვნილებების განსაზღვრას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება გეგმაზომიერი ურთიერთობის განხორციელების პროცესში. მატერიალური, შრომითი რესურსების, ეროვნული შემოსავლის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს არსებული მოთხოვნილებების შეფასებას.

მოთხოვნილებები რთული, დინამიური და ცვალებადი ურთიერთობაა და მათი გაზომვა, ერთის შეხედვით, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, შეთანაზომება ერთმანეთთან შესაძლებელია, მაგრამ მისი მეთოდები ჯერ არ არის შემუშავებული. აკადემიკოსი ტ. ხაჩატუროვი წერს, რომ მოთხოვნილებების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ მოთხოვნილებების რანჟირება, შევადგინოთ მათი სქემა იერარქიის მიხედვით. არ არიან ის ეკონომისტები მართლნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რანჟირება არ შეიძლება. საგეგმო, სამეურნეო ორგანოებს ხშირად უხდებათ მოთხოვნილებების რანჟირება და მათი დაპირისპირება ერთი რომელიმე მოთხოვნილებისთვის უპირატესობის მიცემის გზით, მაგრამ ეს ხდება არა მეცნიერული დასაბუთების გზით, არამედ ნებასურვილის მიხედვით, ამიტომ შეცდომის დიდი რისკითაც. მოთხოვნილებების სტრუქტურა ყალიბდება თანდათანობით წარმოებისა და მოხმარების დინამიკის, შემოსავლების გათვალისწინებით. აუცილებელია მოთხოვნილებათა ურთიერთდაპირისპირების თეორიული და მეთოდური დამუშავება³. ამასთან უნდა დავუმატოთ, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვა მხოლოდ ნაწილობრივ თუ ითვალისწინებს საზოგადოების მოთხოვნილებების მოცულობასა და სტრუქტურას, ძირითადად კი ამოდის წარმოების მიერ მიღწეული დონიდან. ეს გამოწვეულია ნაწილობრივ იმით, რომ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია მოთხოვნილებების შესახებ, ამიტომ არ არის შესაძლებელი მოთხოვნილებები დაუპირისპირდეს წარმოების რესურსებს. შესაბამისად წარმოებასა და მოთხოვნილებებს შორის წინააღმდეგობა ნაწილობრივ დაგეგმვის ზემოთ აღნიშნული შეზღუდულობით არის განპირობებული.

ყოველ მოთხოვნილებას აქვს სხვადასხვა ბუნება და მნიშვნელობა, ამიტომ ყველანი აუცილებელ მოთხოვნილებათა კატეგორიას განეკუთვნებიან, მხოლოდ მათი დაკმაყოფილება სხვადასხვა აუცილებლობით არის განპირობებული და

2 კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. III. ნაწ. I. გვ. 230.

3 Х а ч а т у р о в Т. С. Советская экономика на современном этапе. М., 1975, с. 124—125

სხვადასხვა ზომით მიმდინარეობს. განსაზღვრულ ეტაპზე რომელიმე მოთხოვნისება ღებულობს პრიორიტეტულ მნიშვნელობას, რაც დამოკიდებულია ცხოვრების დონის ზრდაზე და საგნების სარგებლიანობის საზოგადოებრივ შეფასებაზე. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყოფილი იქნას მოთხოვნისებათა შემდეგი სტრუქტურული დონეები:

1. პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნისებები, რომლებიც გულისხმობენ ყველასათვის საერთო და სულიერი მოთხოვნისებების არსებობას. მათ დაკმაყოფილებას აქვს განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა, იგი აუცილებელია ყველა ადამიანისათვის განურჩევლად მათი ფულადი შემოსავლებისა.

2. პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნისებები, რომლებიც არსებობს იმ მატერიალური და სულიერი მოთხოვნისებების საგნებზე, რომლებსაც გაზრდილი ესთეტიკური, მხატვრული, სანიტარული და სხვ. მოთხოვნები წაეყენებათ.

3. ნეიტრალური და განსაკუთრებული სახის მოთხოვნისებები, რომლებიც ემყარება საზოგადოების მიერ მაღალხარისხიანი და განსაკუთრებული სახის საგნების წარმოებას და მათ მოხმარებას არ აქვს ფართო, მასიური ხასიათი.

4. არააუცილებელი მოთხოვნისებები, რომელთა დაკმაყოფილებაც უშუალოდ პრესტიჟულ მოხმარებას გულისხმობს.

5. ირაციონალური მოთხოვნისებები. ეს მოთხოვნისებები განისაზღვრება მისი დაკმაყოფილების მინიმალური აუცილებლობით და მათთვის გათვალისწინებულ საგნებზე წესდება მაღალი, ე. წ. „აქრძალვის ფასები“, ამ მოთხოვნისებათა შეზღუდვის მიზნით.

მოთხოვნისებათა ამ სტრუქტურაში პირველსასიცოცხლო, ნეიტრალური და განსაკუთრებული სახის მოთხოვნისებების დაკმაყოფილებას უპირატესად საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. მათი გამოყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების აუცილებლობა, ხოლო ამ მოთხოვნისებათა დაკმაყოფილების წყაროს კი შეადგენს როგორც მოსახლეობის ფულადი შემოსავლები, ასევე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.

ზოგიერთი სასიცოცხლო მოთხოვნისებების დაკმაყოფილება გამიზნულია პერსპექტივაში და მოითხოვს ფულადი დანაზოგების შექმნას, მაგრამ არსებობს მოსახლეობის ისეთი ფენაც, რომელთაც არა აქვთ ფულადი დანაზოგები და არც მომავალში შეიძლება ქონდეთ, რაც განპირობებულია ფასებისა და მათი შემოსავლების დიდი სხვაობით, ამიტომ ზოგიერთი მოთხოვნისება მათთვის ეკონომიკურად აბსტრაქტულ მოთხოვნისებად გვევლინება და იგი არ ასრულებს სტიმულის როლს, მაშინ, როდესაც მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის ცალკეული ფენისათვის ამ მოთხოვნისებათა დაკმაყოფილების პროცესი პრესტიჟული მოხმარების ფორმას იძებს.

პრესტიჟული მოხმარება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისებების არსებობას მოწმობს და განპირობებულია წარმოების შესაძლებლობების ჩამორჩევით ამ მოთხოვნისებების რეალიზაციის აუცილებლობასთან. ასეთი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნისება არსებობს მაღალი სარგებლიანობის საგნებზე და მასთან დაკავშირებით ადგილი აქვს სპეკულაციურ აჟიოტაჟს.

არააუცილებელი და ირაციონალური მოთხოვნისებების დაკმაყოფილე-

ბას არ ენიჭებათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ ამ მოთხოვნილებებისათვის გათვალისწინებულ საგნებზე ფასების საერთო დონე შეიძლება აღემატებოდეს მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საშუალო სიდიდეს.

ამგვარად, მოთხოვნილებათა დიფერენციაცია მნიშვნელოვნად დაპოკიდებულია მოსახლეობის ფულად შემოსავლებზე, ხელფასისა და შემოსავლების დიფერენცირებული განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში წარმოშობს უთანაბრობას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. თუ ანტაგონისტურ კლასიფიკაციის აუცილებელ პირობად გვევლინება განსხვავება შრომით საქუთრებაზე დამყარებული განაწილებითი ურთიერთობები და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სოციალისტურ საზოგადოებაში მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის აუცილებელ პირობად გვევლინება განსხვავება შრომით საქმიანობაში და შრომის მიხედვით გახაჩილებითი ურთიერთობა.

მოთხოვნილებების ფორმირების ეოა-ერთ გზას წარმოადგენს ადამიანების მიერ საგნების ფასეულობის გაცნობიერება. ამას დიდ, მნიშვნელობა აქვს მოთხოვნილებების სტრუქტურის ანალიზისა და ცალკეულ პროდუქტების საარსებო მნიშვნელობის განსაზღვრისათვის. მათ ფორმირებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ფასების სისტემა.

ყველა წარმოებულ პროდუქტს თავისი დახიშნულება აქვს, მავაამ ძირითად ეკონომიკურ კანონში ასახული მიზნის რეალიზაციის საქმეში ეოთ მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მეორეს. შესაბამისად განსხვავდებიან ამ საგნების ფასეულობებიც. აქედან გამომდინარე ადამიანის მოთხოვნილებების სტრუქტურაში ცალკეულ მოთხოვნილებებს სხვადასხვა საგნებისადმი სხვადასხვა ფუნქცია გააჩნია. ეს გარემოება კი ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი ფასების განსაზღვრისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყველაზე ფასეული პროდუქტების მასიურ მოხმარებას, ხოლო ნაკლებადფასეულ საგნებზე კი მოთხოვნილებებისა და მოხმარების შეზღუდვას.

საგნის ფასეულობა ფაქტიურად არის ამ საგნის მნიშვნელობა ადამიანის არსებობისათვის. იგი გულისხმობს ამ საგნის საზოგადოებრივ სარგებლიანობასაც. ასეთი საგნები აღიარებული უნდა იყოს მეფილ საზოგადოების მიერ. ობიექტური ფორმის სარგებლიანობა ფასეულობას წარმოადგენს.

ვარდა ამისა არსებობს ინდივიდუალური სარგებლიანობის მქონე საგნები, რომლებიც სუბიექტური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხოვნილებების შესაბამისად ფასდება და მის ზომას წარმოადგენს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა. როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი სარგებლიანობა განსაზღვრავს საგნის არა ღირებულებას, არამედ ფასის გადახრას ღირებულებისაგან. ისინი ასახავენ მოხმარების ეფექტს. ერთი და იგივე საგანს სხვადასხვა და მრავალჯერი მოხმარების შედეგად სხვადასხვა ეფექტი აქვს, ხოლო სხვადასხვა საგნის მოხმარებას კი შეიძლება ერთნაირი ეფექტი ჰქონდეს. ამიტომ რიგ შემთხვევაში, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება ამა თუ იმ პროდუქტზე მისი შემცველი, განსხვავებული ფასის მქონე საგნების მეშვეობით.

პროდუქტის სარგებლობა არაა დაკავშირებული შრომის დანახარებებთან. მისი ზომა განისაზღვრება ადამიანის მოთხოვნილებებით. ამიტომ პროდუქტის სარგებლიანობა იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება ადამიანის მოთხოვნილებების სტრუქტურა, რაც განსაზღვრულ ეტაპზე მოიხონვს წარმოების ასორტიმენტის განახლებას.

ადამიანის მოთხოვნილებების ფორმირებაზე მოქმედებს ხელფასის საერთო სიდიდე და მისი თანაფარდობა ფასების სისტემასთან.

მოთხოვნილებები წარმოიშევა ამასთანავე საგნების ფასეულობისა და სარგებლიანობის გაცნობიერების შედეგადაც. იგი შეიძლება აღემატებოდეს კიდევ საშუალო ხელფასით მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მისი დაკმაყოფილება მიაჩნია აუცილებლად. ასეთ მოთხოვნილებებს წარმოადგენს, მაგალითად, სახვითი ხელოვნების შედეგების გაცნობა რეპროდუქციების ხილვით, რაც შეუძლებელია დაკმაყოფილდეს საშუალო ხელფასით მათი შექმნის გზით ამ რეპროდუქციებზე მაღალი ფასების გამო. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედარებით ხელმისაწვდომი გზაა სამკითხველო დარბაზებში და მუზეუმებში მათი ნახვა. სახვითი ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციებზე ფასების შემცირების შემთხვევაში იგი იქნება არა მარტო სპეციალისტთა მოთხოვნის საგანი, არამედ საზოგადოების ფართო მასების დაინტერესების ობიექტიც და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი შესაძლებელი გახდება საშუალო ხელფასის პირობებში მათი შექმნის გზით, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს კლასიკური მხატვრული ლიტერატურის მიმართ.

რამდენადაც კლასიკოსი მხატვრების რეპროდუქციები ძვირი ღირს მაღალი დანახარჯების გამო, ამიტომ იგი ხშირად სპეციალისტთა და მაღალი შემოსავლის მქონე პირთა ყიდვის ობიექტიც ვერ ხდება. მასზე არ არის ფართო მოთხოვნილებები, თუმცა საზოგადოების ფართო ფენებს სურვილი აქვთ იქონიოს იგი. რაც შეეხება კლასიკოსი მწერლების ნაშრომებს, მასზე არსებობს ფართო მოთხოვნილებები, ღირს იაფი და დეფიციტურია. მისი შექმნა შეუძლია საშუალო ხელფასის მქონე მყიდველსაც. ამ საგნებზე მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო როგორც ამ ნაშრომების საზოგადოებრივ-მასობრივად დაინახვამ, ისე დაბალი ფასების სისტემამაც.

თუ მაღალსარგებლიან პროდუქტებზე წესდება ხელმისაწვდომი ფასები, მაშინ იგი შეიძლება დეფიციტური გახდეს მასზე ფართო მოთხოვნილებების წარმოშობის გამო, ხოლო თუ პროდუქტებზე ფასების სისტემა არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ იზღუდება ადამიანის მოთხოვნილებები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, გამოჩნდა წარმოადგენს ზოგიერთ საგანზე საზოგადოების ფართო მოთხოვნილებები, რომლებიც არ იზღუდებიან მაღალი ფასების მიუხედავად. მაგალითად, მსუბუქ ავტომანქანებზე. საზოგადოების ფართო მოთხოვნილებების არსებობა განპირობებულია არა ფასების სისტემით, რომელიც მიმართულია ამ მოთხოვნილებების შეზღუდვისაკენ, არამედ მისი გამოყენების მაღალი სარგებლიანობით.

ის მოთხოვნილებები, რომლებიც განპირობებულია საგნის მაღალი ფასეულობით და ამ საგნებზე დაწესებულია მაღალი საცალო ფასები, ერთ შემთხვევაში იქცევა პერსპექტიულ მოთხოვნილებებად, რომლის სრული დაკმაყოფილება საზოგადოების მასშტაბით შესაძლებელია მხოლოდ შორეულ მომავალში, ხოლო მეორე შემთხვევაში კი იგი კმაყოფილდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გაფართოების მეშვეობით, ან კიდევ მისი შემცველი შეფარდებითად იაფფასიანი პროდუქციის გამოშვების გზით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მაღალი სარგებლიანობის მქონე ნივთი ხშირად პრესტიჟული მოხმარების საგნად იქცევა ხოლმე. პარადოქსულ-

ლია ის გარემოება, რომ ზოგიერთ საგანზე სწორედ მაღალი ფასების დაწესება ქმნის პრესტიჟულ მოხმარებას.

50-იან წლებში პრესტიჟულ საგანს წარმოადგენდა ტელევიზორები, პიანინოები. ამჟამად ასეთი საგანი გახდა მსუბუქი ავტომანქანები, ვიდეომაგნიტაფონები და ა. შ. ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ შევზღუდოთ ამ საგნების მოხმარება, არამედ დავუპირისპიროთ მას მოხმარების განსაკუთრებული და ყველასათვის მისაწვდომი ფორმა. მაგალითად, საზოგადოებრივ კლუბებში დაიდგას ვიდეომაგნიტოფონები, შეიქმნას და განვითარდეს ავტომანქანების გაქირავების პუნქტები და ა. შ. სწორედ ასეთი გზების გამოძებნა გულისხმობს იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც საშუალო ხელფასით არ არის შესაძლებელი.

თანამედროვე ეტაპზე პრესტიჟული მოხმარება გარკვეულ შემთხვევაში უკავშირდება ირაციონალური მოთხოვნილებების არსებობასაც. იგი ეხება საგნების არა უტილიტარულ გამოყენებას, არამედ მიზნად ისახავს მაღალი კეთილდღეობის დემონსტრირებას, რითაც იგი ზემოქმედებს უპირველესად ადამიანის ზნეობაზე.

მართალია ფასებმა უნდა შეზღუდონ ასეთი მოხმარება, მაგრამ მან არ უნდა შეზღუდოს რაციონალური მოთხოვნილებების საგნების გამოყენება. პრესტიჟული საგნების მოხმარების შეზღუდვა ზემოქმედებს რაციონალური მოთხოვნილებების საგნების მოხმარებაზეც. პრესტიჟულ საგნებს ზოგიერთ შემთხვევაში საფუძვლად უდევს არა მისი სახმარი ღირებულება, მხატვრული, შემეცნებითი ფასეულობა, არამედ მისი ღირებულება (ფასი). რაც უფრო მაღალია ფასი, მით უფრო პრესტიჟული ხდება ეს საგანი, თუმცა სრულიად დასაშვებია ისიც, რომ ასეთი საგანი თავისი სახმარი ღირებულებით არ განსხვავდებოდეს საშუალო ღირებულების სხვა საგნებისაგან.

ფასები ზემოქმედებს მოთხოვნილებების ნორმასა და ადამიანის ჩვევებზე. მოხმარების ჩვევები სტიქიურად ყალიბდება და ამ ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში თავის აქტუალობას იძენს გონივრული მოთხოვნილებების პრობლემაც.

გონივრული მოთხოვნილებები, როგორც მას საბჭოთა ლიტერატურაში ვანსაზღვრავენ, არის ისეთი მოთხოვნილებები, რომელთა რეალიზაცია არსებითად უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრებისუნარიანობას, პროვინების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას, არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და საზოგადოებრივ პროგრესს.

როდესაც გონივრული მოთხოვნილებების ეკონომიკურ კრიტერიუმს გამოყოფენ, მიუთითებენ შრომის მიხედვით განაწილების კანონის მკაცრი დაცვის აუცილებლობაზე, სოციალისტური წარმოების რეალური შესაძლებლობის განსაზღვრაზე და ა. შ. ამასთან ადგენენ გონივრული მოთხოვნილებების სოციალურ-კლასობრივ კრიტერიუმებს, რომლის ქვეშაც გულისხმობენ მუშათა კლასის და სხვა ფენების სოციალურ-ეთნიკური, ნაციონალური, ასაკობრივი თავისებურებების მიხედვით მოთხოვნილებათა დიფერენციაციას⁴.

⁴ Иванчук Н. В. Потребности социалистической личности. М., Мысль, 1986, с. 53.



უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხოვნილებების დაყოფა გონივრულად და არა-გონივრულ მოთხოვნილებებად კარგავს თავის აზრს იმ შემთხვევაში, თუ ყოველი გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას დაირღვევა მისი მოხმარების ზომა. ამ მოსაზრებით ზოგიერთი საბჭოთა ავტორი უარყოფს გონივრული მოთხოვნილებების არსებობას და მას უწოდებს მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გონივრულ გზას.

ადამიანის გონივრული მოთხოვნილებების განვითარება ხდება მატერიალურთან შედარებით სულიერი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შემოქმედებითი, შემეცნებითი მოთხოვნილებების უპირატესი განვითარების გზით. ეს მოთხოვნილებები სცილდება ე. წ. „ნივთობრივ“ მოხმარებას და ადამიანის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების განვითარება ავტომატურად არ სდევს მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მათ შორის მყარდება გაცილებით უფრო რთული ურთიერთობა.

თუ კეთილდღეობის ზრდას თან არ სდევს კულტურული მოხმარების, სულიერი შესაძლებლობების განვითარება, მაშინ იგი შეიძლება წარმოშობდეს მოხმარებლურ ფსიქოლოგიას, სხვადასხვა ფსევდო-კულტურას, ნივთებისადმი უზომო გატაცებას, სნობიზმს, პოლიტიკურ ინფანტალიზმს და ა. შ. ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფა უნდა იყოს მისი სულიერი მოთხოვნილებების განვითარების საფუძველი.

მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ ნიშნავს იმას, რომ იგი ერთდროულად განაპირობებდეს სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც. იგი მხოლოდ მისი წინაპირობაა, პირველადია და აქვს უტილიტარული ხასიათი. მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ადამიანი ღებულობს პრაქტიკულ სარგებლიანობას. სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას კი იგი გამოდის საკუთარი „მე“-დან და საზოგადოებრივი ფასეულობებს ეზიარება.

როდესაც იზრდება კეთილდღეობა, ხოლო მოთხოვნილებები კი განუვითარებელი რჩება, მაშინ ადგილი არა აქვს ადამიანის ყოველმხრივ და პარამონიულ განვითარებას. პირიქით, კეთილდღეობის ზრდის პირობებში განუვითარებელი არაგონივრული, ირაციონალური მოთხოვნილებები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ცხოვრების დონის ზრდა ქმნის მათი გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობებს. მაგალითად, იზრდება ლოთობა, ნივთიშენობა, და ა. შ. სწორედ სულიერი მოთხოვნილებების უქონლობა ადამიანში ანვითარებს პრიმიტიული მოხმარების განვითარების გრძნობას, გამარტივებული გრძნობებით და ემოციებით ცხოვრების სურვილს, რაც ნაწილობრივ ალკოჰოლიზმისა და ლოთობისაკენ მიდრეკილების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

ნივთებისადმი გამოდევნება, ფულის დაგროვების ფსიქომანია გზას უკეტავს ადამიანს ნამდვილი ფასეულობებისაკენ. სულიერი ფასეულობა ამ შემთხვევაში გამრუდებულ, დამახინჯებულ მოვლენად წარმოდგება. იგი იცვლება მატერიალური ინტერესებით, რის შედეგადაც ბუჩქყუზაზული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგია იჩენს ხოლმე თავს, ამ ფსიქოლოგიის თანახმად, მხოლოდ მატერიალური სიმდიდრე და ფული უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას, მის მტკიცე ადგილს საზოგადოებაში. ასეთი ფსიქოლოგიის გამოშუქავეებაში ხშირად კეთილისმყოფელ ზეგავლენას

ახდენს მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე, რომელიც მემკვიდრესათვის უწარმოებლად შემოსავალს შეადგენს.

დროთა განმავლობაში მატერიალური ინტერესები სულიერდება ადამიანში (თუმცა სულიერი ინტერესები თავის საფუძველში მატერიალურია). მატერიალური მოთხოვნილებები იძენს სულიერ შინაარსს. ეს გამოიხატება იმაში, რომ მატერიალური მოთხოვნილებების ნივთები თანდათანობით ესთეტიკური, ზნეობრივი მოთხოვნილებების სფერო ხდება და ამდენად სულიერი მოთხოვნილებების ობიექტად იქცევა. ეს პროცესი მატერიალურისა და სულიერის ურთიერთშეღწევის პროცესია.

მოთხოვნილებები თავისთავად რთული ფენომენია და მის ფორმირებაზე არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი როლი დავაკისროთ ფასებისა და ხელფასის მოქმედებას. სხვადასხვა პირობებში მათი რაოდენობრივი ცვლილებები იწვევს მოთხოვნილებების წინასწარ გაუთვალისწინებელ მონაცვლეობას, პარამონიზაციას, ინდივიდუალიზაციას და ა. შ. ფულად თანხებში გამოხატული მოთხოვნილებები და მათი ფასებთან ურთიერთკავშირში განხილვა ყურადღების გარეშე სტოვებს ამ მოთხოვნილებათა გონივრულობას, მათ მნიშვნელობას ადამიანის სულიერი ინტერესების განვითარებაში.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნილებების წარმოშობა და განვითარება მიმდინარეობს ორი პოლუსით. ერთის მხრივ, იგი გულისხმობს უფრო მეტად მატერიალური საჭიროებისათვის ადამიანის სასიცოცხლო ძალების წარმართვას, ხოლო მეორეს მხრივ კი მოითხოვს ადამიანის ძალების „ლალ თამაშს“, მისი სულიერი შესაძლებლობების გამოვლენას, რომელიც თავისუფალი იქნება არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური საჭიროებებისაგან.

მოთხოვნილებების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს ხელფასისა და ფასის ურთიერთდამოკიდებულება, ხოლო ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლად ვითარდება გონივრული, აგრეთვე საგნის ფასეულობის გაცნობიერებით წარმოშობილი მოთხოვნილებები. ისინი განისაზღვრება არა ფასების დონით, არამედ პროდუქტის სარგებლიანობით, მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი საგნების სოციალური ღირებულებით და სხვა. ამდენად, ხელფასისა და ფასების როლი მოთხოვნილებების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში გარკვეულწილად შეზღუდულია და ისინი მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე ზემოქმედებს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ცვლილების გზით.

М. Д. ТОКМАЗИШВИЛИ

ОСОБЕННОСТИ ФОРМИРОВАНИЯ СТРУКТУРЫ ПОТРЕБНОСТЕЙ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

В работе рассматривается структура потребностей человека на современном этапе развития, характеризуется разное значение жизненно необходимых, нейтральных, рациональных, престижных, разумных и других потребностей в деле формирования всесторонне развитого человека, а также их влияние на ценообразование товаров.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ

А. К. ПАВЛИАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ НАЗРЕВШИЕ ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ЭКОНОМИКО-ПРАВОВОГО СТАТУСА ТОРГОВО-ПРОМЫШЛЕННОГО ПАРТНЕРСТВА

В условиях коренной перестройки управления экономики и народного хозяйства существенно изменился, а в дальнейшем еще более существенное изменится характер экономических связей торговли с промышленностью, в силу чего возникает ряд особенностей этих связей, которые не имели места до этого: исключительная активизация обратного воздействия торговли на промышленность; возрастающие темпы ускорения кругооборота совокупного общественного продукта с гораздо большей устойчивостью всего воспроизводственного цикла; более интенсивное изжитие принудительного характера этих связей; окончательное изжитие двойственности в ценообразовании в торгово-промышленных контактах; усиление воздействия на эти связи рыночной конъюнктуры и покупательского спроса; активизация содействия рациональному распределению совокупного общественного продукта между фондом накопления и фондом потребления. В силу действия именно этих особенностей в корне изменилась ныне и сама сущность функционирования экономико-правового статуса партнерских связей между торговлей и промышленностью, вследствие чего и возник ряд назревших вопросов в этой области, которые нуждаются в скорейшем их решении.

Мы хотим здесь остановиться на некоторых из этих назревших вопросов. Первый из них — это коренное улучшение процесса формирования портфеля заказов торговли к промышленности, а именно: внедрение научно-обоснованных концепций по рационализации ассортимента для закладки в основу коммерческих соглашений и заключенных договоров; совершенствование учета торговых заявок поставщикам для формирования производственных программ промышленности; установление юридической определенности коммерческих взаимоотношений между партнерами и др.

Как известно, согласно «Положения о товарных поставках», для достижения полной сбалансированности планов производства с материальными ресурсами самих производителей формирование планов выпуска товаров должно завершиться не позднее чем за четыре месяца до начала получения необходимых для производства сырья и материалов, а Госснаб СССР должен необходимую документацию для этой цели подготовить за полтора месяца до предоставления промышленности сырья и материалов. Однако в практике оба эти срока сплошь и рядом нарушаются, и формирование планов выпуска продукции промышленностью затягивается до декабря текущего года, в результате чего полностью нарушается указанная сбалансированность, а поэтому производители со своей

стороны вынужденно нарушают законы торговли как по объему, так и по номенклатуре поставок товаров.

Поэтому мы считаем необходимым, чтобы торговые организации свои заказы оформляли бы главным образом на базе прямых и длительных хозяйственных связей. Это благотворно повлияло бы не только на своевременное формирование производственной программы производителей, но также и на торгующие организации, которые в таком случае сумели бы получить товары более ритмично и строго по своим заказам.

Второй из этих назревших вопросов — это установление факта выполнения планов товарных поставок.

Как известно, «Положение о поставках» требует 100%-го выполнения планов поставок, и оценочным показателем для поставщиков считать объем реализации продукции с учетом их обязательств по поставкам. Но выполнением заказов потребителей по «Положению» считается всего лишь отгрузка поставщикам готовой продукции: не само получение товаров, когда потребитель может удостовериться в добротности изделия, а отправка, когда изделие уже вышло из ворот поставщика. Это в корне неверно, ибо потребитель может обнаружить дефекты, прислать рекламации, заставить сделать гарантийный ремонт. Но все это уже не входит в счет плана поставок. Поэтому мы целиком согласны с Н. Петраковым, который предлагает выполнением планов поставок считать не отправку товаров со стороны поставщика, а получение их со стороны потребителей, со строгим учетом фактического качественного состояния этих товаров, т. е. за минусом из отгруженной продукции всех недоброкачественных изделий¹.

Третий из этих назревших вопросов — это отказ от указанного процента о недопоставках. На основе ряда поправок к «Положению» ныне в практике допускается иметь предельный процент недопоставок в размерах до 2—3% от общего объема поставок, и этот размер вносится далее в хозяйственные договоры. Такие поправки к «Положению» весьма неразумны, ибо на практике допустимый процент недопоставок как бы превращается в норматив, при соблюдении которого можно безнаказанно подводить торгующие организации, ибо в этом случае последние могут не получать своевременно многие нужные товары, а поставщик в это время даже поощряется за мнимое выполнение планов поставок. Это опасная лазейка для поставщиков, а поэтому от установления указанных предельных процентов недопоставок нужно вообще отказаться.

Четвертым назревшим вопросом в этой области является уточнение юридической силы планов товарных поставок. Дело в том, что до настоящего времени планы поставок все еще не имеют юридической силы, не являются единственным документом для оценки деятельности самих поставщиков. Принятый метод сопоставления недопоставок не с планом поставок, а с объемом реализации занимает роль этих планов. Это неразумно. Нужно планам поставок придать монопольный характер и их считать единственным документом как для увязки с хозяйственными договорами, так и в целях контроля над их выполнением. Планы поставок должны координироваться с хозяйственными договорами по всем параметрам: по ассортименту и номенклатуре поставляемой про-

¹ См. «Лит. газету» от 31 . VII. 1985г., статья Н. Петракова «Лицом к лицу».

дукции, по параметрам качества, комплектности, срока поставки, по ценам и т. д.

В этом случае станет возможным сопоставление плана поставок не только в натуральном, но и в стоимостном выражении.

Пятым и, пожалуй, самым крупным назревшим вопросом в данной области является внедрение более углубленного изучения спроса в оптовой торговле, которая является основным посредником между розничной торговлей и промышленностью.

Оптовая торговля пока еще не подвергалась организационной перестройке и она пока еще по-прежнему играет свою значительную роль в экономических связях торговли с промышленностью в качестве основного посредника между розничным звеном и производственными предприятиями. Поэтому положительные сдвиги и негативные явления в ее деятельности незамедлительно отражаются на сущности и характере торгово-промышленного партнерства. Это и понятно. Оптовое и розничное звенья — это суть неотъемлемые составные части единого процесса товародвижения, и только лишь их совместное и совокупное функционирование может на деле обеспечить успешный процесс экономических связей торговли с промышленностью, а тем самым и процесс движения товаров с места их производства до их потребностей. Именно оптовое звено пока еще является первым боевым отрядом в борьбе за качество поступающих товаров, первым барьером и заслоном против договорных нарушений по товарным поставкам. Поэтому именно оптовое звено должно прежде всего овладеть запросами потребителей, изучить и прогнозировать спрос населения, определить емкость товарных рынков по стране и по отдельным регионам, разрабатывать и представлять промышленности научно сугубо обоснованные заявки и заказы на поставку и производство товаров. Всего этого оптовая торговля не может сделать именно без углубленного изучения спроса потребностей.

К сожалению, вся наиболее основная работа в этой области ложится на плечи розничной торговли. Хотя справедливости ради нужно отметить, что оптовая торговля в этих целях имеет опорные магазины по изучению спроса, организует продажу пробных или опытных партий товаров, организует совместные выставки-продажи, проводит ассортиментные и конъюнктурные совещания, использует данные СКПС-а и т. д. Однако все эти перечисленные методы изучения спроса являются лишь полумерами, носят эпизодический и добровольный характер. Этого явно недостаточно для современных условий развития торгово-промышленного партнерства.

Поскольку в настоящее время исключительно усиливается воздействие рыночной конъюнктуры и покупательского спроса, то ныне создаются весьма благоприятные условия для более полной реализации требований экономического закона спроса и предложения, выражающего собой рыночные отношения в сфере обращения посредством использования для этой цели механизма цен.

В этой связи возникает объективная необходимость составления балансов спроса и предложений (помимо розничной торговли) и в оптовой торговле.

Мы считаем, что оптовые торгующие организации перед заключением хозяйственных договоров с поставщиками тоже должны со своей стороны составить научно обоснованные балансы оптового спроса и предложения по соответствующим товарным группам и только на их базе заключить хозяйственные договоры. При этом

указанные балансы должны являться ответственным экономическим документом для определения обоснованности хозяйственных договоров.

Эти балансы в оптовом звене в последующем должны являться базой для составления таких же балансов в розничной торговле.

Такие балансы могут составляться на основе следующей примерной методики: раздел товарного предложения может состоять из 3-х групп: I — рыночные фонды (распределяемые централизованные фонды и коммерческие фонды); II — поступление от закупок на оптовых ярмарках и III — поступление от других источников (от кооперативов, индивидуальной трудовой деятельности и др.).

Раздел оптового спроса может составляться из 6-ти групп: I — оптовый товарооборот (реализация товаров для розничных предприятий и реализации по межреспубликанскому и внутрисистемному оптовому товарообороту), II — реализация на оптовых ярмарках, III — реализация товаров прочим потребителям (кооперативам, занимающимся индивидуальной трудовой деятельностью и другим), IV — прирост товарных запасов, V — естественная убыль, VI — резервы для обеспечения процесса бесперебойности оптовой торговли.

По обоим разделам (спрос и предложение) рекомендуется взять за базу отчетные данные предыдущих 2х — 3-х лет. На плановый период можно экстраполировать данные этих 2—3-х отчетных лет, но с учетом предполагаемых сдвигов и изменений для планового периода.

Для экстраполяции лучшим показателем, на наш взгляд, является удельный вес каждой группы. Так, например, в разделе товарного предложения нужно иметь в виду для перспективы сокращение удельного веса поступления от централизованно-распределяемых фондов, но возрастание удельного веса поступлений от коммерческих фондов и от кооперативов, индивидуальной трудовой деятельности. В разделе оптового спроса нужно иметь в виду для перспективы сокращение удельного веса реализации по межреспубликанскому и внутрисистемному оптовому товарообороту, но возрастание удельного веса реализации товаров для розничных предприятий, реализации кооперативам, занимающимся индивидуальной трудовой деятельностью, прироста товарных запасов и резерва для обеспечения процесса бесперебойности оптовой торговли.

Мы попытались на основе указанной примерной методологии составить модель экспериментального баланса спроса и предложения по оптовой торговле на примере «Грузхозкультторга» на 1989 год.

Ниже мы приведем указанную примерную модель:

Как мы видим из предлагаемой нами модели, оптовый спрос товарооборота полностью балансируется с товарным предложением, как в отчетных 1986 г. и 1987 годах, так и по плану 1989 года. Однако, благодаря составлению именно такого баланса, «Грузхозкультторг» будет полностью гарантирован от разных случайностей, образующих непредвиденные товарные недопоставки. Если в 1986 году для товарного поступления оптовый торг имел в своем распоряжении лишь два источника, а именно: централизованно распределяемые фонды (86% от общих поставок) и закупка на ярмарках (14% от общих поставок), то в 1989 году свободные коммерческие товарные поставки уже составят до 30% удельного

МОДЕЛЬ

экспериментального баланса спроса и предложения по оптовой торговой организации „Груз-культхозторга“ системы Министерства торговли Груз. ССР на 1989 год

Товарное предложение	1986 г. (факт.)	1987 г. (факт.)	1989 г. (план)	Оптовый спрос			
				1986 г. (удовл.)	1987 г. (удовл.)	1989 г. (удовл.)	
Рыночные фонды				I. Оптовый товароборот			
Распределяемые центральн. фонды	210,0	180,0	160,0	Реализация товаров для розн. предприятий			
Темпы роста (%)	—	85,0	88,0	155,0	173,0	230,0	
Уд. вес (%)	86,0	69,0	51,0	Темпы роста уд. вес (%)			
Коммерч. фонды	—	45,0	95,0	Реализ. по межреспуб. и внутрисистемн. опт. товарообороту			
Темпы роста (%)	—	—	192,0	70,0	63,0	55,0	
Уд. вес (%)	—	17,0	50,0	Уд. вес (%)			
Поступление от закупок				II. Реализация на опт. ярмарке			
На опт. ярм.	34,0	30,0	50,0	5,0	7,0	8,5	
Уд. вес (%)	14,0	12,0	16,0	III. реализация проч. потребит.			
Поступление от других источников				—	0,2	0,5	
(Кооперативы инд. труд. деят. и др.)	—	3,0	9,0	(Кооператив, инд. трудовой деят. и др.)			
Уд. вес %	—	2,0	3,0	IV. Прирост тов. запасов			
				12,0	13,0	16,0	
				V. Естествен. убыль.			
				0,1	0,5	0,5	
				VI. Резерв для обеспеч. бесперебойности опт. торговли			
				2,0	2,3	3,5	
Итого баланс	244,0	258,0	314,0	баланс	244,0	258,0	314,0

веса при сокращении централизованных фондов до 50% их удельного веса. В 1989 году у Торга появятся также новые источники товарного поступления — кооперативы и др.

Что же касается удовлетворения оптового спроса Торга, то его непосредственная реализация для розничных предприятий в 1989 году по сравнению с 1987 годом возрастет до 230,0 млн. руб., с доведением его удельного веса в общем объеме оптового товарооборота до 73% (против 63,5% в 1986 году) и существенно сократится реализация по межреспубликанскому и внутрисистемному оптовому товарообороту со снижением его удельного веса до 17% (против 28,7% в 1986 году).

Наше данное предложение по составлению балансов оптового спроса и его товарного удовлетворения нами выдвигается в порядке постановки вопроса впервые, ибо до сих пор долгие дискуссии в научной среде о балансах спроса и предложения касались лишь розничного звена.

Таковы вкратце те назревшие вопросы совершенствования экономико-правового статуса торгово-промышленного партнерства, которые нам хотелось бы в данной статье рассмотреть.

Представлена отделом экономических проблем непроизводственной сферы Института экономики и права АН ГССР

ბიორგი ბრეზვამი

ფაქილსაფაქვავი წარმოება რეპოლუციამდე სპორტველოში

საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა მრავალი საინტერესო მასალა, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მცენარეთა კულტივირებისა და მასთან დაკავშირებით სამეურნეო ცხოვრების მრავალსაუკუნოვან გზას. აქ ჯერ კიდევ გვიანმეზოლით — ადრინდელნეოლითის ტომების მეურნეობაში შეიმჩნევა საკვებად გამოსაყენებელ მცენარეთა ედომური ჯიშები, მაგალითად, ცივის ლეიშიში აღმოჩნდა ველური ფეტვის დანახშირებული მარცვლები, ხოლო ენოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ. VI-III ათ.) მთელი რიგი ნამოსახლართა ფენებში აღმოჩენილი კულტურული ფეტვის მარცვლები მიგვანიშნებენ, როგორც ამ კულტურათა სიძველეს ისე ამ პროცესის კავშირს ნეოლითის ადრეულ ეტაპთან¹.

ნეოლითის ხანაში ჩასახული მწარმოებლური მეურნეობის აღმავლობით განვითარების შედეგად მის შემდგომ პერიოდში (ენეოლითი) შეიმჩნევა ამ კულტურის საფუძველზე მიწათმოქმედ მესაქონლე ტომთა ფართო გავრცელება.

ამრიგად V-IV ათასწლეულში ბინადარი მოსახლეობა უკვე მისდევდა მიწათმოქმედებას, იცნობდა მის დასამუშავებელ იარაღებს და გააჩნდა კიდევ მარცვლეულის შესანახი ორმოები².

ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრიდან საქართველოს მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. მოჰყავდა სხვადასხვა ბუჩქნარული — ხორბალი, ქერი, ფეტვი, ქრთილი და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ იმდროინდელი ხორბლის ნიმუშები ნაპოვნია ჩვენს ნიადაგშიც³.

მარცვლეულის კულტურის განვითარება, ცხადია შეუძლებელია მისი დამუშავებისა და გადამამუშავების ხელსაწყო-იარაღების გარეშე, რომლებიც დიდი რაოდენობით მოპოვებულია ყველა ადრინდელი არქეოლოგიური გათხრების დროს. მათ შორის აღსანიშნავია სანაყები, საბეგველები, ხილსაფქველები, რომლებიც წარმოადგენენ თავდაპირველ კერას მოგვიანებით მიკვლეულ იმავე დანიშნულების იარაღებისაგან. ყოველივე ეს კი უთუოდ გენეტიკურ კავშირში იმყოფებიან წინა აზიაში აღმოჩენილი შესაბამისი ხასიათის ნიმუშებთან.

ამგვარად, საქართველოსი და დასავლეთ კავკასიის უძველესი კულტურების შესწავლა გვაცნობს, რომ აღნიშნულ რეგიონებში არსებობდა მწარმოებ-

1 ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე, დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986, გვ. 46, 47, 98.

2 მ. ჯ ა ლ ბ ა ძ ე, მემინდერობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 6.

3 საქართველოს ისტორია, შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1980, გვ. 8.

ლური მეურნეობის უძველესი კერა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის უძველესი მიწათმოქმედ-მესაქონელთა კულტურის ჩამოყალიბებაში.

ამავე დროს ეს რეგიონი წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ თავდაპირველ კერასაც, სადაც ადამიანმა გამოიყენა ხორბლეული საკვებად და მასთანადამე ისწავლა პურის ცხობაც.

დროთა მანძილზე ქართველი ხალხის მეურნეობით ყოფაში თანდათანობით მცირდება ხელფეკვაების მნიშვნელობა და მის ადგილს იკავებს წყლის ენერჯის გამოყენება წისქვილების სახით. ეს მეტყველებდა უდიდეს ტექნიკურ გარდატეხაზე, რომლის შესახებ ე. მარქსი აღნიშნავდა „მანქანების განვითარების მთელი ისტორია შეიძლება განხილული იქნას ხორბალსაფეკვაი წისქვილების ისტორიის მავალითზე“⁴.

ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია დიდი თუ მცირე ზომის მდინარეებით. ტბებით და წყაროებით, მათი გეოგრაფიული განლაგება მოიცავს თითქმის მის მთელ ტერიტორიას, წყლის ენერჯის დიდი სიუხვე საუკეთესო პირობებს ჰქმნიდა წისქვილების წარმოქმნა-განვითარებისათვის, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალდ მოიპოვებოდა ქვის ისეთი საუკეთესო ქანებით მდიდარი საბადოები საიდანაც ამზადდებდნენ, როგორც ხელსაფეკვაებს, ისე უფრო დიდი მოცულობისა და მოყვანილობის წისქვილების მუშაობისათვის საჭირო ქვებს.

ს. ბედუქიძე, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა არაგვის ხეობაში წყლით მბრუნავი წისქვილების განვითარების საკითხს აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ყველაზე ადრინდელ ცნობას ქართლში წისქვილის არსებობის შესახებ გვაწვდის ჰაბიბ იბნ მასლამი (VII ს. 50-იანი წლები)⁵. მას შემდეგ იმავე ქართლის ტერიტორიაზე წისქვილი დასახელებულია ბასილ ზარზმელის თხზულებაში (X ს.), მაგრამ ვასათფალისწინებელია, რომ ამ ნაწარმოებში აღწერილია IX—X საუკუნეების ამბები და შესაძლებელია ჩვენთვის საინტერესო ცნობა უფრო ადრინდელს მიეკუთვნებოდეს⁶.

X საუკუნის ერთ-ერთი ქართული წყარო გადმოგვცემს, რომ ცხრაძმის ხევეში (ქართლი) რამინს და გიორგის აუგიათ წისქვილი⁷.

წისქვილი მოხსენებულია აგრეთვე ბაგრატ IV-ის შიომღვიმისათვის შეწირულების სიგელში (1057 წ.), დავით აღმაშენებლის ანდერძში (1123 წ.)⁸ და შემდგომ დროინდელ სხვა მრავალ დოკუმენტში. ხოლო თბილისში არსებულ წისქვილების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ორი არაბი ავტორი. გეოგრაფი ისტარჰი (X ს.) გადმოგვცემს რომ „ქალაქი მდინარე მტკვრის ნაპირებზე მდებარეობს, ხორბალს წყლის წისქვილებში ფეკავენ, როგორც მოსულში“⁹. ხოლო მეორე ავტორის იბნ-ჰაუკალის (X ს.) ცნობით „ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისში მცურავი წისქვილებია, სადაც ფეკავენ ხორბალსა და პურის მარცვალს“⁹.

4 ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 442.

5 ს. ბედუქიძე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960, გვ. 018.

6 ბასილ ზარზმელი, სერაჰიონ ზარზმელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987, გვ. 652.

7 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 5.

8 ს. ბედუქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

9 Караулов Н. А. Сведения арабских географов IX—X веков, СМОМПК, 38, с. 88—90.

როგორც მოყვანილი მასალებით ირკვევა წყლის წისქვილები უმეტესად ნახსენებია ქართლის ტერიტორიაზე, ე. ი. იმ რეგიონში, სადაც ინტენსიურად ვითარდებოდა მიწათმოქმედება, მაგრამ სრულებით არ ნიშნავს, რომ იგი არ ყოფილიყოს საქართველოს სხვა კუთხეშიც ან კიდევ იგი უფრო ადრინდელი არ ყოფილიყოს, ვიდრე ამას გვატყობინებს VII საუკუნის არაბი ავტორი.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ცნობა იმის შესახებაც, რომ თურმე თბილისში ისეთივე წყლის წისქვილებით ფქვევენ როგორც მოსულში, მაგრამ სად უფრო ადრე გაჩნდა წყლის წისქვილები წინა აზიისა თუ კავკასიის ტერიტორიაზე მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. ისე კი სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ საქართველოში წისქვილები VII საუკუნეზე ბევრად ადრე არსებობდნენ, რაც დასტურდება მიკვლეულ არქეოლოგიური მასალებით.

იმთავითვე საქართველოში უფრო გავრცელებული ყოფილა ჰორიზონტალურბორბლიანი წისქვილი, თუმცა ყოფილა აგრეთვე ვერტიკალური ბორბლით მოძრავი.

წისქვილები წარმოებრივი სიმძლავრის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდა. დიდი მუშაქვით მოწყობილს დოლაბის წისქვილს უწოდებდნენ, ხოლო მცირე მუშაქვით — ბურჭულას. ასევე ორ ჯგუფად იყოფოდა საფქვადად გამოსაყენებელი მარცვლეული: საჯაროდ და სათესლედ. საჯარო ეწოდებოდა დასაფქვადად გამოზადებულ ხორბლეულს. დაფქვის შედეგად შესაძლებელი იყო რამდენიმე ხარისხისა და დანიშნულების ფქვილის მიღება, რისგანაც პურს აცხობდნენ. მეორე ჯგუფის მარცვლეული კი გამოიყენებოდა დასათესად.

წისქვილების აშენება-გამართვა დიდ ოსტატობას მოითხოვდა; მშენებელს ეკისრებოდა მდინარის რეჟიმის განსაზღვრა, წისქვილის ადგილის ამორჩევა, არხის გაყვანა, შენობის აგება, წისქვილის მანქანური სისტემის მონტაჟი, მისი შეკეთება-აღდგენა, დოლაბის გაკეთება, მისი მოკოდვა და წისქვილის ამოქმედება, მინდის დადგენა და სხვ. ჩვეულებრივად წისქვილს მამაკაცი განაგებდა, ხოლო მარცვლის დასამუშავებელი ყველა იარაღი: სანაყი საბეგველი, ხელსაფქვავი დედაკაცს ეკუთვნოდა¹⁰.

გამუმჯობესებული ხელსაფქვავეები უმთავრესად ორ ჯგუფად იყოფოდა — ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ტარით¹¹.

საქართველოში წისქვილები იმყოფებოდა თავად-მემამულეების, ეკლესიამონასტრების, თემებისა და კერძო პირების საკუთრებაში.

რუსეთის საიმპერიო მეცნიერებათა აკადემია ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკად. ი. ვიულდენშტედტი, 1772 წელს საქართველოში ყოფნისას, საინტერესო მასალას გვაწვდის მდინარეებზე აგებულ დიდ თუ პატარა წისქვილების შესახებ, მაგალითად, ქსნის ხეობაში მას უნახავს წისქვილები, რომელთა „უმეტესობა 24 საათში ფქვავს 20-დან 24 კოდამდე ხორბალს. აქედან მეწისქვილე იღებს ორმოცდამეათედ ნაწილს. თბილისში და საერისთაოში იღებენ მეათედ ნაწილს“¹². ან კიდევ ანაგისხევის (კახეთი) მცირე დინების წყალზე მას დაუ-

10 მ. ჩართოლანი, მარცვლეულის საფქვავეების საკითხისათვის სვანეთში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XVI სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 8.

11 ს. ბედუქაძე, საფქველების განვითარების ისტორიიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. XIX-ი, თბ., 1956, გვ. 157.

12 ვიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1, თბ., 1962, გვ. 51.

თვლია 43 წისქვილი ჰორიზონტალური ბორბლებით, რომლებიც თითოეული 24 საათის განმავლობაში იძლევა 200—250 გირვანქა ფქვილს¹³. ასეთივე სახის წისქვილები ყოფილა მდ. ლაქაბელაზე და მდ. დურუჯზე, რომლებსაც რუსეთში „მუტოვკას“ უწოდებენ¹⁴. ი. გიულდენშტედტს ისიც დაუზუსტებია, რომ ქართლსა და კახეთში წისქვილებისათვის საჭირო დოლაბებს დებულობდნენ სარკინეთის (ქციის ხეობა) ქვასატეხიდან. წყვილი დოლაბი, რომელსაც შეეძლო ოც წელიწადს ემუშავა და ღირებულა 40 მანეთი¹⁵.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ი. გიულდენშტედტს აღმოსავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს მრავლად შეხვედრია წყლის წისქვილები, რაც მიგვანიშნებს მოსახლეობის არც თუ მჭიდროდ დასახლების პირობებში მარცვლეულის (უმთავრესად ხორბლის) დაფქვის მოთხოვნილების ზრდაზე. ასეთი ტენდენცია უფრო ძლიერდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც თვალსაჩინო გახდა სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება.

ქალაქად და სოფლად პურზე მოთხოვნილების შეუნელებელი ზრდა კარნახობდა ფქვილსაფქვაკი წარმოების გაუმჯობესებას. საქართველოში არსებული პატარა წყლის ჰორიზონტალურთვლიანი წისქვილები ვერ უზრუნველყოფდნენ დიდი მოცულობის ხორბლის გადამუშავებას, განსაკუთრებით ეს მწვევედ იგრძნობოდა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო კავკასიის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ საინტერესო სამსახურის რწმუნებულს კ. შმიდტს დაევალა ახალი დიდი სიმძლავრის წისქვილის მშენებლობის ხელმძღვანელობა. სტ. გულშამბაროვი, რომელსაც სპეციალურად შეუსწავლია ეს საკითხი გადმოგვცემს, რომ 1856 წელს მდ. მტკვარზე ორი ვერტიკალური თვლის დახმარებით (თვითეული საშუალოდ 40 ცხ. ძ. სიმძლავრის) ამოქმედდა საქართველოში პირველი მძლავრი წყლის წისქვილი, მის ტექნიკურ მოწყობილობაზე (მდინარის ნაპირის გამაგრება, წყალგასასვების რაბი და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა) დაიხარჯა 300 ათასი მანეთი. ვინაიდან წისქვილი არ იყო შერჩეული კარგ ადგილას და მდინარე მას გამუდმებით აზიანებდა. მათი შეკეთება დიდ ხარჯებთან იყო დამოკიდებული. ამიტომ ეს წამოწყება ზარალიანი აღმოჩნდა. ვერც შმიდტის შემკვიდრებმა შესძლეს წისქვილის ტექნიკური გამართვა. ასეთ პირობებში წისქვილი შეიძინა გ. თამამშევმა, მან იმასთან დაკავშირებით, რომ წისქვილის მუშაობაზე უარყოფით არ ემოქმედა მტკვრის დინების მატებას ან დაკლებას შეიციარიდან (ვიტენტური) გამოიწერა 35 ცხ. ძ. ორთქლის ძრავი, რომელსაც უნდა მოეხდინა ორი ვერტიკალური თვლის მუშაობის რეგულირება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მუშაობდა მხოლოდ წისქვილის ერთი თვალი და 35 ცხ. ძ. ორთქლის ძრავა. წისქვილი უმთავრესად მარცვლეულს ფქვავდა სამხედრო უწყების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ იღებდა კერძო დაკვეთებსაც. წისქვილიან მოწყობილი იყო მექანიკური სახელოსნო, სადაც დაზგები მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას. 1881 წელს 6 დოლაბის მუშაობით დაფქვილი იქნა 250 ათასი ფუთი. წისქვილში მუშაობდა 20 კაცი, მათ შორის ერთი ოსტატი, ეროვნებით გერმანელი, იღებდა თვეში 60 მანეთს და არ იხდიდა ბინის ქირას. დამატებით იგი კერძო დაკვეთით შემოსავლიდანაც 1/4% იღებდა. მისი მოადგილის ხელფასი არ აღემატებოდა 40 მანეთს, ესეც არ იხდიდა ბინის ქი-

¹³ გიულდენშტედტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

¹⁴ იქვე, გვ. 21, 31.

¹⁵ იქვე, გვ. 51.

რას. დანარჩენი მუშები, რომლებიც აქვე — წისქვილში ცხოვრობდნენ ხელფასს იღებდნენ 18-დან 22 მანეთამდე¹⁶.

ამავე წლებში 30 ცხ. დ. ორთქლის წისქვილი ჰქონდა სატსაზოვს, მაგრამ იგი დაიწვა და მისი აღდგენა მეპატრონემ არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

ისევე როგორც გ. თამაშუევმა მდ. მტკვარზე გამართული წისქვილი იყდა გ. პარუმბეკოვმა, მაგრამ იმუშაობდა მხოლოდ მისი მუშაობა გადაეყვანა ორთქლის ძრავზე (30 ცხ. დ. სიმძლავრის). წისქვილის 3 დოლაბი გამართულად მუშაობდა და შესაძლებელი იყო ყველა ხარისხის ფქვილის მიღება. მეპატრონე არ იღებდა სხვა კლიენტებისაგან ხორბლულს დასაფქვავად იმ მოტივით, რომ წისქვილი მუშაობდა მხოლოდ მაკარონის ფაბრიკისათვის, რომელიც მას ეკუთვნოდა.

პრუსიის ქვეშევრდომს ფ. ფეოდოროვიჩსაც ჰქონდა მდ. მტკვარზე მოწყობილი წისქვილი, მაგრამ ამჯობინა მისი გადაყვანა შვეიცარიიდან გამოწერილ ორთქლის ძრავზე (12 ცხ. დ. სიმძლავრის) წისქვილის არახელსაყრელი ადგილმდებარეობა აძნელებდა დასაფქვავი ხორბლის მოზიდვას, ამიტომ წისქვილის (2 დოლაბი) ნაკლებად იყო დატვირთული, მუშაობდა 4 კაცი, 1881 წელს დაიფქვა 1000 ფუთი: ამ მხრივ უფრო წინდახედული აღმოჩნდა შვეიცარიის მოქალაქე ფ. მაიერი, რომელმაც მდ. მტკვრიდან დაშორებით ააგო შვეიცარიიდან მიღებული მოწყობილობებით ორთქლის ვალკური წისქვილი (8 ცხ. დ. სიმძლავრის), რომელიც საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებდა, მუშაობდა 16 კაცი, 1881 წელს 3 დოლაბით დაიფქვა 50 ათასი ფუთი¹⁷.

1887 წელს მცხეთის რკინიგზის სადგურთან ახლოს გ. გორნიუნმა ააგო ორთქლის ძრავის წისქვილი (8 ცხ. დ. სიმძლავრის) ორი დოლაბით. მუშაობდა 4 კაცი.

ს. შერემეტევმა თავის კარდანახის მამულში ღვინის ქარხნის გვერდით მოაწყო წისქვილი (6 ცხ. ძალის სიმძლავრის), მაგრამ ეს წისქვილი მხოლოდ სეზონურად მუშაობდა. წისქვილში დასაქმებული იყო 6 მუშა. 1881 წელს ორი დოლაბით დაიფქვა 1000 ფუთი.

1883 წელს ცნობილმა ვაჭარმა ოთაროვმა წითელ წყაროში საკუთარი ნავთობის საწვავის ბაზაზე ამოქმედა ორთქლის ძრავის გამოყენებით (12 ცხ. დ. სიმძლავრის) წისქვილი ორი დოლაბით, სადაც მუშაობდა 8 კაცი. 1881 წ. დაიფქვა 50 ათასი ფუთი.

გარდა შერემეტევის მამულის წისქვილისა, ზემოთ დასახელებულ წისქვილების საქვაბეებში გამოიყენებოდა ნავთობის საწვავი, მაგრამ მასზე გაწეული დანახარჯები არ იყო ერთნაირი, მაგალითად, ოთაროვის წისქვილში საათში ერთეულ სიმძლავრეზე იხარჯებოდა 10 ფუთი ნავთობი, ხოლო თამაშუევისაში იგივე მაჩვენებლების მიხედვით 4 ფუთი. ეს დამოკიდებული იყო საქვაბის კონსტრუქციის, მისი მუშაობის, მოვლისა და სხვა მიზეზებზე.

არსებობდა აგრეთვე განსხვავება მუშათა შრომის ანაზღაურების მხრივაც. ეს მაჩვენებელი თამაშუევის წისქვილში უფრო მაღალი იყო, ვიდრე დანარჩენ წისქვილებში. აქ მუშათა შრომის ანაზღაურება არ აღემატებოდა საშუალოდ თვეში 15 მანეთს.

¹⁶ Гулишамбаров С. Г. Обзор фабрик и заводов Тифлиской губернии, Тиф., 1888, с. 124-125, 127.

¹⁷ იქვე, გვ. 125, 126.

1904 წელს მაისში ბორჩალოს მაზრაში გაიუარხის საუფლისწულო მამულში დამთავრდა ბამბის საწმენდი ქარხნისა და წისქვილის მშენებლობა, რომლებიც მოძრაობაში მოყავდა 35 ცხ. ძ. წყლის ტურბინას. ტურბინა შექმნილი იქნა ამერიკაში ჯეიმს ლეფელის ქარხანაში 1300 მანეთად, ხოლო წისქვილის მთელი მოწყობილობა 856 მანეთად¹⁸. მამულის საკუთრებაში იყო აგრეთვე რამდენიმე წისქვილი¹⁹. საუფლისწულო მამულის მმართველობა ყოველწლიურად (მოსავლის აღებისას) შედარებით დაბალ ფასებში ყიდულობდა დიდძალ ხორბალს, ფქვავდნენ წისქვილებში და ბაზარზე ყიდდნენ მალალ ფასებში. ადგილობრივ მცხოვრებლებს კი ის „შეღავათი“ ეძლეოდათ, თუ წისქვილები არ იყო გადატვირთული, იქ მიეტანათ საფქვავე²⁰.

რამდენიმე წლის მოგვიანებით ორთქლის ძრავით წისქვილები მოქმედებდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის, რომელიც ეკუთვნოდა ქ. კურტივას და ბათუმისა ლ. პარაჩს. ისინი 14—17 მუშას ამუშავებდნენ და წლიურად მხოლოდ 7700-დან 20100 მანეთის შემოსავალს იღებდნენ²¹.

სტატისტიკური მონაცემებით 1902 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სულ 12 ორთქლის წისქვილი მუშაობდა, სადაც დასაქმებული იყო 49 მუშა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოში სხვა სახის წისქვილებიც არსებობდნენ (ქარის, ცხენის), მათ შორის უმრავლესობას წყლის წისქვილები შეადგენდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზების გამო არ თვლიდა მიზანშეწონილად წისქვილების მშენებლობას დიდ თუ მცირე მდინარეებსა და არხებზე, სათანადო უწყებასთან შეთანხმების გარეშე. ეს დაიწყო იმით, რომ 1883 წელს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულთან კავკასიაში დაწესებული იქნა ინჟინერ-ჰიდროლოგის თანამდებობა, მაგრამ 1890 წელს ამ თანამდებობის ნაცვლად შემოღებული იქნა „კავკასიის წყლების“ ინსპექტორის თანამდებობა, რამდენიმე საშტატო ერთეულით. ისე როგორც ინჟინერ-ჰიდროლოგს ამ უწყებასაც ევალებოდა სხვა საქმეებთან ერთად კონტროლის დაწესება წყლის წისქვილების მშენებლობაზე. რისთვისაც შედგენილი იქნა ტექნიკური მოთხოვნათა ნუსხა. ამრიგად საქართველოში ყველა წისქვილის აგება წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო კავკასიის წყლების ინსპექტორის უწყებასთან, ასე მაგალითად 1899 წელს თამამშვემა მოითხოვა ნებართვა და წარადგინა სათანადო გეგმა თბილისში, მის საკუთრებაში მყოფი წისქვილის საჭიროებისათვის მდ. მტკვრის დინების მომატების შემთხვევაში ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისათვის²².

სოფ. საგარეოში მცხოვრებმა დევზონ კვერამვილმა და გიორგი მეზერიშვილმა მოითხოვეს წისქვილის აშენება მდ. იორის მარცხენა მხარის არხზე ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „დიდი წისქვილების რუს“ მასიურადი-

¹⁸ თ ე ნ გ ი ზ ჩ ხ ე ი ძ ე, კაპიტალიზმი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბ., 1978, გვ. 78.

¹⁹ იქვე, გვ. 33.

²⁰ საქ. სტია, ფონდი 351, ანაწ. 1, საქ. 192, ფ. 61, 62, თ ე ნ გ ი ზ ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

²¹ გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917, თბ., გვ. 324.

²² საქ. სსრ ცნია, ფონდი 365, საქ. 305, ფ. 2—6.

6. „მეცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1989, № 1

სა და აზარაშვილის წისქვილებს შორის, მაგრამ აქ წისქვილები ჰქონიათ: 1. წმინდა დავითის მონასტერს, 2. მღვდელ გულისაშვილს, 3. იოსებ მეზერი-შვილს, 4. ივანე მაისურაძეს, 5. აზარია აზარაშვილს და ა. შ. ეს გარემოება ეპვის ქვეშ აყენებდა დ. კვერაშვილისა და გ. მეზერიშვილის თხოვნის დაკმა-ყოფილებას. მაშინ როდესაც მათ სოფლის მოსახლეობა აქტიურად უჭერდა მხარს (თხოვნას ხელს აწერდა 433 გლეხი). აქვე მდ. იორის მეორე არხზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები უწოდებდნენ „პატარა წისქვილების ხეცს“ სოფ. გიორგიწმინდელ გლეხებს ა. მარხაშვილსა და ე. ბუჩაშვილს განუზრახავთ წისქვილის აგება, მაგრამ როგორც შემოწმებით გამოირკვა წისქვილებს შეიძლება ზიანი მოეტანათ სარწყავი სისტემისათვის. შექმნილი მდგომარეობა საფუძვლიანად შეუსწავლია „კავკასიის წყლების“ ინსპექციას და საგარეოელ და გიორგიწმინდელ გლეხთა თხოვნა დადებითად გადაუწყვე-ტია²³.

1898 წელს ქ. ახალქალაქში მცხოვრებ გ. ნიკოლაევს უყვია წისქვილი მოწყობილი მდ. ფოცხოვზე (აბასთუმნის გზისა და მდინარეს შორის). 1913 წელს გ. ნიკოლაევს განუზრახავს წისქვილის საჭიროებისათვის არხის გაყვანა, წყლის ძრავის დადგმა და ამ ენერჯის გამოყენება ხე-ტყის ქარხნისა და წის-ქვილისათვის. მის მიერ წარდგენილ გეგმაში აღნიშნულია მცირე სიძლიერის პირობისა და გურის მშენებლობის სქემა²⁴.

საქართველოს მდინარეებზე განცხადებებს წისქვილების მშენებლობის ნებართვის მიღების შესახებ მრავლად ვხვდებით საარქივო მასალებში, გან-საკუთრებით XX საუკუნის დასაწყისს. ეს უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ფქვილსაფქვე საწარმოთა როლი სოფ-ლისა და ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თბილისში მოქმედებდა ფქვილსაფქვევი წისქვილე-ბის საჭიროებისათვის ორთქლის, წყლის ძრავებისა და სხვა მანქანა-დანად-გარების სპეციალიზებული ქარხანა, რომელსაც განაგებდნენ ინჟინრები იარ-ალოვი და ალიხანოვი. რეკლამა ამის შესახებ ხშირად ქვეყნდებოდა გაზ. „ცნობის ფურცელის“ გვერდებზე²⁵.

ცარიზმის ოფიციალურ სტატისტიკას, ვინაიდან არ ჰქონდა შემუშავე-ბული მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობილი აღრიცხვის მეთოდი, ხში-რად სწორად ვერ ასახავდა სინამდვილეს, მაგალითად „ფაბრიკა-ქარხნებში“ ნაგულისხმევია შინამრეწველური, ხელოსნური და წვრილი საწარმოები. აღ-რიცხვაში არ არის შეტანილი აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მსხვილი საწარმოები. ამ ხანის სტატისტიკის მიხედვით წისქვილები მოხვედ-რილია „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობაში და არ უნდა იყოს ნა-გულისხმევი წვრილი (ბურჟუაზია) წყლის წისქვილები, სადაც ერთი ან ორი კაცი მუშაობდა. ამას საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ 1902 წლისათვის ოფი-ციალური ცნობით აღრიცხულია 3161 წისქვილი. სტ. გულიშამპაროვის გად-მოცემით კი 80-იან წლებში მხოლოდ თბილისის გუბერნიაში ყოფილა 3000 წისქვილი, აქედან ქალაქებში 180, ხოლო სოფლად — 2820, მათ შორის მზ-რებში: ახალციხე — 119, ახალქალაქი — 234, გორი — 815, დუშეთი —

23 საქ. სსრ ცხია, ფონდი 365, საქ. 42, ფ. 2—3, 25, 37, 42.

24 იქვე, ფ. 365, საქ. 224, ფ. 7.

25 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, № 392 (6 დეკემბერი).

400, თიანეთი — 556, სიღნაღი — 134, თელავი — 156, ბორჩალო — 308, თბილისი — 95²⁶. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში 80-იან წლებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა და მატულობს ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ადგილებში (განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის დროს) მცხოვრებთა რაოდენობა, ცხადია ასეთ პირობებში გამომცხვარ პურზე გაიზარდებოდა მოთხოვნილება. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ფქვილსაფქვავე წარმოება არ უნდა შემცირებულიყო. მიუხედავად ამისა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან ფქვილსაფქვავე წარმოების მოცულობის და მისი ზრდის ტემპების შესახებ, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

მონაცემები წისქვილების რაოდენობის, პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის შესახებ 1899—1912 წწ.²⁷

წლები	წისქვილების რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მანეთობით)	მუშათა რაოდენობა
1899	2080	355	2354
1902	3161	287	3300
1908	3632	530	3800
1910	2953	548	3209
1911	1826	350	1908
1912	1292	184,8	1127

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს 1912 წელს წისქვილების საერთო რაოდენობა 1908 წელთან შედარებით შემცირებულია 2340 ერთეულით. პროდუქციის ღირებულება 2,8-ჯერ, ხოლო მუშათა რაოდენობა 3,3-ჯერ.

1912 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის მიხედვით წისქვილების რაოდენობა, პროდუქციის ღირებულება და მუშათა რაოდენობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 2)²⁸.

ცხრილი 2

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის დასახელება	წისქვილების რაოდენობა	პროდუქციის ღირებულება (ათას მანეთობით)	მუშათა რაოდენობა
თბილისის გუბერნია	256	79,8	265
ქუთაისის „	428	66,6	450
ბათუმის ოლქი	293	8,0	21
სოხუმის ოკრუგი	315	37,5	391

²⁶ Гулишамбаров С. Г. Обзор фабрики и заводов... с. 129.

²⁷ საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921-1969, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით; თბ., 1967, გვ. 112 „Кавказский Календар“, Тифл., 1914, с. 182, 184.

²⁸ „Кавказский Календар“, 1914, Тифл., с. 186.

მოყვანილ მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისის გუბერნიაში 1912 წელს წისქვილების რაოდენობა 1908 წელთან შედარებით შემცირებულა 10-ჯერ მეტად, სხვა მონაცემების მიხედვით ბათუმის ოლქში მხოლოდ ერთი წისქვილი აღინიშნებოდა ახლა კი გაცილებით მეტი.

ჩვენი აზრით, ეს უნდა გამოწვეული იყოს სხვადასხვა რაიონში აბრიცხვის ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომის შედეგად, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია პროდუქციის ღირებულებისა და მუშათა რაოდენობის მაჩვენებლებზეც. ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ იმ დროს წისქვილის პროდუქციის ღირებულება აღირიცხებოდა დაფქვილი მარცვლეულის არა წლის მანძილზე წარმოებული მთელი ნაწარმი, არამედ მხოლოდ სამინდო გადასახადი, რაც მთლიანი პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 5% შეადგენდა და სამინდო მოსაკრეფელი სხვადასხვა წისქვილში და რაიონში არ იყო ერთნაირი ზომის. მოყვანილი მონაცემებიდან მაინც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ორთქლის წისქვილები ჯერ კიდევ ნაკლებ როლს ასრულებდნენ საერთო ფქვილსაფქვავ წარმოებაში, ხოლო დანარჩენი წისქვილები არ წარმოადგენდნენ მსხვილ საწარმოებს, როგორც წარმოებული პროდუქციის, ისე მასში დასაქმებულ მუშათა რაოდენობის მხრივ.

ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მსოფლიო ომის წინაწლების სტატისტიკური აღწერით საქართველოს „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობაში წისქვილები შეადგენდნენ (პროცენტობით) 1902 წელს — 66,8, 1908 წ. — 71,8, 1910 წ. — 65,7, 1911 წ. — 63,3, ხოლო მუშათა საერთო რაოდენობაში წისქვილებში დასაქმებული მუშათა რაოდენობა შეადგენდა 1902 წ. — 15,4%, 1911 წელს კი — 98%. როგორც ზემოთმოყვანილი ცხრილიდან ჩანს თითოეულ წისქვილში დასაქმებული ყოფილა საშუალოდ ერთი კაცი. ამრიგად, თუ მაღალია „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობაში წისქვილების რაოდენობის მაჩვენებელი (51,8%), სამაგიეროდ დაბალია წისქვილებში დასაქმებული მუშათა რაოდენობის მაჩვენებელი (10—22%)²⁹. მიუხედავად იმისა, რომ წერილ საწარმოთა შორის საერთოდ წისქვილები მაღალი შრომის ნაყოფიერებით ხასიათდება ეს მაჩვენებელიც დაბალია, რაზედაც მეტყველებს წისქვილებში დასაქმებული მუშათა რაოდენობისა და მათი წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება, მაგალითად, 1902 წ. წისქვილებში დასაქმებული იყო მუშათა 15,4%, ხოლო წარმოებული პროდუქციის მხრივ წისქვილებზე მოდიოდა მისი საერთო ღირებულების 0,5%.

მსოფლიო იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც სულ უფრო მწვავედებოდა სურსათ-სანოვავისა და საწვავ-სათბობის ნაკლებობა, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, ფქვილსაფქვავი წარმოება დაქვეითების გზას ადგა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობის დროს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად მოწყდა საბჭოთა რუსეთს, აზერბაიჯანსა და სოხეთს. გარდა იმისა, რომ მარცვლეულის შემოზიდვა მკვეთრად შემცირდა და ადგილობრივი მარცვლეული ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის დაკმაყოფილებას უმთავრესი საკვები პროდუქციით, ქვეყანა

შიმშილმა მოიცვა. წისქვილების დიდი ნაწილი უქმად იდგა ან დაუტვირთავი მუშაობდა, მათი ტექნიკური შეიარაღება შეწყდა. შენარჩუნებული მოწყობილობა გაცვდა და მოძველდა. ამრიგად, რევოლუციამდელ საქართველოში ფქვილსაფქვევი წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა შიგარუსეთისა და ზოგიერთ განაპირა მხარის ფქვილსაფქვევ მრეწველობას — მან ვერ შესძლო ინდუსტრიულ წარმოებად განვითარება.

Г. А. БРЕГВАДЗЕ

МУКОМОЛЬНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ГРУЗИИ

Резюме

Изучены вопросы использования камней для точения, ступ, ручных и водяных мельниц в хозяйственном быту грузинского народа. Также рассмотрены особенности развития мукомольной промышленности, ее место и роль в экономике дореволюционной Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასწარმოო სფეროს ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

ვლადიმერ ხანდავანიძე

წარმოებით ურთიერთობათა სისტემის სრულყოფის
გაგებინათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა დახასიათებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სოციალიზმის ახალ საფეხურზე აყვანას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ყოველმხრივ განვითარებული საწარმოო ძალები, მომწიფებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, გამართული სამეურნეო მექანიზმი.

მეცნიერების, განსაკუთრებით კი პოლიტეკონომისტების წინაშე დგება მომწიფებული სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემის თეორიული გააზრებისა და ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიასთან მისი შეთანაწყობის მეთოდების დამუშავების საკითხი. დაზუსტებას და სიღრმისეულ კვლევას თხოვლობს თვით წარმოებით ურთიერთობათა სისტემის სტრუქტურა. საჭიროება მოითხოვს გაირკვეს წარმოებით ურთიერთობათა და მათი ცალკეული ელემენტების განვითარების პერსპექტივები.

წარმოებით ურთიერთობათა არსის მეცნიერული გაგება პირველად მოგვცა კ. მარქსმა თავის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. „თავიათი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, რომელიც მატერიალურ მწარმოებელ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება“.

„ურთიერთობა“ ფილოსოფიური კატეგორიაა. იგი გამოხატავს განსაზღვრულ სისტემაში ელემენტების განლაგების ხასიათს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. ჰეგელის აზრით, ყოველი არსებული ურთიერთობაში იმყოფება, და ეს ურთიერთობა წარმოადგენს ყოველივე არსებულის ტეზმარტებას¹. ურთიერთობა ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ლოგიკის მთავარ შინაარსად, ხოლო კანონი მას წარმოადგენილი ჰქონდა როგორც არსებული ურთიერთობის გამოხატულება².

ურთიერთობის კატეგორია გულისხმობს საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი მთელის ნაწილების თანაარსებობას, შედარებას, ობიექტურ შეპირისპირებას, ერთიდან მეორის გამოვლენის მექანიზმს და ობიექტურ სამყაროში ერთეულის როლის გამოვლინებას და შეფასებას.

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 10.

2 Гегель, Энциклопедия философских наук, т. I, ч. I, М., „мысль“, 1974, с. 450.

3 ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 38, 147, 148.

თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ ურთიერთობას. ამ ურთიერთობაში გამოვლინდება თვისება, რომლის საშუალებითაც ყალიბდება ადამიანის წარმოდგენა საგანზე. იწყებს რა ობიექტის შეცნობას, ადამიანი იყენებს ამ თვისებას საგნის სტრუქტურაში შედწმენისა და მისი ერთიანობისა და მრავალფეროვნების გარკვევისათვის. საგნის შინაარსის კვლევის პროცესში წამოიჭრება ავცილებლობა თვით ურთიერთობის შინაგან ბუნებაში შეჭრისა. ამისათვის გამოიყენება ისეთი ლოგიკური ხერხები როგორცაა: ერთიანობის „გაორება“ და მათი „კავშირი“.

ობიექტური სამყაროს შეცნობის დარად კ. მარქსს გამოკვლეული აქვს ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში. ადამიანთა წარმოებითი ანუ ეკონომიკური ურთიერთობა, როგორც საერთოდ ადამიანთა ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, მოიცავს ურთიერთობათა ფართო წრეს: დაწყებული წარმოების პროცესში ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობიდან, დამთავრებული განაწილებისა და გაცვლის ეკონომიკური ურთიერთობით. ამასთან ეს ურთიერთობა დაკავშირებულია არა ნივთის შეცნობის ურთიერთობასთან, არამედ ურთიერთობასთან, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ადგილს წარმოების პროცესში, მის წილს წარმოებული პროდუქტის განაწილებაში და მის როლს წარმოებული პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით მომხმარებელამდე მიტანის საქმეში. აქედან გამომდინარე, ადამიანთა ცნობიერებაში ყალიბდება მატერიალური დოვლათის წარმოებისადმი ისეთი მიდგომა, რომ, ჯერ ერთი, მან უნდა დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილება (საქონელი თავისი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტექნიკური თვისებების მიხედვით უნდა ავიდეს მსოფლიო სტანდარტების დონეზე). მეორე, ისე უნდა მოეწყოს წარმოებული პროდუქტის განაწილება, რომ ამ უკანასკნელმა თავად შეუწყოს ხელი წარმოების განვითარებისათვის ადამიანთა აქტივობის ამაღლებას. მესამე, ამ პროცესს მჭიდროდ უკავშირდება ადამიანთა ურთიერთობა წარმოებული პროდუქტის ყიდვა-გაყიდვის გზით მომხმარებელამდე მიტანის საქმეში.

წარმოებით ურთიერთობათა სისტემის თაობაზე ეკონომისტთა შორის არ არის აზრთა ერთიანობა. ეკონომისტთა ერთი ნაწილის მტკიცებით წარმოებითი ურთიერთობა წარმოდგენილია წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროში ადამიანთა ურთიერთობის ერთიანობის სახით. ეკონომისტთა მეორე ნაწილი საერთოდ უარყოფს ფაზებრივ დაყოფას. არის სხვადასხვა მოსაზრება საკუთრივ წარმოების სფეროში ადამიანთა ურთიერთობის შესახებ. წარმოებით ურთიერთობათა სისტემა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ გავებულია როგორც ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, სისტემის შეცნობაც უნდა მოხდეს მისი სტრუქტურის შესწავლის პირობებში.

წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა საკუთრივ წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობის სრულყოფით იწყება. ეკონომისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს რა ამ ურთიერთობას საკუთრებით ურთიერთობად, თვლის რომ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმათა სრულყოფა მთლიანად გადაწყვეტს იმ წინააღმდეგობას, რომლებიც საკუთრივ წარმოების პროცესში ყალიბდება.

დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს საკუთრივ წარმოების ფაზაში ადამიანთა ურთიერთობა საკუთრებით ურთიერთობათა ფორმას ღებულობს, დახუტდება საჭიროებს. მარქსისტული ფაზებრივი დაყოფის პირობებში საკუთ-

რივ წარმოების პროცესში მიმდინარე ადამიანთა ურთიერთობა წარმოდგენილია არა მარტო როგორც საკუთრებითი ურთიერთობა, არამედ აგრეთვე როგორც განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ფაზების იმ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებიც სათავეს წარმოების პროცესში იღებენ და აქვე პოვებენ თავის დასასრულს. ესენია: წარმოების საშუალებათა განაწილება, რომელიც თავისი შინაარსით მიეკუთვნება განაწილების ფაზას, საქმიანობის გაცვლა (გაცვლის ფაზიდან) და წარმოების საშუალებათა მოხმარება (მოხმარების ფაზიდან).

ამრიგად, წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის პირველ საფეხურად მიგვაჩნია წარმოების საშუალებებისა და შედეგების გამოყენების საქმეში ადამიანთა, კოლექტივთა, დარგთა და ა. შ. მრავალმხრივი სისტემა, აგრეთვე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების იმ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებიც საკუთრივ წარმოების ფაზაში პოვებენ თავის ფუნქციონირებას. ამ ურთიერთობათა შეხამება და მუდმივი რეგულირება მიჩნეულია როგორც საკუთრების განვითარებისა და სრულყოფის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მეორად, დაქვემდებარებულ ურთიერთობად კ. მარქსი მიიჩნევს ადამიანთა ურთიერთობას საკუთრივ განაწილებისა და გაცვლის სფეროში. წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში განაწილება წარმოდგენილია, ერთის მხრივ, როგორც ამ სისტემის შემადგენელი ნაწილი და, მეორე მხრივ, როგორც გამოცალკევებულობის ნიშნის მქონე ადამიანთა ურთიერთობა, როგორც ერთიანი სისტემიდან გამოცალკევებული რგოლი. თუ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში განაწილების ადგილს გამოვიკვლევთ, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, ჯერ ერთი, განაწილების დამოკიდებულება წარმოებასთან და კლავწარმოების სხვა ფაზებთან, მეორე, როგორც დამოუკიდებელი სფეროს არსებობა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება განაწილების ეკონომიკური კანონების მოქმედება. განაწილებითი ურთიერთობა „ეს არის ყველაზე უფრო მგრძობიარე სფერო, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს წარმოებაზე, შეგნებაზე და ადამიანთა განწყობაზე“⁴.

თანამედროვე ეტაპზე განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფა მდგომარეობს იმაში, რომ საკუთრებითი ურთიერთობის სრულყოფის შესაბამისად განაწილება უფრო მეტად დავეუკავშიროთ წარმოების განვითარების პირობებს, ხელი შევუწყოთ მშრომელთა ცხოვრების დონის გადიდებას წარმოების საშუალებებთან თანაბარი დამოკიდებულებებისა და შეტანლი წვლილის შესაბამისად ანაზღაურების მოწესრიგების გათვალისწინებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესუსტდა მატერიალური დაინტერესების ზემოქმედების ხარისხი⁵. ეკონომიკურ მოვლენების თეორიული ანალიზი ამ მოსაზრებას ადასტურებს. ეს საკითხის ერთი მხარეა. მთავარი მაინც ის არის, რომ დადგინდეს საზოგადოების მატერიალური დაინტერესების შესუსტების მიზეზი.

თუ განვიხილავთ განაწილებით ურთიერთობას განვითარების ეტაპების მიხედვით დავრწმუნდებით, რომ შრომის ნაყოფიერებაზე მისი ზემოქმედე-

⁴ Горбачев М. С. Живое творчество народа, М., политиздат, 1985, с. 31.

⁵ Микულский К. И. Экономические законы социализма и социальная активность трудящихся. М., Экономика. 1963, с. 15—25.

ბის როლი უფრო მეტად შესუსტდა განაწილების ხვედრითი წილის ამაღლების პირობებში.

საზოგადოების მატერიალური სტიმულირების როლის შესუსტება არ შეიძლება ავსნათ მხოლოდ განაწილების ეკონომიკურ კანონთა შეცნობის დაბალი დონით, როგორც ამას ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი ამტკიცებს. მისი ფესვები უფრო სიღრმისეულ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ. მუშათა მატერიალური სტიმულირება მკიდროდ უკავშირდება არა მხოლოდ მოცემული დარგის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას, არამედ აგრეთვე მთელი საზოგადოების შემოსავალს, სხვადასხვა დარგის მუშაკთა შემოსავალს, საერთოდ მშრომელთა ცხოვრების დონეს. დარღვევები შრომის ანაზღაურებაში, ფულადი შემოსავლის არასაკმაო უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო პროდუქტებით, უშრომელი შემოსავლის ხვედრითი წილის ზრდა, რაც საბოლოო შემთხვევაში თავის გამოხატულებას პოულობს საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუარესებაში, საფინანსო დისციპლინის დარღვევაში, უარყოფითად მოქმედებს იმათზე, ვინც უშუალოდ საზოგადოებრივი შემოსავლით ცხოვრობს.

ამრიგად, შრომის ზომისა და ანაზღაურების ზომის ოპტიმალური თანაფარდობის დამკვიდრება, შრომის ზომისა და მოხმარების ზომასზე კონტროლის გაძლიერება, საუკეთესო სახალხომეურნეობრივ შედეგებზე კოლექტიური დაინტერესების ზრდა, მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორი შეხამება შრომით საქმიანობაში, ანაზღაურების მექანიზმის ისე მოწყობა, რომ მან გზა გადაუღებოს უშრომელ შემოსავალს და გათანაბრებს ანაზღაურებაში, ფართო შესაძლებლობას შექმნის განაწილებით ურთიერთობის მთელი სისტემის სრულყოფისათვის.

წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში რიგით მესამე ფაზად კ. მარქსს მიჩნეული აქვს გაცვლითი ურთიერთობა. კვლავწარმოების დაჩქარების ინტერესებიდან გამომდინარე, მთელი საზოგადოების მიერ საქონლის ფაზების ცენტრალიზებული რეგულირების პირობებში, გაცვლითი ურთიერთობა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მშრომელთა დაინტერესების ზრდაზე, წარმოების ეფექტიანობის გაძლიერებაზე, კოლექტივის საქმიანობის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებაზე.

გაცვლის ფაზის შეუფასებლობამ, საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენციის არარსებობამ, კოოპერაციული და ინდივიდუალური საქმიანობის პრესტიჟის დაცემამ საჭირო პირობები შექმნა სახელმწიფოს ხელში საქონელმომოქცევის მონოპოლიური მდგომარეობის დამკვიდრებისათვის და მისი წარმოებაზე კონტროლის ხარისხის შესუსტებისათვის, რამაც შექმნა წინაკრიზისული სიტუაციისა და ფულის ინფლაციისათვის ნოყიერი ნიადაგი. ფულად-სასაქონლო ურთიერთობის სრულყოფა ამ ნაკლს გამოირიცხავს. „უნდა გავზარდოთ სამეურნეო კავშირთა ურთიერთობის საიმედოობა, მივაღწიოთ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დინამიკურ შესაბამისობას, გავაუმჯობესოთ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვალობა“.

კამათს იწვევს წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მოხმარების შეტანის საკითხი. ეს კამათი ჯერ კიდევ კ. მარქსის სიცოცხლეში დაიწყო. ბურჟუაზიული ეკონომისტები მოხმარებას მიიჩნევდნენ რა წარმოების განცალკევებულ

კატეგორიად. არ შეჰქონდათ ის პოლიტიკური ეკონომიის კვლევის წრეში. საერთოდ კი ისინი უარყოფდნენ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის არსებობას. მათი აზრით, პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის მხოლოდ განაწილებასა და გაცვლას. კ. მარქსმა ამხილა ბურჟუაზიული ეკონომისტების თეორიების სიმცდარე და დაამტკიცა, რომ მოხმარება როგორც წარმოების მიზანი, როგორც კვლავწარმოების ჯაჭვის შემადგენელი ნაწილი, ყოველთვის შედიოდა და შედის ეკონომიკური კვლევის წრეში.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მართალია აღიარებდნენ მოხმარებას, როგორც კვლავწარმოების ჯაჭვის შემადგენელ რგოლს, მაგრამ ფაქტიურად უშენიშვნოდ ღებულობდნენ ეკონომისტთა შეხედულებას მოხმარების ეკონომიკის გარეთ ყოფნის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა ბევრი მოსაზრება. რომელმაც, ჩვენი აზრით, ვერ გასცა პასუხი კითხვას: რა როლს თამაშობს მოხმარება წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში და განეკუთვნება თუ არა იგი ეკონომიკურ სფეროს?

საკითხის კვლევას ის ართულებს, რომ კ. მარქსის შეხედულება ამ პრობლემასთან დაკავშირებით თითქმის განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში იგი განიხილავს მოხმარებას, როგორც არაეკონომიკურს, სხვა შემთხვევაში — როგორც წარმოებით ურთიერთობათა შემადგენელ ნაწილს. ისინი, ვინც უარყოფდნენ მოხმარებას, როგორც ეკონომიკურ ურთიერთობას, იმოწმებდნენ ეკონომისტების შეხედულებას, რომელიც კ. მარქსს უშენიშვნოდ აქვს მიღებული. ხოლო ისინი, რომლებიც თვლიდნენ, რომ მოხმარება უნდა განვიხილოთ, როგორც წარმოებით ურთიერთობათა შემადგენელი ნაწილი, იმოწმებდნენ კ. მარქსის მოსაზრებას წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ერთიანობის შესახებ.

მოხმარების ფაზის შესწავლას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ა. პოკრიტანმა, ი. კრონროდმა, ნ. კოლესოვმა, ი. შუტოვმა, ი. სტოლიაროვმა და სხვებმა. ა. პოკრიტანის აზრით, პირადი მოხმარება არის არა უბრალო ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტს შორის მისი მოხმარებისათვის, არამედ ეს არის ურთიერთობა წარმოების აგენტებს შორის, რომელიც წარმოიშობა მოხმარების საგნების გამო⁷.

ნ. კოლესოვის⁸, აზრით მოხმარება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ურთიერთობა ადამიანსა და ნივთს შორის, როგორც მატერიალური სიმდიდრის შთანთქმის ბიოლოგიური პროცესი. განაწილება, მისი აზრით, ყოველთვის გამოხატავს განსაზღვრულ ურთიერთობას და აქვს ისტორიული ხასიათი.

თავისებურ კარკარომისულ მოსაზრებას დაადგა ი. შუტოვი⁹. საკითხის უფრო ღრმად გაკვევრის მიზნით იგი ანსხვავებს ერთმანეთისაგან „საკუთრი მოხმარებას“ და „მოხმარების ფაზას“. მისი აზრით, პირადი მოხმარების პროცესი როგორც ასეთი შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ თავის მოქმედების პროცესში გავლის ეკონომიკურ და არაეკონომიკურ სტადიას.

ჩვენ მთლიანად ვუერთდებით ეკონომისტთა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება წარმოადგენენ კვლავ-

⁷ Покрытан А. К. Вопросы социалистического воспроизводства общественного продукта.—Киев. 1965, с. 134.

⁸ Экономические проблемы строительства коммунизма,—Л. из-во Ленинградского ун-та, 1967, с. 2.

⁹ Ш у т о в И. Н. Личное потребление при социализме,—М.: „Мысль“, 1972, с. 39.

წარმოების ჯაჭვის შემადგენელ რგოლებს. მოხმარება, როგორც წარმოების შემადგენელი ნაწილი, თავის გამოხატულებას პოულობს მოთხოვნილების წარმოშობაში და მეორე მხრივ წარმოების საშუალებათა საწარმოო მოხმარების პროცესში. რაც შეეხება პირად მოხმარებას, მისი ეკონომიკური მხარე ჩვენ თავისებურად გვესახება.

თუ პირად მოხმარებას განვიხილავთ ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალთახედვით, მაშინ უფრო დეტალურად უნდა წარმოვადგინოთ მისი სტრუქტურა და ნაწილების მთელთან ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. გარეგნულად თუ შევხედავთ, დაეინახება, რომ პირადი მოხმარება, უპირველეს ყოვლისა, გამოდის როგორც ადამიანების ნივთებთან დაკავშირებული მოქმედება მათი მოხმარების მიზნით. მოხმარების საგნების ოდენობა გაპირობებულია ერთის მხრივ, შრომის მიხედვით განაწილებით, პიროვნების (კოლექტივის) მიერ დახარჯული შრომის შესაბამისად, და მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ფონდებიდან განაწილებით. გამოდის, რომ მოხმარება, როგორც პირადი მოხმარება, მთლიანად დამოკიდებულია განაწილებაზე, რომელიც თავის მხრივ წარმოების მასტიმულირებელი ფაქტორის როლში გვევლინება. ამასთან, განაწილება მთლიანად როდი ემთხვევა მოხმარებას. სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების მეშვეობით განაწილებული პროდუქტის ღირებულება ზოგჯერ ჭარბობს და ზოგჯერ ჩამორჩება მოხმარების მოცულობას. მაგრამ ეს ხდება არა იმდენად ეკონომიკური, არამედ არაეკონომიკური ფაქტორების მეშვეობით. თვითონ მოხმარება თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს განაწილებაზე. განაწილების სფეროში მომხდარი ცვლილებები უმთავრესად წამოჭრილია მოხმარების სფეროში და გადაჭრილია წარმოების ფაზის მეშვეობით.

თუ მოხმარებას განვიხილავთ საზოგადოებრივი თვალთახედვით, მაშინ აღმოჩნდება, რომ იგი არის არა უბრალოდ ადამიანის კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ ადამიანის, როგორც ასოცირებული მწარმოებლის სამუშაო ძალის კვლავწარმოების ფაქტორი. მაგრამ ამ ფაქტორის ეკონომიკური საფუძველი არა მოხმარება, არამედ წარმოება და განაწილება, სადაც ყალიბდება ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობა. სსრ კავშირის კონსტიტუციაში ნათქვამია: „სსრ კავშირის ეკონომიკა შეადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს¹⁰“.

წარმოებითი, ანუ ეკონომიკური ურთიერთობა, გამოხატავს ადამიანთა ურთიერთობას წარმოების პროცესში. კ. მარქსს და ფ. ენგელსს ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევის მეთოდად მიჩნეული აქვთ ლოგიკურის. ისტორიულის და აბსტრაქტული პირების მეთოდების ერთიანობა. „ამ მეთოდების გამოყენებისას ჩვენ გამოვდივართ, პირველი და ყველაზე მარტივი ურთიერთობიდან, რომელიც ჩვენ მოცემული გვაქვს ისტორიულად, ფაქტიურად, მაშასადამე, იმ პირველი ეკონომიკური ურთიერთობიდან, რომელსაც ჩვენ ვპოულობთ... უკვე ის ფაქტი, რომ ეს არის ურთიერთობა, ნიშნავს, რომ მას აქვს ორი მხარე, რომელიც ერთმანეთისადმი მიმართებაშია. თითოეულ ამ მხარეს ჩვენ განცალკევებულად განვიხილავთ. აქედან გამომდინარეობს მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი, მათი ურთიერთმოქმედება. ამასთან მყდავდება წინააღმდეგობანი, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ¹¹“.

10 სსრ კავშირის კონსტიტუცია, ძირითადი კანონი, თბილისი, 1977, გვ. 12.

11 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1952, გვ. 278-279.

ამრიგად, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ ეკონომიკურ ურთიერთობად მიჩნეულია: 1. არა ნივთთა ურთიერთობა, არამედ ადამიანებს შორის ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა დაკავშირებულია ნივთებთან და ნივთების სახით ვლინდება; 2. ურთიერთობა უნდა განხილულ იქნას ისტორიულად აბსტრაქტული და თეორიული თანმიმდევრობის ფორმით; 3. თუ ურთიერთობაა, მას უნდა გააჩნდეს ორი მხარე; 4. მოპირდაპირე მხარეთა დამოკიდებულება უნდა განხილულ იქნას წინააღმდეგობრივ ასპექტში; წინააღმდეგობის გადაწყვეტამ უნდა მიგვიყვანოს ახალი ურთიერთობის დამყარებამდე.

თუ ამ მეთოდის გამოყენებით განვიხილავთ მოხმარების ფაზას, მაშინ ნათელი გახდება, რომ პირადი მოხმარების პროცესში ურთიერთმომქმედების ორი მხარე არ გამოიყვეთება. გამოდის, რომ მოხმარების ფაზა, როგორც კვლავწარმოების შემადგენელი ფაზა, ერთდროულად მოიცავს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკურ სფეროს და მისი სრულყოფაც უნდა ვეძიოთ აგრეთვე არაეკონომიკურ სფეროში. ასეთებია განაწილებასა და მოხმარებას შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დამყარება, უშრომელი შემოსავლის ლიკვიდაცია, პირადი მოხმარების საზოგადოებრივ მოხმარებასთან მჭიდროდ დაკავშირება, სასურსათო პრობლემის გადაჭრა, სუბიექტური ფაქტორების რეგულირების ახალი გზების ძიება, დემოკრატიული საწყისების შემდგომი სრულყოფა და სხვა.

წარმოებით ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა საჭირო პირობებს შექმნის წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების ფუნქციონირების დაჩქარებისათვის, რაც ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

КАНДАШВИЛИ В. С.

К ПОНЯТИЮ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СИСТЕМ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ

Резюме

Характеризуя основные направления экономической политики, XXVII съезд КПСС значительное место уделил поднятию социализма на новую ступень развитых производственных отношений.

Установлено, что в процессе производства, кроме отношений собственности, складываются и те отношения, которые берут начало в процессе производства и там же находят свою концовку.

Отличительно представлена фаза потребления. Потребление, как составная часть воспроизводства общественного продукта, одновременно включает в себя как экономическую, так и неэкономическую сферы. В частности, в сфере личного потребления экономические отношения не складываются. Исходя из этого, совершенствование систем производственных отношений надо осуществить, принимая во внимание эти факторы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტლის ინსტიტუტის პოლიტიკურ ეკონომიკის განყოფილებამ

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ვლადიმერ ხუსკინაძე

მეზალეობის ამხანაგობის კანონმდებლობის განვითარების ახალი
მტაკი

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მეზალეობის ამხანაგობათა საქმიანობა. ფართოდება მათი მოქმედების მასშტაბები, იზრდება წევრთა რაოდენობა, რომელიც ამჟამად 60 ათასს აღწერს. მათ განკარგულებაშია 5.000 ჰექტარზე მეტი მიწა. საყურადღებოა, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დამატებით უნდა გამოიყოს 54 ათასი ნაკვეთი, ხუთწლედის ბოლოს სულ საბაღე ნაკვეთების რაოდენობა 110-120 ათასს მიადრწევს, რაც ნიშნავს, რომ ქალაქში მცხოვრებ ყოველ მესამე ოჯახს გარეუბანში ექნება მიწის ნაკვეთი.

ქალაქის მოსახლეობის შრომისა და დასვენების ამ აქტუალური ფორმის განვითარების პერსპექტივები მოითხოვს მეზალეობის ამხანაგობათა ორგანიზაციის ახალ, დახვეწილ დონეს, მათი საქმიანობის უფრო ზუსტ სამართლებრივ რეგულირებას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1986 წ. 14 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცდა მეზალეობის ამხანაგობის ახალი ტიპობრივი წესდება.

„სკვპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება“ — „მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მეზალეობისა და მეზოსტენობის განვითარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“, რომელმაც არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა მეზალეობის ამხანაგობის სამართლებრივ რეგულირებაში.

აღნიშნულ ნორმატიულ აქტებსა და ადრე მოქმედ ტიპობრივ წესდებას შორის, რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1979 წლის 20 მარტის დადგენილებით, არის არსებითი განსხვავებანი.

თუ ადრე არ იყო განსაზღვრული მეზალეობის ამხანაგობის შექმნისათვის მოქალაქეთა მინიმალური რაოდენობა, ახალ წესდებაში პირდაპირაა მითითებული, რომ მეზალეობის ამხანაგობა შეიძლება შეიქმნას საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, თუ ამხანაგობაში წევრად შესვლის მსურველია არანაკლებ 30 პირი. იმ შემთხვევაში თუ მსურველთა რიცხვი ნაკლებია დადგენილ მინიმუმზე მაშინ, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დემუტატთა რაიონული (საქალაქი) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დაიშვება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოოპერირება მეზალეობის ამხანაგობის შესაქმნელად ერთ-ერთ მათგანთან. სადაც ყველაზე მეტია ამ ამხანაგობაში შესვლის მსურველი. არსებულ ცვლილებას გააჩნია თავისი გამომწვევი მიზეზი. ახალ წესდებაში პირდაპირაა მითითებული: „მეზალეობის ამხანაგობის ორგა-

ნიზაცია და საბაღე ნაკვეთების მოწყობა ძირითადად ხორციელდება ამხანაგობის წევრთა პირადი სახსრების ხარჯზე“. ასე, რომ მცირერეცხოვან კოლექტივებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მოაწყონ საერთო კომუნიკაციები და სხვ.

იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი, რომელთანაც იქმნება მებაღეობის ამხანაგობა ატარებენ ამხანაგობაში შესვლის მსურველ მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა საერთო კრებას, ამტკიცებენ საერთო კრების გადაწყვეტილებას მებაღეობის ამხანაგობის შექმნის შესახებ და მასში შემავლელ პირთა სიას.

მებაღეობის ამხანაგობის ძირითადი ამოცანებია: კოლექტიური ბაღის მოწყობა და მისი გამოყენება ამხანაგობის წევრთა მიერ ხილის, კენკრის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის საწარმოებლად, ასევე მშრომელებისა და მათი ოჯახებისათვის თავისუფალი დროის კულტურულად გატარების, ჯანმრთელობის განმტკიცების, მოზარდთა შრომითი აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა (მუხ. 4) სიახლეა ამავე მუხლის ბოლო პუნქტი „მებაღეობის ამხანაგობის წევრობა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გამორჩენისა და ანგარების მიზნით, საავარაყო სახლის ასაშენებლად“.

მებაღეობის ამხანაგობის წესდება, მტკიცდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით და ექვემდებარება რეგისტრაციის იმ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალქო) საბჭოს აღმასკომს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა. მებაღეობის ამხანაგობა იურიდიული პირის უფლებას იძენს მისი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან. კოლექტიური ბაღისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ათვისება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ტერიტორიის ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტს დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული (საქალქო) საბჭოს აღმასკომი.

ახალი წესდებით კოლექტიურ ბაღში მებაღეობის ამხანაგობის წევრთათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე შეიძლება აიგოს 25 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის ერთსართულიანი სასაფხულო საბაღე სახლები სათავსით, 10 კვადრატულ მეტრამდე ფართობის უთბობი ტერასით და აღნიშნული ზომების გადამეტებით 15 კვადრატულ მეტრამდე ფართობის უთბობი მანსარდით, 8 კვადრატულ მეტრამდე ფართობის სარდაფით, 15 კვადრატულ მეტრამდე საერთო ფართობის სამეურნეო ნაგებობებით. შხაბისა და ტუალეტის, ჩათვლით, აგრეთვე 15 კვადრატულ მეტრამდე ფართობის უთბობი სათბურით ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. ამასთან სასაფხულო საბაღე სახლის შენობის სიმაღლე იატაკიდან ჰერამდე არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მეტრს, სამეურნეო ნაგებობებისა 2,2 მეტრს, სარდაფისა — 1,9 მეტრს, ხოლო სასაფხულო საბაღე სახლის საერთო სიმაღლე (მიწის დონიდან სახურავის ბოლომდე) არ უნდა აღემატებოდეს 6,5 მეტრს და სამეურნეო ნაგებობებისა 3 მეტრს. სასაფხულო საბაღე სახლისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა უნდა განხორციელდეს ტიპობრივი პროექტების მიხედვით, კოლექტიური ბაღის მოწყობისა და ტერიტორიის განაშენიანების პროექტის შესაბამისად. ახალ წესდებაში არსებული ცვლილებების შეტანის საფუძვლის სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წ. 24 დეკემბრის დადგენილება „კოლექტიურ ბაღებში საბაღე სახლებისა და სხვა ნაგებობე-

ბის დასაშვები ნორმები“. ეს ნორმატივები მოქმედებს 1985 წლის 1 იანვრიდან. ამ დადგენილებამ გამოიწვია ახალ წესდებაში რამდენიმე პუნქტის დამატება, კერძოდ; 1985 წლის 1 იანვრამდე აშენებული ან დაწყებული საზაფხულო საბაღე სახლები და სხვა ნაკეთობები უნდა შეესაბამებოდნენ მშენებლობის დაწყებამდე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს“. 1985 წ. 1 იანვრის შემდეგ მიწის ნაკვეთებზე აშენებულ საზაფხულო საბაღე სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს საექსპლუატაციოდ იღებენ კომისიები, რომლებსაც ქმნის სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა“. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ დასაშვები ნორმების ფარგლებში მებაღეს უფლება აქვს მშენებლობა აწარმოოს ისე, როგორც მას მოესურვება. ყოველგვარი მშენებლობა უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების შესაბამისად. თუ მენაშენეს სურს მშენებლობაში რაიმე ცვლილების შეტანა, ამის შესახებ უნდა მიმართოს საკოორდინაციო საბჭოს და თუ მისი მოთხოვნა არ აჭარბებს დადგენილ ნორმებს, სახლის პროექტში შეტანილი იქნება სათანადო ცვლილება, ანუ სახლი უნდა აშენდეს ისე, როგორც ამას დამტკიცებული პროექტი ითვალისწინებს. სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით იქ, სადაც საბაღე სახლის აშენების ადგილი 20°-ზე მეტი დახრისაა, სახლის ქვეშ თავისუფალი ფართის რაციონალურად გამოყენების მიზნით, დაშვებული სამეურნეო ნაგებობების ნაწილის (10 კვ. მ.) სარდაფში შეტანა. ამ შემთხვევაში, სარდაფის სიმაღლე 1,9 მეტრიდან — 2,2 მეტრამდეა.

მიღებული ახალი დადგენილებით კი მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს მინიჭებული აქვთ უფლება მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ააშენონ 50 კვადრატული მეტრამდე განაშენიანების ფართობის მქონე გასათბობი ბაღის სახლები ტერასის (ვერანდის) და მანსარდის ფართობის გარდა, აგრეთვე სამეურნეო ნაგებობანი (ცალკე მდგომი ან შეერთებული) შინაური ფრინველისა და ბოცვერის, სამეურნეო ინვენტარის შესანახად და სხვა საჭიროებისათვის. ნაკვეთზე შეიძლება აშენდეს სათბურები და დათბული გრუნტის სხვა ნაგებობანი სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაყვანად. დაშვებულია სარდაფის გაკეთება სახლისა თუ სამეურნეო ნაგებობის ქვეშ. ბაღის ნაკვეთების მოწყობის ყველა, წინათ მოქმედი, შეზღუდვა გაუქმებულია.

დადგენილებით ნებადართულია მებაღეობის ამხანაგობათა წევრების ბაღის სახლების მშენებლობისა და ბაღის ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის მიეცეთ კრედიტი დაახლოებით 5 ათასი მანეთის ოდენობით, რომელიც უნდა დაფარონ 10 წლის განმავლობაში კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული.

მიღებულ ახალი დადგენილების საფუძველზე, სოფლის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განვითარებისა და პირადი დამხმარე მეურნეობის გაძლიერების მიზნით, გათვალისწინებულია სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს მიეცეთ კრედიტები.

ეზოს ნაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად — 20 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 50 წლის მანძილზე კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული.

პირუტყვისა და ფრინველის მოვლა-შენახვისათვის ეზოს ნაგებობების ასაშენებლად — 4 ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 20 წლის განმავ-

ლობაში, კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან დაწყებული;

პირად დამხმარე მეურნეობაში სამუშაოთა შესრულებისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებების შესაძენად — ათას მანეთამდე, რომელსაც დაფარავენ 3 წლის განმავლობაში.

გადაწყდა ძროხის შესაძენად მოქალაქეთათვის კრედიტის ოდენობა გაიზარდოს ათას მანეთამდე, დეკულისა — 500 მანეთამდე, ამასთან ამ სესხს დაფარავენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

კოლექტიურ ბაღში ყველა სამუშაო სრულდება მებაღეობის ამხანაგობის წევრთა ან მათი ოჯახების წევრთა პირადი შრომით, გარდა იმ სამუშაოებისა, რომელთა შესრულება სპეცილისტების მოწვევას მოითხოვს. მებაღეობის ამხანაგობა თავის საქმიანობას ახორციელებს იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის აღმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა. კონტროლს მებაღეობის ამხანაგობის საქმიანობისადმი ახორციელებს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მებაღეობის ამხანაგობა.

იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის წევრთა 70%-ზე მეტს აღარ აქვს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, მებაღეობის ამხანაგობა გადადის სახალხო დეპუტატთა იმ რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს. იმ შემთხვევაში, როცა მებაღეობის ამხანაგობა სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გამგებლობაშია, მის საქმიანობას ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს აღმასკომი.

მებაღეობის ამხანაგობის წევრებად შეიძლება მიღებული იქნენ მხოლოდ იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაკები, რომელთანაც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობა და პენსიონერები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც ადრე მუშაობდნენ მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

ამხანაგობის წევრად მიღებისას უპირატესობა მიეცემათ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, შრომის ვეტერანებს დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს. დადგენილი წესით შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ პირებს, ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილი უპირატესობანი ვრცელდება მხოლოდ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მომუშავეებზე მებაღეობის ამხანაგობის შექმნისას. სიახლეა წესდებაში ის, რომ მებაღეობის ამხანაგობის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ამხანაგობაში შესვლის უპირატესი უფლება ეძლევა გარდაცვლილის მემკვიდრეს.

მებაღეობის ამხანაგობიდან რომელიმე წევრის გასვლისას ამხანაგობაში შეიძლება შევიდეს მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, თუ იგი მასთან ერთად სარგებლობდა საბაღე ნაკვეთით და მონაწილეობდა მის ათვისებაში. აღსანიშნავია კიდევ ერთი სიახლე: სხვა მიზეზების გამო მოქალაქეთა ამხანაგობიდან გასვლის შემთხვევაში ამხანაგობის წევრად მიიღებიან აღნიშნული პირები, ხოლო თუ არ არიან ამხანაგობაში შესვლის მსურველნი, — მოცემული

